

საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის  
საერთაშორისო სამეცნიერო-კულტურულ-  
საგანმანათლებლო კავშირის „საზოგადოება  
ცოდნის“ ჟურნალი

# სიტყვა

„როცა საზოგადო მნიშვნელობის  
აზრი ამოქმედებს სიტყვას, მაშინ  
თვითონ თქმა ქმნად გადაიქცევა  
ხოლმე“



№18  
2012

*ჟურნალ „სიტყვის“ გამოცემა გრძელდება საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის საერთაშორისო სამეცნიერო-კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირის „საზოგადოება ცოდნის“ წესდების საფუძველზე, რაც საჭირო ცვლილებებით დამტკიცებულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გადაწყვეტილებით №366, 30.09.2005 წ. მოწმობა №00541/12/0293*

**სამეცნიერო-კულტურულ-საგანმანათლებლო ჟურნალი  
„სიტყვა“**

თუ რედაქციაში შემოსული მასალები არ ემთხვევა რედაქციის პოზიციას, გამოქვეყნებულ წერილებში მოყვანილი ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი

ჟურნალში გამოქვეყნებულ მასალებზე საავტორო უფლება ეკუთვნის „სიტყვის“ რედაქციას. შეუთანხმებლად რაიმეს გადაბეჭდვა კანონის ძალით აკრძალულია. ჟურნალი აიწყო, დაკაბადონდა და დაიბეჭდა საქართველოს „საზოგადოება ცოდნის“ სტამბაში

სარედაქციო კოლეგია:

**ნუგზარ წერეთელი (მთავარი რედაქტორი),**

ნოდარ ზედელაშვილი (პასუხისმგებელი მდივანი),

გურამ გეგეშიძე, ემზარ კვიციანი, ნიკო ლეონიძე, ტარიელ სტურუა, ნოდარ ცხვირაგაშვილი, ალექსი ჭელია, თამარ ყურაშვილი, ნინო წერეთელი.

*რედაქციის მისამართი: თბილისი, მერაბ კოსტავას ქუჩა №47.*

*საკონტაქტო ტელეფონები:*

*299-00-35, 299-94-46, 293-43-10*

*577-52-31-31, 577-50-29-84*

ISSN 1987-7449

Ÿ საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის საერთაშორისო სამეცნიერო-კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირი „საზოგადოება ცოდნა“

## შინაარსი

1. **ნ. წერეთელი** – ოლა პატრიარქს .....

### *ვილოლოგია*

2. **იუზა ევგენიძე** – ვაჟა-ფშაველას უკვდავება .....

3. **თეიმურაზ ქურდოვანიძე** – მურმანის ტრაგედიის ვაჟა-ფშაველასეული წარმოსახვა“ .....

### *თბილისის ისტორია*

4. **თეიმურაზ ბერიძე** – კიდევ ერთხელ „იშიტუტრუქი“-ს მისანიშნებლად .....

### *საორტი*

5. **ომარ შუღრა** – „დინამო“ ჩვენს ოჯახში .....

6. **ომარ შუღრა** – პაიჭაძე დღესაც პაიჭაძეა .....

7. **ნოდარ ზედელაშვილი** – ფეხბურთი: „ვინ არს რომე არ ჰმონებდეს“ .....

### *ლიტერატურა*

8. **ნუბარ წერეთელი** – „გ ზები წყვილადში“, ნაწყვეტი, რომანი (გაგრძელება) .....

9. **ლია ხმალაძე** – პოეტური „რჩეულის“ სინათლე .....

### *სტუდენტური შემოქმედება*

10. **გვანცა ჩიჭოვაძე** – ლექსი .....

11. **თამარ ავაანაშვილი** – ლექსები .....

### *ფარმაცია*

12. **ქ. ღამბაშიძე, ნ. შხალაძე, პ. ხორავა** – ფაგოლიზაციის ანტიბლასტომური ეფექტის შესწავლა .....

13. **სოფიო თურმანლოვი, სოფია ჯიქია** – ფარმაცევტული საქმიანობის მნიშვნელობა ფარმაცევტული პროდუქციის სასიცოცხლო ციკლის ეტაპებზე .....

## ოლა კატრიარქს

საქართველოში რა დალევს დიდებს:  
 საბას, ილიას,  
 შოთას თუ თამარს,  
 რაგინდ წარსულის სახელებს  
 ვთვლიდეთ –  
 დღეს გისმენთ ერის სულიერ მამას.  
 გადააფარეთ კალთა ქვეყანას,  
 წმინდა,  
 ვითარცა სისხლი წინაპრის,  
 ხალხი რომ ბნელით გამოგვევანათ,  
 მოციქულივით თავად ბრწყინავდით.  
 თქვენი ხმა რეკდა დედო-ზარივით,  
 ქართველებს ლოცვით ზრდიდით  
 გმირებად,  
 როდესაც ბევრი შემოგზავნილი  
 კვლავ წყვდიადღივით კუბრში ირევა.  
 გზები სიწმინდით თქვენგან გავლილი  
 მთის ნაკადივით აღარ იმღვრევა,  
 სულებს ეღება  
 ბროლის ჭავლივით  
 თქვენი ნახატიც,  
 ჰანგიც, სიმღერაც.  
 ქრისტესმიერი სიკეთის ნდომით  
 უკეთურობის შლიდით ჯებირებს,  
 ოღონდ სიავე  
 სასტიკი ომის  
 ზოგ-ზოგს ვერაფრით შეაგნებინეთ.  
 ამაღლდით როგორც  
 ბერი მყინვარი  
 შეწყვილებული ხალხის ოცნებას,  
 ელის სოხუმიც,  
 ელის ცხინვალიც  
 თქვენი ღვთიური სიტყვის მოსმენას.  
 წაღმა აბრუნეთ  
 ცხოვრების კვერი



და სიყვარულით დიდით მოცულო,  
ამდენი ხალხი,  
ამხელა მრევლი  
სიწმინდესავით თქვენზე ლოცულობს.  
სულებს, როგორაც  
ქაღალდს ნაწერი,  
დააჩნდით,  
ხალხი იმედს მოელის,  
თქვენსავით არვინ არ ჩანს დამცველი  
ენის,  
მამულის,  
სარწმუნოების.  
მოდინ წლები ნათლით შემოსვის,  
მთაზე დავითის დროშა ფრიალებს,  
საქართველოსთვის,  
საქართველოსთვის,  
ასობით ნათლულს დააფრთიანებთ.  
რათა თაყვანით შეხვდნენ ღვთაებას,  
ვინც მირონივით იმედს გვიწვდიდა,  
და ქართულ ზეცას  
ელვად გაებას  
გზა –  
არწივების სტეფანწმინდიდან.  
თქვენი ცხოვრებაც  
თერგივით რბოდა,  
გულებს ავსებდა ლოცვა ზეპირად,  
და ის ნათელი,  
დაძრული სნოდან,  
მთელ საქართველოს გადაეფინა.

*ნუგ ზარ წერეთელი  
2011 წ. ქრისტეშობა*

## ვაჟა-ფშაველას უკვდავება

150 წელი შეუსრულდა საკაცობრიო ფიქრთა მპყრობელ, უცხოელთა მიერ სიცოცხლეშივე „ქართული ხელოვნების სულის განმასახიერებელ გენიოსად“ (არტურ ლაისტი) წოდებულ უბრწყინვალეს პოეტს – ვაჟა-ფშაველას. ამ დიდი მგოსნის სახელმა გადალახა რა ლოკალური და დროითი საზღვრები, ჩვენი სულიერი ცხოვრების მუდმივ თანამგზავრად იქცა, რადგან საოცრად ღრმა და ფართო აღმოჩნდა ვაჟას – ხელოვანისა და მოაზროვნის თვალსაწიერი. ვაჟას ფენომენი ქართულ ეროვნულ ენერჯიას და ეროვნულ სულს გამოხატავს და ჩვენი ხალხის ნიჭისა და ძლიერების ეტალონია. ასე შეაფასა ვაჟა-ფშაველა ყველა იმ უცხოელმა, რომლებსაც ადრიდან და დღესაც ამ დიდი მწერლის ლიტერატურულ მემკვიდრეობასთან შემოქმედებითი კონტაქტის ბედნიერება ჰქონიათ.

ამ მხრივ იმდენად შთამბეჭდავია გენიალური პოეტის სახელის ზოგადსაკაცობრიო რეზონანსი, რომ იუნესკოს გადაწყვეტილებით მსოფლიოში ორგზის აღინიშნა მისი იუბილე. ჩვენს სინამდვილეში სწორედ ვაჟამ, მის დიად მხატვრულ ქმნილებებში მოქცეულმა აზრებმა და პოეტის ხელოვნებამ მისცა გარკვეული საფუძველი გემოვნებაგაფაქიზებულ მკითხველებსა და მკვლევარებს ემსჯელათ ვაჟას ჰომეროსისებურ მხატვრულ ხედვაზე, მის პერსონაჟთა შექსპირულ ვნებებზე. ნიცშეანური ინდივიდუალიზმისა და

რელიგიური უნივერსალიზმის, ინტელექტისა და ინტუიციის პრობლემებზე, გოეთესებურ ფაუსტურ ძიებებსა და მითოსური ხილვის არსზე.

სულ 53 წელი იცოცხლა ვაჟამ; აქედან 35 წელი ჭეშმარიტი ხელოვანისათვის ნიშანდობლივი, დაძაბული და მჩქეფარე შემოქმედებითი ცხოვრებით იცხოვრა. ამ ხნის მანძილზე ის ხან გორშია, ხან თბილისში, თონეთსა და მცირე ხნით პეტერბურგში. მაგრამ ყველაზე დიდი დრო, 27 წელი, მან თავის მშობლიურ სოფელში გაატარა, ერთობ მძიმე ფიზიკური შრომის და ჯაფის პირობებში, ქართული საზოგადოებისაგანაც არ ყოფილა ის დიდი ყურადღებით განებივრებული. მიუხედავად ამისა, პოეტის შემოქმედებითს პროცესებზე პრინციპულად დამაბრკოლებელი გავლენა არ მოუხდენია ცხოვრების ტვირთის სიმძიმეს. მან ამ გარემოშიც შეძლო შეექმნა 44-ზე მეტი ლირიკული ლექსი, 37 პოემა, სადაც მთელი სისრულით გამოვლინდა ახალი დროის ამ მართლაც „უდიდესი ეპიკოსის“ (ტ. ტაბიძე) გენიალობა. კონსტანტინე გამსახურდიას სიტყვით, „საგანგებო მონოგრაფიის ღირსია ვაჟას ლირიკა“ იმიტომაც, რომ „იგი განსხვავებულია როგორც ქართული, ისე ევროპული ნიმუშებისაგან“. ამ ლექსთაგან 200-ზე მეტს „სიმღერა“ ჰქვია და, გალაკტიონის თქმისამებრ, მათგან „გამოკრთის უმაღლესი სული“. მან დაგვიტოვა 118 მოთხრობა, რომლებიც „კვლავ მოელის თავის მკვლე-

ვარს“ (ტ. ტაბიძე), 5 პიესა, 140 კრიტიკულ-ლიტერატურული და პუბლიცისტური წერილი, სადაც რელიეფურად ჩანს დიდი მგოსნის ინტელექტის სიღრმე და სიფართოვე. ვაჟა თარგმნის მრავალ რუს და უცხოელ მწერალს: მ. ლერმონტოვს, ჰ. ჰაინეს, ფრ. შილერს, ლ. ბერნეს ნაწარმოებებს და ერთი პირველთაგანი აცნობს ქართველ საზოგადოებას ედგარ პოს „შავ ყორანს“. საერთოდ, მას ნათარგმნი აქვს ექვსი ლექსი, ორი პოემა, ორი მოთხრობა და ერთი დრამატული ნაწარმოები. მართალია, აქ „ვაჟას პოეტური ნიჭის ერუპციული ძლიერება“ (თ. ჩხენკელი) არ ჩანს, მაგრამ მისი მხატვრული სიმპათიების დასადგენად ისინი მკაფიო ორიენტირებია. ყველაფერი ეს ერთად არსებული 10 მოზრდილ ტომშიც არ ეტევა და მკვლევარები კვლავ ავლენენ ჩვენი ძველი პრესის ფურცლებში ჩამარხულ ვაჟას მივიწყებულ პუბლიკაციებს. ცხადია, ამ უსაზღვრო უხვ მასალაში ვაჟამ მეტად მრავალფეროვანი შემოქმედებითი ინტერესები გამოავლინა.

ყოველი დიდი მწერლის მიმართ ბუნებრივად დგება კითხვა: რა თვისებებით არის ის შეჭრილი თანამედროვე ადამიანის ცხოვრებაში, ანუ როგორ იკითხება დღევანდელი ცხოვრების აქტუალურ პრობლემათა კონტექსტში. ეს ეხება მათი შემოქმედების მოტივთა როგორც ზოგადკაცობრიულ, ისე ეროვნულ ასპექტებს. და უნდა ითქვას, რომ მოცემულ შემთხვევაშიც ვაჟა-ფშაველა ჩვენი ერის დიდი წინასწარმეტყველი და საკაცობრიო

ფიქრთა მპყრობელია. ადამიანის ფიქრის ერთი „საქებარი თვისება“ კი, მისი სიტყვით, „მოვლენათა მიზეზის ძიებაა“. ვაჟაც მაძიებელი სულის ხელოვანია. ამიტომაც „სამარადისო მშენიერების“ იდეალის მგოსანს ძალუმად აქვს მომადლებული ერისა და კაცობრიობის წინაშე მდგარ საარსებო მოთხოვნილებათა აღქმა-გააზრების რეალური უნარი. მისთვის, როგორც პოეტისა და ქართველისათვის, სიცოცხლის საფუძველი სამშობლო-ქვეყანა და მისი სიყვარულია ... და ის არის სწორედ ხიდი კაცობრიობის სიყვარულისა. მოყვასის სიყვარული, ადამის მოდგმის სიყვარული – ესაა ხედვა ფშავის ხევში შობილი ჭეშმარიტი ქართველისა, რომლის წარმოდგენაში იმთავითვე „წარმართული ელემენტი ქრისტიანულს დაუძლევიან“, ცოდნა-განათლების გაღრმავებასთან ერთად ხედვის არე ისე გაფართოებია, რომ „ტანჯული სილამაზის“ მოძღერლად ქცეულა და ლოცვად დამდგარი ევედრება განგებას: „სული შენ, ლეში მიწასა“, ოღონდ კი „ღმერთო, სამშობლო მიცოცხლეო ...“ „ძალიან მიყვარს იესო ...“ ვაჟას ეს პოეტური ფრაზა, მისი შემოქმედებითი მიზანსწრაფვის საყრდენი, ვითარცა ქართველისა და მსოფლიო მოქალაქის, იდეოლოგიური კრედოა, რომელშიც ის კვალდაკვალ მიჰყვება, როგორც თავადვე ამბობს, ყოველი დროის „საქართველოს იდეოლოგის“ დიდი ილიას გზას. სწორედ აქ აკრიტიკებს მძაფრად პოეტი ჩვენს სინამდვილეში ურწმუნო და უსახურ „დასელთ“, რომ-

ლებმაც სახე უცვალეს ქრისტიანული რწმენისა და კულტურის ნიადაგზე საუკუნეებით განმტკიცებულ სულიერ ღირებულებებსა და ორიენტაციებს. ვაჟას თქმით, „დამახინჯებულმა კოსმოპოლიტიზმმა“, ახლა რომ ინტერნაციონალიზმს უწოდებენ, „ქართველ კაცს აალებინა ხელი თავის პიროვნებაზე, მოუკლა ეროვნული გრძნობა, დაუხშო ენერგია, დაუკეტა გზა თვითცნობიერებისაკენ“. მისი აზრით, „მეცნიერება და გენიოსები გვიხსნიან გზას კოსმოპოლიტიზმისაკენ“, მაგრამ ეს ხორციელდება „მხოლოდ პატრიოტიზმის, ნაციონალიზმის მეოხებით“, „პარტიულ სიჯიუტეს“ აყოლილ დაჯგუფებებს „ვერ გამოაქვთ აზრი ქვეყნის ხსნისა, მისი ნათელი“, რადგან „სიბრიყვეს აშინებს ნათელი, აშინებს სიმართლე“. ვაჟა დამარწმუნებლად ამტკიცებს, რომ „თუ ვინმე იტყვის ... ყველა ერები ერთნაირად მიყვარსო, სტყუის, თვალთმაქცობს, ან ჭკუანაკლებია“, რადგან „პირველყოვლისა, ვისაც მშობელი დედა არ უყვარს, ის სხვას როგორ შეიყვარებს“. ამ პოზიციიდან „ნაციონალიზმი“ მუდამ იქნება ჯანსაღი და არასოდეს იგი შოვინიზმად, ფანატიზმად არ გადაიქცევა ...“ მაგრამ დღენიდაგ პოეტის საფიქრალი, „დამხშობი მზის და მთვარისა“, ისაა, რომ ქართველს ისე არ უყვარს ქართველი, როგორც უნდა უყვარდეს ქრისტესმიერ ადამიანს. ამის მიზეზი კი ისაა, რომ „შხამით შედედლა ზნეობა“; „ვაჰ, შენ დროებავე, რა გითხრა, რისთვისა გვტანჯავ, რაზედა, რისთვის დაგვბადა უფალმა ცოტანი ქვეყანაზედა?! მაგრამ სიმცირეც არ

გვიშლის, სხვა მიზეზი გვაქვს წყეული“; ამ მიზეზს ვაჟა „ზნეობრივ ქურდობას“ უწოდებს, რომლის არსი ისაა, რომ „შვილის სიკეთე მშობელს შურს“, ვერ ვიფერებთ, „კარგი შვილები რად გვებადება ...“ თითქოს დღევანდელი საქართველოს მღელვარე გულისძგერას, მის შინააშლილობას უგდებს ყურს გენიალური მგოსანი, როცა წერს: „მე მისი არაფერი მწამს, ვინც ერთგულია ქვეყნისა და სხვისა ერთგულებაზე ხალხს აცქერინებს ეჭვითა, სხვისთვის შურს იგივე გრძნობა, რისიც მტვირთველი თვით არი, მისთანა ქვეყნის ერთგული, ღმერთმა გვაშოროს, ვინც არი“. ამის შედეგი ბუნებრივად ისაა: „ჭკვიანს ჭკვას აღარ ჰკითხავენ, მიტომ რომ ყველა ჭკვიანობს“ ... ერთიანი საქართველოს მეხოტბეა პოეტი, რომელსაც ერთნაირად ხიბლავს სიდიადე როგორც ამერის, ისე „ლიხს იქითა“ „ღამაზი მხარის“, სადაც „ერთობით ცხოვრობს ხალხიცა, იმერ-მეგრელი-აფხაზი“, ამ კავშირის რღვევა მის წარმოდგენაში ერის დაღუპვის საწინდარია და ამიტომაც მძაფრად ესხმის თავს ყველა იმათ, ვინც ეთნოკონფლიქტებს აღვივებს: „გადაამტერებს ერთმანეთს ქართლსა, იმერეთს, კახეთსა, საკუთარ ანბანს შეუდგენს სამეგრელოს და სვანეთსა ...“ ასეთ პირობებში მხოლოდ ეროვნული იდეალის ერთიანობა არის ქართველთა გადარჩენის პირობა; ხსნის გზაა ერთობა და არა ინტერესთა სხვადასხვაობა. „ვინა თქვა ერთობა გვაწყენს, გვარგია სხვადასხვაობა. ბევრსა ტყუიან ძველებიც, ტყუის ახალი თაობაც“, –



წერს ვაჟა ერთგან და მუდამ ქადაგებს, რომ „ქართველი იქცეს ქართველად“, საქმით უყვარდეთ „ქართველებს საქართველო“. „წერს დააბერებს მხოლოდ მონობა – გვახსენებს ვაჟა და მკაცრად ილაშქრებს მონური ფსიქოლოგიის ტყვეობაში მყოფ ადამიანთა მიმართ. ერის გადარჩენის ერთადერთ გზად პოეტი სხვისი იმედით ცხოვრებას კი არა, საკუთარ ძალებზე დაყრდნობით, მოთმინებით, ტანჯვით მოპოვებულ თავისუფლებას სახავს. „თვით უპატრონეთ თავის თავს, ნუ იმედოვნებთ სხვებზედა“, – დღესაც გვაფრთხილებს ვაჟა, შეახსენებს ქართველებს, რა დროს ურთიერთქიშპობაა, როცა „კვდება, სულსა ჰლევის ვეშაპი ...“

არსებობს ამ მძიმე პირობებში გზა ხსნიას – ესაა ქრისტიანული ურთიერთსიყვარული, რომლის ცეცხლი ისტორიული ბედუკუღმართობის გამო მიწვევებულა და ურთიერთსიძულვილის ენერგიად ქცეულა. „პირადი სიძულვილით და სიყვარულით გამსჭვალული მოღვაწე უფრო მეტად საზიზღარია, მეტად მაზარებელი და მავნებელი, რადგან იგი საზოგადოების მტერია“, – წერს პოეტი და მიაჩნია, რომ ამის მიზეზი ერის თვითცნობიერების მოუმწიფებლობაა. „განუვითარებელი-გაუზრდელი ხალხი, როგორიც უნდა დემოკრატიული მმართველობა დაარსდეს, მაინც მმართველთა სათამაშო ბურთი ... იქნებაო“. როცა „ვირები ბედაურობენ“, „ბედაურს აზრებს ვერ ჰგუობს ცხოვრება, რადგან ვირაზრების წიხლი მწვავეა ... მრავალზე უმ-

რავლესია“ და „ძალაც უმრავლესობაშია მუდამ“, ამ უბნელესი ძალების მონური სულის წიაღში აღზევდებიან ხოლმე „დიქტატორები და დემაგოგები“, რომელთაც „სწყინთ და უნდა ეწყინოთ“, – „სინათლე და სიმართლე“. ვაჟა გულდათუთქულია იმით, რომ ბუნებით რაინდ ქართველში ის ხედავს მოწინააღმდეგის ღირსების აღიარების ქრობის პროცესს, რაც ერის აზროვნულ-კულტურული დონის დაქვეითების სიმპტომად მიაჩნია „შეხედეთ ინგლისელებს, დაუკვირდით გლახსტონს. აბა, კაი ბიჭი ხარ და ქართველს ... ათქმევინებ თავის მოწინააღმდეგის შესახებ, რომ თუმცა ერთსა სტყუი, მაგრამ ეს ერთი რამ კი სიმართლე სთქვიო. რაკი მოწინააღმდეგე ხარ, სრულიად თავით ბოლომდე მტყუანი ხარ ... ამას ვამჩნევ და გული მტკივა“. ... ვაჟას თქმით, ამის მიზეზი ისაა, რომ ჩვენი ახალგაზრდანი „მოკლებულნი არიან ეროვნულ აღზრდას“, ისინი ცრუდემოკრატიული იდეებით საზრდობენ: დემოკრატია კი, როგორც ცნობილია, სულის უმაღლეს არისტოკრატიზმს გულისხმობს, რაც ჭეშმარიტი თავისუფლების წყარო და ნიადაგია. ამ მძიმე და ერთობ საპატიო ამოცანის გადასაჭრელად, ანუ „ეროვნული აღზრდის“ მისაღწევად ვაჟა არა მარტო თავისი პიროვნებით წარმოადგენდა მოქალაქეობრივი და შემოქმედებითი გმირობის ნიმუშს, არამედ პირდაპირ ქადაგებდა კიდევ: „მოქალაქეობრივი სიმამაცის გამოჩენა სჯობიან გაჩუმებასო“. „მოქალაქეობრივი სიმამაცის“ ასპარეზად პოეტს

ინტელიგენციის მოაზრე ცხოვრება ესახება, რადგან ინტელიგენცია მიაჩნდა ერის წინამძღოლად, მისი სულიერი პოტენციალის მიხედვით ზომავდა ის ერის არსებობა-არარსებობას, ე.ი. კონკრეტულ შემთხვევაში, თავისუფლების მოპოვების შესაძლებლობებს. „მართო ქონებრივი უზრუნველყოფა არ არის გარანტია, რომ ერმა შეინარჩუნოს თავისუფლება, უკეთუ მას თან ახლავს ერის საერთო გონებრივი სიმწიფე, განათლება, ცოდნა ...“ – წერს ერთგან მგოსანი.

ვაჟა-ფშაველა ისეთი ტიპის მოაზროვნეა, რომელსაც ღრმად ჰქონდა აწონილ-დაწონილი ერის სიცოცხლისუნარიანობის განმსაზღვრელი ფაქტორები. იგი აღნიშნავდა: „დედა ენა ისეთი კუთვნილებაა ერისა, რომ თუ იმას დასთმობს ერი, სხვა ყველაფერსაც უგულვებელყოფს, ტერიტორიაზედაც ხელს აიღებს“, ვაჟას მრწამსით, სამშობლოს ფხიზელი გუმაგი სწორედ ინტელიგენცია უნდა იყოს, მშრომელ მასას უნდა თავკაცობდეს და გონებრივად გზას უკაფავდეს ჭეშმარიტი ინტელიგენტი. იგი, პირველ ყოვლისა, უნდა იცავდეს ბურჟს ეროვნებისას – ენას, მაგრამ დიდი პოეტი იმასაც დასძენდა, რომ ეს პროვინციულ ინტელიგენციას არ ძალუძსო. იგი ეყრდნობა რა ილია ჭავჭავაძის მოღვაწეობის მაგალითს, როგორც ეროვნული საქმისათვის თავგანწირვის ნიმუშს, ეროვნული ინდიფერენტიზმით შეპყრობილ ზოგიერთ მოღვაწეთა საქმიანობაში ხედავს „ვნებას და გათახსირებას საზოგადოებისას“. დიდი პოეტი ილ-

იას უკვდავ მხატვრულ სახეს აქცევს გარკვეულ ცნებად, იმარჯვებს ტერმინს, „თათქარიძეობას“ და ფიქრობს, „სხვადასხვა პირობებში ჩავარდნილს თათქარიძეობას სხვადასხვა შედეგი მოსდევს“, რაც თავის გამონათქვამებს სულზე ხორცის გაბატონებაში, ქრისტიანული სიყვარულის ქრობაში, შურის და ეგოიზმის განვითარებაში პოულობს. მხოლოდ „ეროვნული აღზრდა“ არის სულიერი ამალლების პირობა და ქართველთა პოლიტიკური გადარჩენის გარანტი. ასე დგას დღევანდელი, ძველვარე პოლიტიკური ვნებებით დატვირთული საქართველოს ჭირისუფლად გენიალური ვაჟა და, მისი პერიფრაზით რომ ვთქვათ, „სამარიდანაც კი სამსახურს უწევს“ თავის ქვეყანას. თავისი მხატვრული ხედვით და სააზროვნო ინტერესებით თვით ევროპულ სინამდვილეშიც კი აღიარებენ, რომ ვაჟა-ფშაველა უახლესი ეპოქის არსის ერთ-ერთი უბრწყინვალესი მწვდომელია და ამითაც უტოლდება უდიდეს ფილოსოფოსებსა და ეპოქის კრიტიკოსებს (ჯ. კამია).

მართლაც, ვაჟა-ფშაველას ლირიკასა და ეპოსში, პროზასა და პუბლიცისტურ-ფილოსოფიურ ნაწერებში, პირად წერილებში, ვხვდებით ისეთ მხატვრულ პასაჟებსა და პირდაპირი და არაპირდაპირი ფორმით მოწოდებულ მიმართებებს, რომლებიც დასტურპყოფს ჰომეროსის, შექსპირის, გოეთეს, ლევ ტოლსტოის, ... კანტის, ფრ. ნიცშეს, ნ. ბერდიაევის და სხვა ავტორთა ქმნილებებთან სიახლოვეს. ყველა შემთხვევაში, ეს ფაქტები აღიქმე-

ბა როგორც ვაჟა-ფშაველას დიალოგი თავის თავთან და ახალი დროის ევროპის კულტურულ ველთან. ბორის პასტერნაკის აზრით, „ვაჟა-ფშაველა თავის პიროვნების რელიგიით აღბეჭდილი პოემებით, გვერდით უდგას დასავლეთის უდიდესი ინდივიდუალისტების ქმნილებებს“. „ევროპის დაისის“ (ო. შპენგლერი) სახელწოდებით ცნობილ „ყოველგვარ ადამიანურ ღირებულებათა გადაფასების“ (ფრ. ნიცშე) ეპოქაში, ვაჟა-ფშაველამ თავისი ეთიკურ-ესთეტიკური მიზანსწრაფვით სცადა გამოენახა შექმნილი „სულის კრიზისის“ (პოლ ვალერი) ჩიხიდან ძლიერ პიროვნებათა სოციალურ აქტიურობაზე დამყარებული სულიერი რეზერვები.

პოეტი ორიგინალურად და ძალზე შთაბეჭდავად თავისი ნაგრძობ-ნააზრევით უპირისპირდება „კულტურის კრიზისის“ ყველა ადებტს, ჯანსაღ, „ბუნებრივ წმინდა ქმნილების“ „მრღვეველ“, „სწავლის სახელს“ ამოფარებულ „სიბრიყვეს“ („მესტვირის ანდერძი“), ანუ იმ გლობალურ მოვლენას, მოგვიანებით, ხოსე ორტეგა ი გასეტი „ადამიანი-მასის“, „განებივრებული ბავშვის“, „ტექნიკის ნილაბქვეშ“ „დამალული“ „უსწავლელი სწავლულის“ სახელით რომ მონათლავს.

ვაჟას ზოგიერთი ქმნილება პოეტის სიცოცხლეშივე თარგმნა გერმანელმა არტურ ლაისტმა. მისი თქმით, პოეტის თხზულებების გაცნობამ „ევროპაში აღტაცება გამოიწვია“. რუსი საზოგადოებისათვის ვაჟა-ფშაველას შემოქმედების წარდგინების ერთ-ერთი

ცდა ეკუთვნის ისეთ დიდ ხელოვანს, როგორც ალექსანდრე სუმბათაშვილი-იუჟინი იყო. 1902 წელს მას საჯაროდ წაუკითხავს ვაჟას ნაწარმოებთა ა. ხახანაშვილისეული თარგმანები. 1906 წელს ა. ხახანაშვილმა რუსულ ენაზე გამოცემულ თავის „ნარკვევებში“ საყურადღებოდ დაახასიათა მისი შემოქმედება. 1911 წელს ვაჟას შესახებ რუსულ პრესაში გამოქვეყნდა გრიგოლ რობაქიძის შესანიშნავი სტატიაც. ამ დროიდან მოყოლებული ვაჟასადმი ინტერესი რუსულ ლიტერატურულ სამყაროში უფრო და უფრო იზრდება. შეიძლება ითქვას, რომ არც ერთი ქართველი პოეტის ნაწარმოების იმდენი თარგმანი არაა შესრულებული რუსულად, რამდენიც ვაჟასი.

ვაჟა-ფშაველას შემოქმედებითი ნიმუშები თარგმნილი აქვთ ისეთ გამოჩენილ რუს პოეტებს, როგორებიც არიან: ბ. პასტერნაკი, ნ. ზაბოლოცკი, მ. ცვეტაევა, ო. მანდელშტამი, ნ. ტიხონოვი, ვ. დერჟავინი, ა. ტარკოვსკი, ბ. სერეზბრიაკოვი, ე. ევტუშენკო და სხვანი.

ჯერ კიდევ ვაჟას სიცოცხლეში იყო ცდები, რომ პოეტი ეთარგმნათ ინგლისურ, ფრანგულ და ესპერანტოს ენებზე.

ამჟამად ვაჟა ნათარგმნია გერმანულად, ინგლისურად, ფრანგულად, იტალიურად, ჩეხურად, ბულგარულად, უნგრულად, პოლონურად, უკრაინულად, ბელორუსულად, სომხურად, აზერბაიჯანულად, ლატვიურად და ა.შ. ვაჟას იცნობენ ინდოეთში, ვიეტნამში, იაპონიასა და კორეაში – მსოფლიოს თითქმის ყველა კუთხეში.

ვაჟას ფენომენი ქართულ ეროვნულ სულს გამოხატავს ყველა შემთხვევაში და ჩვენი ხალხის ნიჭისა და ძლიერების ეტალონად აღიქმებოდა ყოველთვის. ამიტომაც ზღვარდაუღებელი აღმოჩნდა მისი ზემოქმედების ფარგლები ... თუ რა გავლენას ახდენს და რა ადგილს იჭერს დიდი მგოსანი ქართველ (და არა მარტო ქართველ) მწერალთა გონებრივ ცხოვრებაში, ეს უკვე კარგა ხანია შეუწელებელი კვლევა-ძიების ობიექტია, მაგრამ ვაჟა-ფშაველას პიროვნება და შემოქმედება ხელოვნების სხვა სფეროთა წარმომადგენელთათვისაც უშრეტი შთაგონების წყაროდ იქცა. ქართული თეატრის ისტორიკოსთა (ნ. ურუშაძე), მუსიკათმცოდნეთა (ე. ძიძაძე), კინოთმცოდნეთა (ა. ბაქრაძე) და სახვითი ხელოვნების მკვლევართა (ლ. შანიძე, მ. კარბელაშვილი) მიერ ჯეროვნად არის ნათელყოფილი ვაჟას სახელისა და მხატვრული სამყაროს ის მაიმუხუსირებელი მნიშვნელობა, რამაც დასაბამი მისცა მრავალი თეატრალური, კინემატოგრაფიული, ფერწერული, გრაფიკული თუ მუსიკალური შედევრის შექმნას. ამგვარი შეუწელებელი ინტერესი ვაჟასადმი მხოლოდ იმის დადასტურებაა, რომ თანამედროვე ადამიანის სულიერ მოთხოვნილებებს სწორედ ვაჟასნაირ ღრმა და უაღრესად თანამედროვე ხედვის ხელოვანთან სიახლოვე აკმაყოფილებს,

რათა მან ერთიანობაში შეძლოს წარსულის, აწმყოსა და მომავლის შეფასება და წარმოსახვა.

### X X X

„სულის კრიზისის“ (პოლ ვალერი) სახელით ცნობილ ეპოქაში, ნაირ-ნაირ სოციოლოგიურად პროგნოზირებად, საღ და უმწიფარ მოძღვრებათა მოზღვაების ხანაში, როცა „უკულტურო ცივილიზაციის“ ფესვებზე ამოზრდილი ფართო მასშტაბით გაშლილი მასონური, როგორც პოეტი ბრძანებს, „მანინჯი კოსმოპოლიტიზმი“ წამოეძალა ძველი კულტურის „ჯანსაღი წვენებით“ (ს. ბულგაკოვი) თავშენახულ პატრიოტიზმს, ვაჟა-ფშაველა მრავალსაუკუნოვანი ქართული კულტურის დინამიკის გათვალისწინებით, მისი წინწამოწვევით, ეროვნული ცნობიერების მარგანიზებლად და ფხიზელ გუშაგად მოგვევლინა; პოეტი „სამარიდანაც კი ხელს უწვდის“ თავის ქვეყანას, როცა ღრმა ქრისტიანული ოპტიმიზმით აღსავსე შეგვასხენებს, რომ „წინაპარნი ვართ მომავლისათვის ...“ „გამოცდა არის ჩვენი სიცოცხლე“ და „უნდა ეცადო კაცურკაცობა მამაცად ჰზიდო“ („საასპარეზოდ მოგვცა უფალმა“).

### იუზა ევგენიძე

ფილოლოგიის მეცნიერებათა  
დოქტორი, პროფესორი

## მურმანის ტრაგედიის ვაჟა-ფშაველასეული წარმოსახვა

ვაჟა-ფშაველამ პოემა „ეთერს“ საფუძვლად დაუდო ხალხური „აბესალომ და ეთერის“ თქმულება, მაგრამ, როგორც დიდ პოეტს სჩვეოდა, თავისებურად გაიაზრა თქმულების მთავარი გმირების, განსაკუთრებით აბესალომისა და მურმანის, მხატვრული სახეები. ჩანს, პოეტი რაღაცამ ვერ დააკმაყოფილა მურმანის ბედის ხალხურ შეფასებაში და გადაწყვიტა ჩაღრმავებოდა ცოდვის ჩამდენი კაცის, თუნდაც მიჯნურის, სულიერ მდგომარეობას. მურმანის თემაზე ვაჟა-ფშაველას მიერ ჩატარებული შემოქმედებითი ძიებები მასალას იძლევა პოეტის ფოლკლორულ სახეზე მუშაობის ისტორიისთვისაც. აშკარაა, რომ შერეს სახის განვითარების ეტაპები პოეტს ერთი ხელის დაკვრით არ განუსაზღვრავს.

ვაჟა-ფშაველას ისეთივე ვითარებაში და იმგვარივე განწყობილებით შემოჰყავს პოემაში „ეთერი“ თავის გმირი შერე, როგორც მურმანი გამოჩნდა თქმულებაში. მთქმელის უწყებით მურმანს ეთერის დანახვაზე გულს ცეცხლი მოედო, შეეყარა მისი სიყვარული და „ჰკლავს“. დამატებით, ვაჟა აკონკრეტებს შერეს მდგომარეობას: ვაჟას ეთერის სიყვარული შეხვდა უწამლო ჭირადაო, – ამბობს.

ხალხურისაგან განსხვავებით, ვაჟას აქცენტირებული აქვს უფლისწულის მიერ გლეხის გოგოს შერთვის ამბავი, რომელიც სასახლეს შერემ აცნობა. როგორც დიპლომატ ადამიანებს სჩვევიათ, შერე ეთერის მშვენიერე-

ბის აღწერით ახერხებს მეფის მოხიბვლას:

„თქვენმა ძემ ცოლი ითხოვა,  
მთვარეს მიუგავ პირია.  
თქვენის ძის ბედად მოსულა,  
სამოთხე გაუწირია ...  
ისეთი არის, მეფეო ...  
რომ ცილობასა გაუწევს  
სიმშვენიერეს მზისასა“ (1, 315)

ეს პრეამბულა სპასპეტს იმისთვის სჭირდება, რომ ვერ შეამჩნიონ მისი სიმუხთლე, როცა შემდეგ მეფეს შხამად ჩააწვეთებს მთავარ სათქმელს. იგი ბედისწერის გარდაუვალობით ახსნის უფლისწულის ამ ნაბიჯს, თითქოს უნდაო გლეხის ქალისაგან გათავისუფლების იმედი გადაუწუროს გურგენ ხელმწიფეს, სინამდვილეში კი, უფრო ალაგზნებს მის ენერგიას საბრძოლველად.

თქმულების საპირისპიროდ, აბესალომის მამა ვაჟას პოემაში მნიშვნელოვანი ფიგურაა. გურგენ მეფისთვის სოციალურ სტატუსს განსაკუთრებული ღირებულება აქვს მინიჭებული. პოეტი გურგენ მეფის ბუნებაში დებს მძვინვარე ეგოიზმისა და შეუბრალებლობის მარცვალს. მამას ორი არსებითი მიზეზი აღმოაჩნდა გოდერძიზე განრისხებისათვის: უფლისწულმა მდაბიო შეერთო, მიუხედავად იმისა, რომ აკვანში იყო დაწინდული ვინმე ლევან მეფის ასულზე და საფრთხე შეუქმნა თავის ქვეყანას როგორც სოციალურ, ისე პოლიტიკურ ასპექტში.

თქმულებისაგან განსხვავებით, ვაჟა გურგენ მეფეს აკისრებს ეთერისა და

გოდერძის უბედურებას. განზრახვის თანახმად, მეფემ შვილს მიჯნური უნდა შეაძულოს, გაუნელოს მისდამი ტროფობა. შერე გურგენ მეფის ნების აღმსრულებელს თამაშობს, სინამდვილეში ისინი ერთად არიან.

ვაჟა მისდევს მურმანის სახის ხალხურ გაგებას და შერესაც მასავით უაღრესად მიზანსწრაფულ პიროვნებად ხატავს. როცა აბესალომი საჯაროდ გამოიყვანს მურმანისაგან დაავადებულ ეთერს გასასხვისებლად, ქალის ხელის სათხოვნელად ვეზირი წარდგება, თან თავის ერთგულებას ახსენებს და ჰპირდება: „ისევ შენად მიიჩნიე, ის განუყრელი ძმა არის“.

შერე არწმუნებს გურგენ მეფეს, რომ სასიკვდილოდ გასამეტებლად ებრალება ეთერი და სთხოვს მას გადასცეს:

„... გახსოვდეს, როცა თქვენსა ძესა და ეთერს გაუხდებოდეს, ქალს ნურას ავნებთ, თქვენს მადლსა ...

თუნდა მე მომე, ნუ მოჰკლავ, ცოდვაა, შეიწყალია“.

სასწაულებრივი წამლის საშროვნელად ვაჟას შერე ქვესკნელში ჩაჰყავს. იქვე ხატავს ქაჯთდედაბერს:

„თვალეები ცეცხლისა უსხდა, კბილები ჰქონდა მინისა, ცალიერს ძვლებზე ზედ ეკრა ტყავად ფურცელი რკინისა: ფეხები ჰქონდა კაცისა, ხელებად ბჯღლები ციცისა, და თმის მაგივრად სულძაღლსა, მოკლე ფაფარი კვიცისა“.

თქმულებაშიც და ვაჟასთანაც ბებრებმა, გულთმისანთა წესის კვალობაზე, იციან მის საუფლოში მოხვედრილთა გაჭირვების მიზეზი. შერე თავად სთავაზობს ბებერს თავის სულს, თქმულებაში კი ეშმაკი მოითხოვს მურმანის (დედამისის) სულს. ეთერისთვის მძიმე სენის შეყრის სასწაულებრივი საშუალება ორივეგან ფეტვია, ოღონდ პოეტი საზარელი წამლის შედგენილობას საგანგებოდ გახაზავს, რათა წინასწარ მიგვანიშნოს, რა განსაცდელს უმზადებს შერე თავს, ვის გადასცემს თავის სულს. მითური ბებრის ფეტვი: დევების ნათესია კაცთა სისხლით მორწყულ ჭალაში. შიგურეგია სულგაყიდულ ადამიანთა ფერფლი, ქრისტეს გამცემის სულის ლაფი და საფასურად მიღებული ვერცხლის ანაფხეკი.

სულის გაყიდვით შერე, მურმანის მსგავსად, სამუდამოდ დაემონა მითური სამყაროს – ქაჯეთის, ქვესკნელის ბინადართ. ქაჯეები სულის აღთქმულ დროს (ხუთი წლის შემდეგ) ხელში ჩაგდების მოლოდინში ზრუნავენ თავიანთ „მმაზე“ („ჩოღროს გზას მოუნათებდენ ქაჯნი კბილების აღითა“) და ამასთანავე არ მალავენ თავიანთ დამოკიდებულებას „ტვინთხელისადმი“.

პოეტი ამ ეპიზოდში შერეს ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე ამხვილებს ყურადღებას:

„ცრემლები ჩამოსდიოდა სვინიდის ნამძინარევსა: ერთი მხრით გული უხარის შერესა ნამტირალევსა“.

ვაჟას გმირის ფსიქოლოგიური მდგომარეობა რთულია – ტირის და თან სინარულითაა აღსავსე. შერეს გული უხარის, რადგან ცხოვრების უმთავრესი მიზანი შეისრულა – ეთერის მოპოვების საშუალებას დაეუფლა და თუ მაინც ტირის, ატირებს სულის გაყიდვის სიმძიმე. მართალია, მის სინდისს სძინავს, როგორც პოეტი ამბობს, მაგრამ დანაშაულის შეგრძნებამ თავისი საქმე უკვე გააკეთა. შერეს ცნობიერი უბიძგებს, ჩავიდეს ქვესკნელში (ჯოჯოხეთში), რათა მოიპოვოს სასურველი საგანი. ქვესკნელში შერეს მოგზაურობა მინდიასავით „ახალი ცოდნის“ დაუფლებითა და განწმენდით კი არ დამთავრდა, არამედ სულის გაყიდვითა და სამუდამოდ დამძიმებით. პოემა „ეთერში“, „გველის მჭამელის“ მსგავსად, ქვესკნელი ისევ განსაკუთრებულ მოვლენათა სამყაროდ რჩება, სადაც სხვადასხვაგვარი საოცარი ამბები ხდება. აქ ყველაფერია შესაძლებელი – მინდიას მსგავსად („გველის მჭამელი“) სიბრძნის მიღება და მისი სიკეთის სამსახურში ჩაყენებაც და შერესავით სულის გაყიდვით დამდაბლება და ბოროტების თესვა, ცოდვით დაცემაც.

ჯადო-წამლის მოპოვების შემდეგ შერეში იღვიძებს ქვეცნობიერი. ეს უნდა ატირებდეს ამ წარმატებულ კაცს. სწორედ ამ პლანში სცადა გმირის ხასიათის გახსნა, ამ გზით მოისურვა ეჩვენებინა მისი ტრაგედია. დანაშაულის სიმძიმემ უნდა განსაზღვროს შერეს მომავალი, მისი სასჯელის ზომა.

პოეტი გვახსენებს, რომ შერემ უცხოეთში იარა „დიდხანს მრავლის ტანჯვითა“ და ის, ბუნებრივია, შემთხვევით არ ტირის. ჩანს, მას აშკარად დაუძაბუნდა ფსიქიკა. ტირილი გამოხატავს მის სულიერ ტანჯვას, შედეგს მისივე საქციელისა. მომღვენო ეპიზოდში პოეტი უფრო მეტად აღრმავენს თავისი გმირის სულში წარმოქმნილ კონფლიქტს. შერე ხედავს ლაშქარს, მაგრამ თავი „ურიცხად“ მიაჩნია მათ შორის გასარევად. ამიტომ გაიპარება ქურდულად. სულის გამყიდველი პირისთვის ეს ბუნებრივი მდგომარეობაა.

პირობის უნებლიე დამრღვევ გურგენ მეფესთან დამარცხდა უარყოფილი მეფე ლევანი, ვერ აღადგინა მან თავისი შელახული პრესტიჟი, მაგრამ ვერც ამ გამარჯვებამ შექმნა გურგენ მეფისთვის სინარულის საფუძველი, რადგან წამალმა გაჭრა, ეთერი წარმოუდგენლად დაიტანჯა, გოდერძის კი „სული ამოსდიოდა“.

გოდერძიმ უარი თქვა ეთერის გასხვისებაზე!

ამით პოეტმა გოდერძის ხასიათს მეტი ვაჟკაცური სიმტკიცე შესძინა და განასხვავა იგი აბესალომისაგან. მოსიყვარულე აბესალომის მიერ ეთერის სხვისთვის მიცემა, მართალია, ეთერის სიბრალულითა და სხვის ხელში მისი სენისაგან განთავისუფლების იმედით იყო მოტივირებული, მაგრამ აბესალომის ეს საქციელი უთუოდ მისსავე საწინააღმდეგოდ ლაპარაკობს (გამორიცხული არ არის, რომ აქ საერთოდ უმაღლესი ფენისათვის ნიშანდობლივი პირუტყვიცობაც იყოს აქცენტირებუ-

ლი კოლექტიური ავტორის მიერ). ვაჟას გოდერძის პიროვნული მთლიანობა იმაშიც ჩანს, რომ აბესალომის მდგომარეობაში მყოფმა უარი თქვა ეთერთან განშორებაზე და ამით ეთერისადმი სხვა ხარისხის სიყვარული გაამჟღავნა.

გურგენ მეფემ და შერემ უნდა ზღონ. ერთმა ბოროტი ცოდვისა და მეორემ – სულის გაყიდვისათვის. მართალია, გურგენ მეფეს ეთერისადმი დამოკიდებულება არ შეუცვლია, მას ისევ „ღვთისგან წყეულ გოგოდ“ მოიხსენიებს, მაგრამ არ კი უნდა, თვითონ გახდეს მიზეზი „დამლევად შვილის სულისა“, თუმცა ყველაფერი გააკეთა ამისათვის.

ვაჟა მოულოდნელ ნაბიჯს ადგმევინებს მეფეს: გურგენი სთხოვს შერეს, განკურნოს ეთერი. თქმულებითვის ეს უცნობი სიუჟეტური სვლაა! გურგენ მეფის თხოვნა ცვლის ვითარებას. ჩნდება ფსიქოლოგიურად დატვირთული ეპიზოდი შერეს შინაგანი ხმის გაღვივებისა. მეფის თხოვნის საპასუხოდ შერეს ესმის ავსულის ჩაგონება: არ დაივიწყოს მიცემული ფიცი, ციხესავით გამაგრდეს! შერეს სურვილიც, ბუნებრივია, ასეთია! მან ხომ ეთერის ხელში ჩაგდებისთვის გასწირა სული! შერე ეთერს მშვენიერებას იმ შემთხვევაში დაუბრუნებს, თუ მას მისცემენ, მაგრამ გოდერძი რომ ვერ ელევა საყვარელ ქალს! რა გზას დაადგეს სულგაყიდული შერე, რა გადაწყვიტოს? ვიდრე იგი აწონ-დაწონის თავის მომავალ მოქმედებას, გოდერძი კვდება და ეთერი თავს იკლავს.

გოდერძის ანდერძის თანახმად, მიცვალებულებს მოუძებნეს „ერთი ადგილი უდაბნო, განაპირა ... ტყიანი მთისა ცხვირია“. მეფის ბრძანებით, „დამარხეს ერთად, ცოტას-კი ერთურთზე მოშორებითა“. გოდერძი „ძვირფასად შეხამებულ“ კუბოში ესვენა, ეთერი – ხისაში. სასახლის კარის მეთაურს ამ უბედურების ჟამსაც არ დაავიწყდა თავის ღირსებაზე ფიქრი!

თუმცა ვაჟა-ფშაველა ამ ეპიზოდშიცა და ფინალშიც მისდევს თქმულების დედააზრს: მიჯნურთა საფლავებზე ყვავილები ამოდის; ისინი ეხვევიან ერთმანეთს; ფეხებში წყარო მოჩუხჩუხებს; დილა-სალამოს აქ ბუღბუღი გალობს; ვინც წყაროს წყალს იგემებს, შენდობას უთვლის გარდაცვლილებს, თან არც ბერდება და არც კვდება.

ხალხურ თქმულებაში სულგაყიდულ მურმანს სიკვდილი ეღირსა. სიძულვილის მიუხედავად, ხალხმა მას აბესალომისა და ეთერის საფლავებს შორის დაამარხვინა თავი ღროებით, ვიდრე ამოძირკვავდნენ სოფლელები. თქმულების მიხედვით, ეს თავად მურმანის სურვილი იყო – ეთერის გარეშე მისთვის სიცოცხლეს აზრი არ ჰქონდა. მაგრამ იგი, უკვე ნარის ეკალში განსხეულებული, მაინც გადაადგდეს, როგორც უსარგებლო რამ, უღირსი ადამიანური სასუფევლისა. ხალხის ღრმა რწმენით, მიჯნურთა ტრფიალი იმ ქვეყანაზედაც უნდა გაგრძელებულიყო, თუნდაც ყვავილთა სიცოცხლესა და ერთურთის ალერსში.



ვაჟა-ფშაველა შეუწყნარებელია შერეს ცოდვის, შესაბამისად, ბოროტების მიმართ. პოეტი შერეს ტრაგიზმს იმითაც ამბავს, რომ ცოცხალს ტოვებს, თუმცა მხოლოდ ფიზიკურია ეს სიცოცხლე. ცოდვამ შერე ჭკუაზე შეშალა. ადამის ძეთა მტრებთან დაკავშირებამ ადამიანებთან ძველებური კონტაქტის უნარი მოუსპო და ცხოველურ ინსტიქტებს აზიარა. შერე „სიბილწის მქნელი“ ახალი ცოდვის შესაძენად უდაბურ და ბნელ სამყაროში იყო და გაითავისა იგი. ეს სამყარო მუდამ მასთან დარჩება, ვერასოდეს დაიხსნის თავს მისგან, რადგან ბნელეთთან კავშირის პირობა უაღრესად მტკიცეა.

ცოდვათა მოსანანიებლად და გაყიდული სულის განსაწმენდად შერეს მეუღლბოეობაც უცდია, მაგრამ ერთი წლის მარხულობას ვერ მოუგვრია მისთვის სულიერი სიმშვიდე. წარსული ისევ ანათებს მის „დაშინებულ“ თვალებში. ეს სინათლე გაშუღმებით ახსენებს თავის ცოდვას, გამოუსყიდველსა და უმძიმესს. ახლა, ამ ყოფაში, ხსნის მხოლოდ ერთი გზა დარჩენია შერეს და მას თვალების დათხრამდე მიჰყავს, ეს კი სულიერ სიკვდილს გულისხმობს (ჩხენკელი 1989; 73).

ვაჟა-ფშაველას, მართალია, გამორჩეული პოეტური შინაარსისა და ფორმის მასალა ჰქონდა პოემის წერისას, მაგრამ როგორც სჩვეოდა, ახლებურად გაიაზრა აბესალომ და ეთერის ტრაგიკული შეუღლების ამბავი. განსაკუთრებული ცვლილებები განიცადეს მურმანისა და აბესალომის მხატვრულმა

სახეებმა. აბესალომის მამის ეპიზოდური სახე პოემაში ანგარიშგასაწევ ფიგურად იქცა. ვაჟა არ ცვლის ხელმწიფის თქმულებისეულ აზრს ეთერზე, მაგრამ გურგენ მეფეს მძვინვარებით აღსავსე კაცად ხატავს, რაც მას თავადვე აზარალებს.


გოდერძი აბესალომისაგან განსხვავებული გამოკვეთილი პიროვნული თვისებით იქცევს ყურადღებას. თავისთავად თქმულებისეული აბესალომის ხასიათი ახალი ეტაპია საზღაპრო ეპოსის ხელმწიფის შვილის ხასიათთან შედარებით. ჯადოსნურ ზღაპარში იგი უპიროვნო გმირია. თქმულების, როგორც დროში შედარებით გვიანდელი ჟანრის, სპეციფიკის გამო, აბესალომი უკვე ინდივიდამდე მალღდება, თუმცა მაინც ძალზეა დამოკიდებული თავისი მამის ნებაზე. ვაჟას გოდერძი ამ მხრივ არის ხასიათის განვითარების შესამე, დამამთავრებელი საფეხური. იგი თავის პიროვნულ ღირსებას მრავალგზის იცავს, ხასიათის გამორჩეულობა კი ამ ეპიზოდში გვირგვინდება, როდესაც სენშეყრილ ეთერს არ ასხვისებს. სწორედ ამან განასხვავა გოდერძი აბესალომის, როგორც შუასაუკუნეების ზნეობრივ ეტიკეტში ჩაკეტილი მიჯნურისაგან. გოდერძიმ შერეს მოუსპო ოცნების აღსრულების უკანასკნელი იმედი და ამით უმძიმეს სულიერ მდგომარეობაში ჩააგდო. თავის მხრივ, ვაჟამ შერეს, როგორც სულგაყიდულს, ცოდვით დაცემულს წაართვა ფიზიკური სიკვდილის უფლება და თავისი პოზიცია პერსონაჟისადმი ამით გამოხატა.

ვაჟა-ფშაველას პოეტურ ფანტაზიას დიდ გასაქანს აძლევდა თქმულების ერთ-ერთი უბრწყინვალესი მონაპოვარი – მურმანის ტიპი-ხასიათი. მიჯნურთა ცხოვრების ტრაგედიად მქცეველი კაცის ხატვისას ვაჟამ ბევრი რამ ახალი შეთხზა. მართალია, შერე მურმანივით მიზანსწრაფული დარჩა, მაგრამ მათი შესაძლებლობები აშკარად ვერ უტოლდება ერთმანეთს. ხალხური გმირის სახე თავისი სიძლიერით ქართულ ფოლკლორში მანამდე უცნობი სიმალლის გამოვლინება იყო, რის გამოც მის ლიტერატურულ წარმომავლობასაც აღნიშნავენ, მაგრამ, ვფიქრობთ, მურმანის სახე მაინც ფოლკლორული ტრადიციის ჩარჩოში ზის

და გარკვეულად სწორხაზოვანიცაა. ვაჟა-ფშაველას შერეს სახეზე დაკვირვება უფრო დამაჯერებელს ხდის მურმანის სახის ფოლკლორულ წარმომავლობას. შერეს პოემისეულ ლიტერატურულ სახე-ხასიათს აშკარად ატყვია ვაჟას აზროვნება, გამოირჩევა მრავალპლანიანობით და უფრო ტრაგიკულიცაა, ვიდრე მისი პირველწყარო, შეიძლება მურმანის სახის პოეტისეული ინტერპრეტაციის შედეგი იმის ნათელ მაგალითადაც გამოდგეს, თუ როგორ აზროვნებს ინდივიდუალური შემოქმედი და როგორია კოლექტიური ავტორის ფიქრთა გამოხატულება.

**თეიმურაზ ქურდოვანიძე**  
ფილოლოგიის მეცნიერებათა  
დოქტორი, პროფესორი

კიდევ ერთხელ „იჟიტუტრუჟი“-ს მისანიშნებლად



თბილისს თავისი არსებობის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე ბევრჯერ განუცდია როგორც დაღმინება, ასევე გაჭირვება-განსაცდელი.

თბილისი ყოველთვის იყო მეზობელი ხალხების ზრახვათა, ჭირვარამის მოზიარე და ქომაგი.

გარეშე მტერთა გამუდმებული შემოსევებისაგან ქანცგამოცლილ ქალაქ თბილისს ესაჭიროებოდა მუშახელი, მწარმოებელი ძალა.

ქართული კანონმდებლობა ხელს უწყობდა, როგორც ადგილობრივ ტყვეთ წასხმული თუ გახიზნული მოსახლეობის, ასევე უცხო ტომის წარმომადგენლების ჩვენს მიწა-წყალზე დასახლებას, და მათთვის გარკვეული ხნის მანძილზე შეღავათების მიცემას. წახალისების მიზნით, ქართული კანონმდებლობა, დიდ ეკონომიკურ შეღავათებს აძლევდა მათ.

მეფე ვახტანგ VI თაოსნობით შედგენილ ქართული საკანონმდებლო-საიურისპრუდენციო კრებულში - „დასტურლამალი“, ამ სახელმწიფო-

ბრივმა საკითხმა თავისი ასახვა ჰპოვა: „ახალი მოსული კაცი ერთს წლამდინ თარხანი იყოს, ნურას სთხოვენ; საბატონო ულაცი არა სდებია, ნურც სთხოვენ" [1, 613].

თბილისის დაცარიელებული უბნების და შემოგარენის ასათვისებლად მოდიოდა როგორც ქართველთა, ასევე უცხოელთა სულ ახალ-ახალი ნაკადი. ბევრს თან მოჰქონდა თავისი სოფლის თუ სალოცავის სახელი, რომელსაც არქმევდა ამა თუ იმ ადგილს, უბანს. ხშირად ხდებოდა, მიტოვებული მართლმადიდებლური ქართული ეკლესიის სახელის გარდაქმევა და ა.შ.

ასე ჩნდებოდა ქალაქის და მის გარეუბნებში, შემოგარენში ძირძველი ტოპონიმების, ადგილთა საკუთარი სახელების ახალი სახელებით შეცვლა.

ახლად შემოსული, ზოგი სახელი მკვიდრდებოდა, ძველის ალაგს ეუფლებოდა და მოქალაქეობრივ უფლებას იღებდა, იძენდა, ზოგი კი ძველთან ჭიდილში მარცხდებოდა და ქრებოდა.

ადგილთა უცხო სახელები თბილისში XVII-XVIII სს-ში უფრო გახშირდა, რაც გამოწვეული იყო ზოგადად სამხრეთ კავკასიაში ისტორიული მოვლენებით (მტერთა შემოსევებით და სხვა), ზოგი ადგილის საკუთარ სახელად დღესაც არის შემორჩენილი, ზოგი კი მემატრიანეთა ნაშრომებს შემორჩათ. ისინი გვხვდებიან ქართველ ისტორიკოსთა თხზულებებში, რუსულ და უცხო ენებზე შედგენილ თბილისის რუკებსა და გეგმებზე.

ზოგი წყარო ქვეყნის ავტორიტეტის გამო ისეა შედგენილი, რომ დღესაც ჭირს ამა თუ იმ ადგილის ზუსტი მინიშნება. მათ დასადგენად დიდი ძალისხმევა არის საჭირო. ერთ-ერთ ასეთ სახელად ჩანს "იშიტუტრუქი", რომელიც ქართულ სინამდვილეში, თბილისის ისტორიის მიმართებაში გვხვდება XVII-XVIII საუკუნეების ამბებთან დაკავშირებით.

მოვუხმობ ქართველ ისტორიკოსებს, ასევე უცხო ისტორიკოსთა თხზულებებს...

აღვნიშნავ, რომ, რამაც მკვლევართა შორის დიდი ვნებათა ღელვა გამოიწვია, იყო და არის ვახუშტი ბაგრატიონის თხზულება „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, სადაც ისტორიკოსი გვაუწყებს, რომ - „ხოლო კუალად დასავლით, იშიტუტრუქის კლდესა შინა, არს მონასტერი მთაწმიდისა და აწ ცალიერი“ [2, 338].

აქვე, დავიმოწმებ ვახუშტისეულ „თბილისის 1735 წლის გეგმა“-ს, სადაც №45-ით დატანილია მთის აღმოსავლეთ ფერდზე მდგარი ეკლესია „მთაწმინდა“ და მისგან, კარგად მოშორებით, სამხრეთ-დასავლეთით, დატანილია №44-ით „იშუტრუქი“ (ადგილი, ვახუშტის ამ ფორმით აქვს დატანილი) [3]. ამგვარად, ვახუშტისეული გეგმით, „მთაწმინდა“ და იქ მდგარი ეკლესია სულ სხვაგანაა, ხოლო ადგილი „იშიტუტრუქი“ კი მისგან მოშორებითაა, და ვგონებ იგი დღევანდელ სოლოლაკს თუ ოქროყანას უნდა მიესადაგებოდეს.

აი კიდევ, რას მოგვითხრობს ვახ-

უშტი ბაგრატიონი: ამბავი ხდება XVII საუკუნის 70-იან წლებში, ქართლის მეფეა შაჰნავაზ ვახტანგ V ძე გიორგი XI-ისა (1676-1688; 1703-1709) „მერმედ მოვიდა გიორგი მეფედ ტფილისს ქსა ჩქოვ (1676 წ.), ქარ ტიდ (364+1312=1676), და განაგებდა ქართლს“. მეფე გიორგი XI კოჯორშია გაჩერებული (კოჯორში სამეფო სასახლე იყო - თ.ბ.) „მაშინ ციცი წარმოვიდა ტფილისს აბანოდ და დახუდენ იშიტუტრუქის ხიდს ზეით ფარსადან, პაატა, ვახტანგ, ნოდარ და ამილღაბარ ძმანი, მოჰკლეს ციცი და ივლტოდენ მამულსა თვისსა“ [2, 457-458].

შეიძლება უცდომლად ითქვას, რომ მოქმედება ხდება სოლოლაკის ქედის სამხრეთით წავკისის ხევში, სადაც როგორც ვახუშტი გვამცნობს იყო ხიდი, რომელიც „იშიტუტრუქი“-ს მთას (მთაწმინდას) კარგა დიდი მანძილით არის მოშორებული. ერთი, რასაც მოყვანილი ამონარიდი გვამცნობს ისაა, რომ წავკისის ხევს, მთლიანად თუ არა, მის (ქვედა) ნაწილს, „იშიტუტრუქსაც“ ეძახდნენ.

მეფე როსტომის მიერ თბილისში ნამოღვაწარის ჩამოთვლისას ბერი ეგნატაშვილს, საკვლევ საკითხში შეაქვს, როგორც სიცხადე, ასევე უხერხულობაც.

თვალსაჩინოების მიზნით, ამონარიდს ცოტა ვრცლად მოვიყვან: „და მაშინ ქართლისათა სასახლე იყო ციხესა შიგან, სადა დგას საყდარი წმიდისა ნიკოლოზისა, და ამან როსტომ დაუტევა და მუნ დასუა მიმბაში ყიზ-

ილბაშისა, თვით გამოვიდა და დასახ-  
ლდა პირსა მტკუარისასა ანჩის საყ-  
დარსა და სიონს შუა. მუნ ციხეშიაც  
ალაშენა მეჩიტი აბანოს პირდაპირ და  
ხევს გამოდმა და თვისსა სასახლეშიც  
ალაშენა მეჩიტი, და კუალად ალაშენა  
ბალი იშიტურტუქს ქუემორე და მუნ-  
ცა ალაშენა მეჩიტი“ (4,418). ამასთან  
დაკავშირებით, ჩემ მოსაზრებაზე ცოტა  
ქვემოთ ვისაუბრებ.

1771-1772 წწ. საქართველოში  
ჩამოსული რუსი მეცნიერი და მოგზა-  
ური გიულდენშტედტი თბილისსა და  
მის გარეუბნებში ქართული ეკლესიე-  
ბის ჩამოთვლის დროს „იშიტურტუქ“-  
საც ახსენებს - „ქალაქის გარეთ, ჩრდი-  
ლო-დასავლეთით, იშიტურტუქის კლ-  
დეზე დგას დანგრეული ეკლესია მთაწ-  
მინდა, სადაც მიდიან თაყვანის საცე-  
მად“ [5, 91].

უცხო მოგზაური, უცნობ ქვეყა-  
ნაში მოსული, ხშირად თავისდაუნებ-  
ურად უშვებს ხოლმე უზუსტობას, ეყ-  
რდნობოდა და რა სხვის მიერ მი-  
წოდებულ არაზუსტ ცნობებს და ა.შ.  
ამგვარი ცოდვისგან არც რუსი მოგზა-  
ურის წიგნია დაზღვეული. ჩემი ეჭვის  
თვალსაჩინოების მიზნით, გიულდენშტ-  
ედტის თხზულების მკვლევარი, მთარგ-  
მნელი და გამომცემელი გ. გელაშვილი  
პირველი ტომის წინასიტყვაობაში  
წერს: „მოგზაური ზუსტად არ ასახ-  
ავს არსებულ სინამდვილეს... გან-  
საკუთრებულ სიძნელეებს წავაწყდით  
გეოგრაფიული სახელების დადგენისას“  
[5, 07].

თბილისის ისტორიის მკვლევარი  
პლ. იოსელიანი, მთაწმინდის აღწერი-

სას წერს: „

.

.

,

,

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

.

(6, 34; 7, 43-44).

როგორც ვნახეთ, მკვლევარი მხ-  
ოლოდ სიტყვის წარმომავლობასა და  
მის მნიშვნელობაზე საუბრობს. ხოლო,  
ადგილის მინიშნებას კი, აუცილებლად  
ღებულებს ვახუშტის განმარტებას  
(თუმცა, საჭიროდ მიიჩნევს აღნიშნოს,  
რომ იგი თბილისთან დაკავშირებით,  
ძველ ქართულ წყაროებში ადგილის  
სახელად არსად გვხვდება).

ისტორიკოსი დიმიტრი ბაქრაძე  
კმაყოფილდება პლ. იოსელიანის  
გამოკვლევით და სიტყვასიტყვით იმე-  
ორებს მას.

„იშიტურტუქი“-ს საიკითხს იკვ-  
ლევს ქართულ-სომხურ ურთიერთო-  
ბათა მკვლევარი ლეონ მელიქსეთ-ბეგი.  
იგი წერს: „იშიტურტუქ“ მცენარის სახ-  
ელია და არა სახელწოდება, რომელიც  
მიეკუთვნება სახელართათვის გარსაკრავ

ადგილს... შესაძლოა, რომ მცენარის გამო ადგილსაც უწოდეს იგივე სახელი...“ [9, 232].

ლეონ მელიქსეთ-ბეგი კიდევ ერთხელ შეეხო „იმიტუტრუქი“-ს საკითხს, სადაც იგი უფრო კატეგორიულია აზრის გამოთქმის დროს: „აღნიშნული სახელწოდება... (იმიტუტრუქი-თ.ბ.) აღბეჭდილია მე-18 საუკუნის ქართულ საისტორიო მწერლობაში სახელდობრ: ბერი ეგნატაშვილის „ახალი ქართლის ცხოვრება“-ში, ვახუშტის „ქართლის ისტორიასა“ და „გეოგრაფიაში“... ნაშრომის დასასრულს იგი დააკვანის - „დაბოლოს „იმიტუტრუქი“ ანუ, რაც იგივეა „იმიტუტრუქი“ ერთ-ერთი ძველი სახელწოდებათაგანია მთაწმინდისა ანუ „მამადავითის მთისა“.

ვ. ბერიძის ნაშრომი, რომელიც ეძღვნება ვახუშტიეული გეგმის შესწავლას, მასზე დატანილი პუნქტების თანამედროვე ქალაქის პუნქტებთან მისადაგებას გარეთუბანში, ქალაქის დასავლეთ კედლის გარეთ, მდებარე მეფის, დედოფლის, მამასახლისის ბაღების შემოფარგვლით და ლოკალიზაციის დროს წერს: „ამათ უჭირავთ ფართობი (დაახლოებით) აწინდელი ბერიას მოედნის (თავისუფლების მოედანი-თ.ბ.), ფედერაციისა (შალვა დადიანის ქუჩა – თ.ბ.) და ენგელსის (ლადო ასათიანის) ქუჩებისა და იმიტუტრუქის კალთებს შორის“ [10, 135].

მკვლევარი „იშუტუტრუქის კალთებს შორის“ უნდა გულისხმობდეს მთაწმინდის სამხრეთ-დასავლეთ კალთებს.

შოთა მესხია „იმიტუტრუქს“

სოლოლაკის ქედად მიიჩნევს და არც უმართებულოდ. მის ქვევით („ქუემორე“) მეფის მიერ გაშენებულ ბაღს ქალაქის დასავლეთ კედელთან გაშენებულ „ბეჟანა“-ს ბაღთან აიგივებს, ხოლო იქვე („მუნცა“) აშენებულ მეჩეთს XVII-XVIII საუკუნეების თბილისის გრაფიკულ გამოსახულებებზე დატანილ კათოლიკურ და სომხურ გრიგორიანულ მოღნიშვნის წმ. გიორგის ეკლესიებს შორის მდებარე მეჩეთად მიიჩნევს, რაც არ უნდა იყოს სწორი.

შოთა მესხია თბილისის გრაფიკულ გამოსახულებებზე (1735, 1782, 1800, 1802) და საისტორიო წყაროებზე (ბერი ეგნატაშვილი, ვახუშტი ბაგრატიონი) დაყრდნობით აკეთებს დასკვნას, რომ „იმიტუტრუქის“ ქვემოთ გაშენებული ბაღი და მასთან მეჩეთი სწორედ ეს უნდა იყოს (აღნიშნულ ეკლესიებს შორის მოქცეული - თ.ბ.) და ეს კი მთაწმინდის მთის ქვემოთ კი არ არის, არამედ სოლოლაკის მთის ქვემოთ, მისი დაქანებული კალთების დასასრულთან“ (11,413).

არ უნდა იყოს სწორი, როცა „იმიტუტრუქის“ ქვემოთ (ქუემორე) გაშენებულ ბაღს და იქვე მდგომ მეჩეთს, „იმიტუტრუქის“-ს (სოლოლაკის ქედის) მხოლოდ ერთ მხარეს, მის ჩრდილოეთ ფერდის ძირში ვეძებთ.

ცოტა უხერხულია, მაგრამ, მაინც ვიტყვი, რომ ქედს მეორე მხარეც (ფერდიც) აქვს, ამ შემთხვევაში სამხრეთი კალთა, რომლის უგულებელყოფა არ უნდა იყოს გამართლებული.

ჟან შარდენს თბილისში ჩამოსვ-

ლის დროს (1672 წ.) თან ახლდა მხატვარი გრელო, ხოლო ტურნეფორს (1701 წ.) მხატვარი ობრიე. მოხსენიებული მხატვრების მიერ შესრულებული თბილისის სურათებზე (ვახუშტისეული გეგმით, „ბეჟანას ბაღი“), ქალაქის დასავლეთ კედლის შიგნით, მის გაყოლებაზე (კოჯრის კარიდან, სოლოლაკის ქედის კალთამდე), ბაღის მიმდინარეობის ნარგავიც კი არაა, ორივე მხატვარი ამ ადგილზე მხოლოდ შენობებს ხატავს.

გრელოს სურათის (თბილისის) თანმხლები განმარტებით - ასახსნელ ნუსხაში ლიტერი M-ით, რიგით მე-12, კათოლიკური ეკლესიაა, რომელიც შენობების სიახლოვეს დგას. აღვნიშნავ, გრელოს ნახატზე, ქალაქის დასავლეთი კედლის გარეთ გაშენებულია „მეფის ბაღი“ (ლიტერი R, რიგით მე-17).

ობრიეს სურათზე, ქალაქის დასავლეთი კედლის გარეთ, გაყოლებით აუთევისებელი ადგილია.

ორივე მხატვრის (გრელო, ობრიე) ნახატზე, დასავლეთ კედლის გაყოლებით შენობებია და იქვე (დაახლოებით იქ, სადაც აწინდელი ეკლესია მდებარეობს) „კაპუჩინების ეკლესია“-ა.

ჟან შარდენი მოგვითხრობს: „თბილისში საღამო ხანს ჩავედი... ჩვენმა თანმხლებმა მორჩილმა კაპუცინების ბინაში მიმიყვანა... თბილისში მისიონერ კაპუცინებს თავიანთი საცხოვრებელი აქვთ“. [12, 275, 323].

მოვეუსმინოთ ტურნეფორს: „ჩვენ ბინად კეთილ მამებთან (კაპუცინები-თ.ბ.) გავჩერდით“ (13,67).

ამგვარად, კაპუცინები კათოლიკური ეკლესიის (ყოფილი კათოლიკური, ამჟამინდელი ვია აბესაძის ქუჩა) მახლობლად ცხოვრობდნენ, სადაც სტუმრობენ და საცხოვრებლად ჩერდებიან ჟან შარდენი (1672 წ.) და ტურნეფორი (1701 წ.). ამდენად, ეკლესიის მახლობლად, ქალაქის დასავლეთ კედელთან ბაღი რომ ყოფილიყო, მოგზაურები უსათუოდ მოგვითხრობდნენ; როგორც ვნახეთ, ისინი ამის შესახებ სდუმან.

ვახუშტისეულ გეგმაზე დატანილ „ბეჟანას ბაღს“ (ე) რაც შეეხება, იგი უფრო მოგვიანებით გაშენებული ჩანს, ცნობილია, რომ ის ეკუთვნოდა მეფე ერეკლე მეორის დროს მოღვაწე მოქალაქე ფირყულაანთ ნაზარბეგას შვილის ოსეფას ბიძას [14, 27].

ქალაქის დასავლეთ კედლის შიგნით გაშენებულ ბაღზე, იმიტომ შევეოვნდი, რომ უცილობლად მეჩვენებინა, თუ რაზე საუბრობენ და მიგვანიშნებენ დამოწმებული წერილობითი წყაროები და გრაფიკული გამოსახულებანი. არც კი ვიცი, რამდენად მივალწიე ჩემს მიზანს!?

ახლა რაც შეეხება როსტომ მეფის მიერ იშითურუქის ქვემოთ გაშენებულ ბაღს და მეფისავე იქვე აშენებულ მეჩეთის მდებარეობას. საკითხის კვლევის დროს იშითურუქის (სოლოლაკის) ქედის სამხრეთი ფერდის თუ კალთის და იქვე მდებარე მეჩეთის XVII საუკუნეში არგათვალისწინება, ყურადღების არ მიქცევა, საკითხის სრულად შესწავლის თვალსაზრისით, არასწორად და გაუმართლედ

ბლად მიმჩნია.

ვეფიქრობ, რომ „იმიტურუქი“-ს (სოლოლაკის ქედს) ქვემოთ როსტომის დროინდელი ბაღი უნდა იყოს ვახუშტისეულ გეგმაზე №51-ით დატანილი „ციხის ბაღი“. იგი წავკისის წყლის ნაპირთან, და „თათართა საფლავის“-ს გვერდითაა.

XVIII საუკუნის საკანონმდებლო კრებული „დასტურლამალი“ გვამცნობს: „ციხის ბაღისა“ - ციხის ბაღისა და ხალათგრის ბაღებისათვის ორი სწერით: ოთხშაბათი დახუთშაბათი, რომე ამ ორ დღეს იმათთვის, უნდა იდინოს. აწ ეს წიგნი ამ ციხისა და ხალათგრის ბაღის პატრონებისათვისაც გვიბოძებია, რომე უჯეროთ წყალი არ აღინონ და ჩხუბი არ მოუხდესთ, ასრე იქმოდენ. ოთხშაბათსა და ხუთშაბათსა ამათ, რომ წყალი მიეცემოდეს, ამ წესით გაიყოფიდნენ: ვისაც ბაღები ციხის იქითან ხალათგრისაკენ იყოს, ძველი თუ ახალი აშენებული, ან მაჰმად-ყულისი ან სხვისა, თათრისა თუ სომეხისა, ყველანი, დიდ-დილობით და ცოტა-ცოტაობით, რასათით გაიყოფდენ და ისრე იდენდენ. ვინც უჯეროთ წყალი ჩაუგდონ, თორმეტი მინალთუნი ჩვენთვის ჯარიმა გამოართვან“ [1, 549-550].

მეფე როსტომის მიერ „იმიტურუქის ქუემორე“ გაშენებული ბაღი (ვახუშტისეული „ციხის ბაღი“), როგორცა ჩანს, დროთა განმავლობაში იცვლიდა როგორც მესაკუთრე-მფლობელს, ასევე საკუთარ სახელსაც. ზღებოდა მისი გადანაწილება, როგორც მეფის ოჯახის წევრთა, ასევე კერძო პირთა შორისაც.

მეფე ერეკლე მეორის ქვრივი დარეჯან დედოფალი, სადედოფლო მამულების და სოფლების რუსი ხელისუფლებისადმი 1801 წლის აპრილის დამდეგს წარდგენილ ნუსხაში ამბობს, რომ „მ) აქავ ქალაქის ციხისძირს კლდის ბაღი, ამის იჯარით გაცემული წელიწადში. იბ(12) დ) გარეთუბანს ჩემი ბაღი, ჩემგან ნასყიდი და აშენებული ამის იჯარა წელიწადში. იბ.(12)“ [15, 298].

არ შევცდები თუ ვიტყვი, რომ „ციხის-ძირს კლდის ბაღი“, რომელიც დარეჯან დედოფალს იჯარით ჰქონდა გაცემული, იყოს „იმიტურუქის ბაღი - ციხის ბაღი“. დედოფლის კუთვნილი ბაღი გარეთუბანშია, იგი უნდა იყოს ქალაქის დასავლეთ კედელთან გაშენებული ბაღი (თბილისის 1735 წლის გეგმა, №39) 1798 წ. ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II გარდაცვალების შემდეგ. გარდაცვლილი მეფის თანამეცხედრის დედოფალ დარეჯანის კუთვნილ სადედოფლო მამულის დაპატრონებას ცდილობს და ზოგ შემთხვევაში ამას აღწევს კიდევ აღმოსავლეთ საქართველოს უკანასკნელი მეფის გიორგი XII თანამეცხედრე მარიამ დედოფალი. როგორცა ჩანს, „იმიტურუქის ქუემორე“ - ციხის ძირს მდებარე კლდის ბაღს, მარიამ დედოფალი დაპატრონებია, მის მფლობელობაში გადასულა, რამეთუ ბანოვის 1809 წლის თბილისის გეგმაზე დატანილია, როგორც „

სანამ სათქმელს ვიტყოდე, ცოტას შევყოვნდები და ზემოთ უკვე ერთხელ ნათქვამს დავუბრუნდები. ვახუშტის



როსტომ მეფის მიერ თბილისში აშენებულ მეჩეთების ადგილის ჩამონათვალ დასახლებულთა შორის ყურადღება მიიქცია „განჯის-კართან ერთი“ მეჩეთის აშენების ადგილმა, რაც, ჩემი ფიქრით, კავშირში უნდა იყოს „იმიტურუქის“ სიახლოვეს აშენებულ მეჩეთთან.

ვახუშტი წერს, რომ „კალას არს ციხე, ნაშენი ძალაღს კლდესა ზედა, და ჩამოზღუდვილი სალაღაკის-ხევი მტკუარამდე. სალაღაკის-ხევის კარს უწოდებენ განჯის კარად“ [2, 334].

„სოლოლაკის ხევის კარი“ ადრე შუასაუკუნეების კარის - „განძის-განჯის კარი“-ს ადრინდელი სახელია. მაგრამ, მის სახელწოდებაში უფრო საინტერესოა კარის დანიშნულება, იგი კეტავდა და ზედამხედველობას უწევდა საქართველოს სამხრეთის მხრიდან წამოსულ გზას.

თაბორის მთის შუა წელზე (ბოტანიკური ბაღის მიმდებარე ტერიტორიაზე) დღესაცაა ალაგ-ალაგ შემორჩენილი ნაგზაურის კვალი, რომელსაც სალაღაკის (წავკისის) წყალზე გადებულ ხიდთან მივყავართ. წავკისის წყლის მარჯვენა მხარეს ვახუშტისეულ გეგმაზე №16-ით დატანილია „კუმი-სის გზა“.

პიშჩევიჩის თბილისის 1785 წლის გეგმაზე დატანილი აქვს ხუთი მეჩეთი. გეგმაზე დატანილ მეჩეთებს შორის დამინტერესა „თურქების ეკლესია“-მ (№55), რომელიც „ცხელი აბანო“-ს (№54) და სამოცი საჟენის (დაახლოებით 126 მეტრია) სიმაღლეზე მდებარე „ციხისკარი“ იყო. იგი ასევე

წინათ სპარსეთის ხანის რეზიდენცია იყო (№56). საუბარია ნარიყალას ციხეზე მდებარე ირანის ხანის რეზიდენციაზე.

რასაკვირველია, უჭოჭმანოდ შეიძლება ითქვას, რომ „თურქების ეკლესია“ ის მეჩეთია, რომელიც ბოტანიკის ქუჩაზე, ბოტანიკური ბაღის შესასვლელის მახლობლად დღესაცაა დგას.

ვიტყვი, რომ სხვადასხვა დროის წყაროებში მოხსენიებული „თურქების ეკლესია“ (პიშჩევიჩის, 1785 წ. გეგმა), „განჯის კართან“ მეჩეთი (ვახუშტი), და „იმიტურუქის“ სიახლოვეს - იქვე აშენებული მეჩეთი (ბერი ეგნატაშვილი) ერთი და იგივე ძეგლია და ისინი როსტომ მეფის მიერ აშენებულ მეჩეთზე უნდა მიუთითებდნენ და საუბრობდნენ.

შეიძლებაოდა თუ არა გარეთუბანში, კერძოდ „სალაღაკის წყლის“ მიმდებარე რომელიმე ადგილს, მთაწმინდას, ანდა სოლოლაკის ქედს XVII-XVIII საუკუნეებში რეკონსტრუქციის („იმიტურუქის“). ამ კითხვას ეხმიანება ჩემს ხელთ არსებული საქართველოს საისტორიო ცენტრალურ არქივში მოძიებული, 1782 წელს შედგენილი გუჯარი: ფ. 1450, დავთარი 25, საქ. №103. 1782 წ.

„ჩვენ ყოველად სამღვდელმობან ტფილელ მიტროპოლიტმან გერმან ესე წყალობის წიგნი გიბოძე შენ ეკლესიისა ჩვენისა სიონთა ღმრთის მშობლის მკვიდრის ყმას და ერთგულებით გიორგის შვილთა შენთა თეოდორეს, იოსებს და პეტრეს და ყოველთა მოძავალთა სახლისა შენისათა, ასე, რომ ჩვენს ეკლესიას გარეთუბანი ბაღი, რომ აქუს

შემოწირული იმისი გუჯარი აცხადებს და ნიშნულად ჰსწერს, რომ სალა-ლაკის წყალი, რომ ჩამოვარდება იმ სარიგაჯს გასწვრივ გაღმა და გამოლ-მა ტუტრუკის წვერამდის სიონთა ღ-თის მშობლის მამული არის და ამ ეკლესიის მამულში ყოველად სამღვდე-ლოს მანგელს ნიკოლაოსს თაქალ-თოიანს და იმისს ძმას მცირე რამ ემუშავნათ წისქვილი გაეკეთებინათ და ერთი პატარა ბუჭუღა ჰქონოდათ ჭირვების დაქვეული იყო და ადგი-ლის მეტი არაღა იყო რა როდესაც ყოველის საქართველოსა მეფემან ირაკ-ლი მეორემან თანა ჯუარჩინებითა ძმასა თვისისა უნეტარესისა და უწმინდესი-სა პატრიარხისა მეფის ძის ანტონისა-თა და სამღვდელოთა კრებულთა ტფილელობა გვარწმუნეს და იძულებით დამტკევებელი მრავალ მთისა ნაპრაღ-თა ახლად ცად მცველებელისა დავით წმიდისა მამისა მონასტერისა და მის შინათა ძმათა არხიმარდრიტობისა მოვალ საყდრად ამაღ სამიტროპოლი-ტოდ საქმენი წმიდისა ამას ეკლესი-ისანი და განიხილენ გუჯარნი შესა-ბამისად გამოვიარე ვარაცხე მასგან პყრობად ამის ეკლესიისა მამულისა და შენ სიტყვითა ჩვენითა დაელაპარ-აკე შენთვისის განასარჯულობის ფასი მიეც და ის ადგილი მოგართვი წიგ-ნით მასუკან ჩვენ დაგვევედრე და ამ წისქვილის ადგილის წყალობა გვთხო-ვე ჩვენც ვისმინეთ ვედრება შენი და გიბოძეთ ეს საწისქვილე ადგილი წიგ-ნითა ამით სახლი ააშენე და წისქვილი მომართე და ღ-თან ეკლესიისა ერთ-გულად სამსახურსა და ჩვენს მორ-

ჩილებასა შინა მოგახმაროს... სიონის დეკანოზი ნიკოლაოს, კანდელაკი ისაკ... დაიწერა ხელითა ხუცეს სახლთუხუ-ცის ოსეს ძის იოანესითა თვისთა ნოემბერსა კე წელსა სიტყვისა ღ-თი-საც განცხორციელებითაგან ჩღპ (1782 წ.) ქართულის ქკს უო (470) ჩუჰნ ყ-დ სამღვდელო ტფილისის მიტრო-პოლიტი არსენი ვამტკიცებთ ივლი-სის იდ. წელსა ჩყკ (1820 წ.).“

მოყვანილი გუჯარი, უპირველესად ყურადღებას იპყრობს იმით, რომ პა-სუხსა სცემს მეტად საჩოთირო და აუცილებლად დასაზუსტებელ კითხ-ვას - „მთაწმინდას“, XVII-XVIII საუკუნეებში, ანდა საერთოდ „იშიტუტრუქი“ და თუ არა, მაშინ გა-რეთუბანში, რომელ ადგილის სახელი იყო იგი?

დავესესხები დამოწმებულ გუჯარს - „...რომ ჩვენს ეკლესიას გარეთუბანს ბალი, რომ აქუს შემოწირული იმის გუჯარი აცხადებს და ნიშნულად ჰსწერს, რომ სალალაკის წყალი, რომ ჩამოვარდება იმ სარიგაჯს გასწვრივ გაღმა და გამოლმა მალლა ტუტრუკის სიონთა ღ-თის მშობლის მამული არის“. გასარკვევია, თუ „ტუტრუქი“ რომელი მთის სახელია.

თბილისის 1735 წლის გეგმაზე, „თბილელის ბალი“ №42, გაშენებულია სოლოლაკის ქედის ჩრდილო-დასავ-ლეთ კალთის ძირში (დღევანდელი ამაღლების ქუჩის მარცხენა მხარეს) და კოჯრისაკენ მიმავალ - „კოჟრის გზა“-ს შორის.

არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ „თბილელის ბალი“-თან ერთად სიონის

ღეთისმშობლის ეკლესიის მამული უნდა იყოს და მგონია ეს ასეც არის, აღნიშნული ბაღის მიმდებარე ტერიტორია, თვით „ტუტრუქი“-ს წვერამდის.

უხერხულ მდგომარეობიდან გამოყვარ 1800 წლის (შემდგენელი კაპიტანი ჩუიკო) [16] „

“ და 1802 წლის (შემდგენელი ტიხონოვი) [17] „

“ თბილისის გეგმებს, სადაც „თბილისის ბაღი“-ს მაღლა მდებარე „სოლოლაკის ქედის“-ს წვერზე, თავზე დატანილია ქედი სახელად „იმიტუტრუქი“... რაც ყოველგვარი ჭოჭმანის გარეშე უფლებას მძღვეს აღვნიშნო, „ტუტრუქი“-ს და „იმიტუტრუქი“-ს იგივეობის უტყუარობა (ამის შესახებ იხილეთ 48, 195-198;11; 408-416).

დაბოლოს, მინდა „იმიტუტრუქი“-ს სახელის წარმომავლობასა და თბილისში მის გაჩენაზე ვისაუბრო.

ზემოთ უკვე ვთქვი, რომ თბილისში ხალხთა დასახლებას ხშირ შემთხვევაში თან სდევდა ადგილთა საკუთარი სახელების თავიანთ ენაზე თარგმნა და მათი დამკვიდრების მცდელობა. ამის შედეგად, ზოგი შემორჩა და დღესაც უცხოურ სახელს ატარებს, ზოგის არსებობა მეტად ხანმოკლე აღმოჩნდა და ისინი მხოლოდ საისტორიო წყაროების კუთვნილებად შემორჩა. ერთ-ერთი ამათგანია „იმიტუტრუქი“.

„იმიტუტრუქი“, ლეონ მელიქსეთბეგს ახსნილი აქვს, როგორც მცენარე, რომელსაც სახედრები ჭამდნენ.

ბოტანიკოს ალ. მაყაშვილს თბილისის მიდამოებში მიკვლეული აქვს მცენარე სახელად - „ვირისტერფა“. მკველვარი, მცენარეს ასე ახასიათებს: „კალათა საშუალო ზომისაა, ღეროზე ჩვეულებრივ ერთი ზის. საბურველი ცილინდრულია, მისი ფოთლები ერთ მწკრივადაა განლაგებული და მათ ძირში კიდევ მოკლე ფოთლებია განვითარებული... კალათა 8-10 მმ. სიგანისაა, კაშკაშა ყვითელი. იზრდება ტენიან ადგილებში, ჩამონაზვავებზე, ღელეებსა და მდინარის პირებზე. გვხვდება წავკისის ხევის გაყოლებაზე, კოჯრის გზის პირზე...“ [20, 180].

მოყვანილ ამონარიდში ორი რამ არის საინტერესო, მცენარის სახელი „ვირისტერფა“ და მისი გავრცელების არეალი, ადგილის დახასიათება, სადაც იგი იზრდება და ბინადრობს. მისი გავრცელების ადგილიც სწორედ ისაა, რომელსაც ჩემ მიერ დამოწმებული საისტორიო წყაროები - (ბერი ეგნატაშვილი, ვახუშტი) „იმიტუტრუქად“ მოიხსენიებენ - წავკისის ხევი და კოჯრის გზა.

ვფიქრობ, ნათქვამი უფლებას მძღვეს აღვნიშნო, რომ შეცდომა არ უნდა იყოს, თუ „ვირისტერფა“-ს და „იმიტუტრუქს“ იგივეობას ვიტყვი.

„ვირისტერფა“-ს და „იმიტუტრუქს“-ს სახელთა მსგავსებაში იმდენი საცდური არის, რომ მათ იგივეობაში ეჭვის შეტანა ყოველგვარ საფუძველს უნდა იყოს მოკლებული.

### ლიტერატურა:

1. დასტურლამალი, ქართული სამართლის ძეგლები, ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევები, ლექსიკონები და საძიებლები დაურთო ი. სურგულაძემ, თბ., 1970.
2. ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, „ქართლის ცხოვრება“, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. IV, თბ., 1973.
3. საქართველოს ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. 11. №2079.
4. ბერი ეგნატაშვილი, ახალი „ქართლის ცხოვრება“, პირველი ტექსტი, ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. II, თბ., 1959.
5. გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, გ. გელაშვილის რედაქციით, ტ. I, 1962.
6. . . . , 1858
7. . . . , 1866.
8. . . . , 1875.
9. ლ. მელიქსეთ-ბეგი, ვახუშტისეული „იშითუტრუქისა“-თვის, ძველი თბილისის გარშემო, საისტორიო მოამბე, ტ. 2, 1924.
10. ვ. ბერიძე, მე-18 საუკუნის თბილისი ვახუშტის გეგმის მიხედვით, ანალები, ტ. I, 1947.
11. შ. მესხია, მცირე შენიშვნა ძველი თბილისის ტოპონიმიკიდან („იშითუტრუქის“ მდებარეობის საკითხისათვის), საისტორიო ძიებანი, ტ. III, 1986.
12. შარდენის მოგზაურობა (ცნობები საქართველოს შესახებ), ფრანგულიდან თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო მ. მგალობლიშვილმა, თბ., 1975.
13. ტურნეფორი, მოგზაურობა აღმოსავლეთის ქვეყნებში, ფრანგულიდან თარგმნა, შესავალი და კომენტარები დაურთო მ. მგალობლიშვილმა, თბ., 1988.
14. მ. მერძენიშვილი, თბილისის გარეგანი სახე XVIII საუკუნეში, თბ., 1965.
15. საქართველოს სიძველენი. ტ. III, ექ. თაყაიშვილის რედაქტორობით, ტფ. 1910.
16. . . . , 10807.
17. . . . , 22659.
18. თ. ბერიძე, „ვახუშტის იშითუტრუქის“ ადგილის მისანიშნებლად, „მაცნე“, №5, 1971.
19. ალ. მაყაშვილი, თბილისის მიდამოების ფლორა, ტ. II, თბ., 1953.

**Teimuraz Beridze**

### Once More About the Meaning of the Word "Ishitutruki"

#### Summary

A mechanical mistake made by Vakushti Bagrationi (a well-known Georgian historian and geographer of the 18th century) in his "Description of the Kindgom

---

---

of Georgia" about the identity of the words "Mtatsminda" and "Ishitutruki" is not considered to be mistake by a number of scholars.

On the basis of comparing and adjusting various pieces of information, presented in the 17th-18th century sources and graphic images (1672, 1701, 1735, 1785, 1801, 1802, 1809), in the pictures and plans of Tbilisi I assert that "Ishitutruki" (the Sololaki Range) and "Tutruki", mentioned in the deed given as a favor in 1782, are the names of one and the same place.

And also in spite of the difference of the names of the plants "Viristerpa" (colts-foot) and "Ishitutruki" at a glance, (both names of the plant are connected with a donkey), they grow in similar surroundings and natural conditions (river bank, nearness to the water damp places).

Both plants occur in similar places - along the Tsavkisi Tskali, at the edge of the Kojori road.

Thus, both plants - "Viristerpa" and "Ishitutruki" are synonyms.

**თეიმურაზ ბერიძე**

ისტორიის მეცნიერებათა  
დოქტორი, პროფესორი,  
თბილისის საპატო მოქალაქე

## "დინამო" ჩვენს ოჯახში

”

...

,

”.

”

100 ”,

, 1997 .

მამა, სერგო შუდრა, თბილისის „დინამოში“ 1943 წელს ჩარიცხეს და იქ, 1951 წლამდე თამაშობდა, ვიდრე ასაკის გამო გუნდი არ დატოვა. 1944წ. მას მიანიჭეს სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატის წოდება. ამ წლებში ის, ხელფასის გარდა, მოსკოვის ყოველთვიურ „პაკეტსაც“ იღებდა. სტალინის მმართველობის წლებში ეს კვალიფიციური სპეციალისტებისთვის წახალისების მიღებული ფორმა იყო (დაახლოებით ხელფასის ოდენობის თანხა, რომელიც არ იბეგრებოდა). „დინამოს“ გუნდს (რადგან შინაგან საქმეთა სამინისტროში შედიოდა) მოსკოვიდან ლავრენტი ბერია კურიერებდა. მამას უთქვამს, საკმარისი იყო წაგებისას სტალინს უბრალოდ ჩაელაპარაკა „ეს რა მოუვიდათ ჩვენს ბიჭებს“, რომ გაცეცხლებული ბერია გუნდს თათბირზე შეკრებდა, სადაც თურმე ხშირად უთქვამს : „ამ რუსს მაინც მიბაძეთო“...(მამაჩემს გულისხმობდა).

ერთ-ერთ თამაშში ფეხიდან ბურთის აცლისას, მოქნეული ფეხი მამას ნიკაპში მოხვედრია. გონება დაკარგავია (ბუცების „შიპები“ მაშინ უხეშად, ლურსმნებით იჭედებოდა) და ქალაქში ხმა გავრცელდა, შუდრა ცოცხალი



აღარ არისო. თუმცა, ნაკერები დაადეს და რამდენიმე დღე სიცხიანი, გაბრუნებული იწვა.

საპასუხისმგებლო მატჩი ელოდათ, ძლიერი მეკარე არ ჰყავდათ და გუნდმა სთხოვა: „ოღონდ უბრალოდ, კარში დადექი, შენსკენ ბურთს არ გამოვუშვებთო“. მიუხედავად ამისა, როგორც ხდება ხოლმე, მამა თამაშში აქტიურად ჩართულა.

თამაშის შემდეგ კი სიცხესაც დაუწევია და აზროვნებაც დაუბრები. მამა ამბობდა ხოლმე, ეს მატჩი,

რომ არ მეთამაშა, შესაძლოა, მთელი ცხოვრება ინვალიდად დავრჩენილიყავიო.

ახალგაზრდობაში, მამას ექიმებმა სათვალის ტარება დაუნიშნეს (ჩვენ, გენეტიკურად სუსტი მხედველობა გვაქვს), მაგრამ როგორც ფეხბურთელს და სოფელში აღზრდილს, თავი შეუკავებია. მოძრავი ბურთის ცქერამ მას მხედველობა გამოუსწორა. ეს ყოველთვის მაცნობდა, მაგრამ ახლანაწი წავიკითხე მხედველობის კორექციის ახალ მეთოდზე, რომელიც თვალის „გაზარმაცების“ მიზეზად სათვალეს მიიჩნევს.

იმ წლებში, თანამედროვე მკითხველისთვის უჩვეულო ნორმები არსებობდა: ფეხბურთელებს გატანილი გოლის შემდეგ ეკრძალებოდათ ემოციების გამოხატვა (გადაკოცნა, ხელების ქნევა, ხტომა და ა.შ.) – ითვლებოდა, რომ ეს „საბჭოთა სპორტსმენს“ არ ეკადრებოდა.

სტადიონი „ბერიას სახელობის“ იყო. მატჩზე მოხვედრა პრობლემას წარმოადგენდა, სალაროებთან ცხენოსანი მილიცია იდგა, ახალგაზრდები ლითონის მაღალ ღობეზე გადაძრომას ცდილობდნენ. გავრცელებული ყოფილა ყალბი ბილეთების დახატვა, ამიტომ, ფეხბურთელებს ნებას აძლევდნენ, სალაროდან წინასწარ წაეღოთ 50-მდე ბილეთი სიმბოლოურ, 10 კაპიკიან ფასად, თავიანთი ნაცნობებისთვის. უფასო და ფასიანი აბონემენტები მოგვიანებით შემოვიდა.

კარის ძელი ხის იყო, ამიტომ ბაღე პირდაპირ ზედა ძელიდან ეშვე-

ბოდა და გატანილ ბურთს ხშირად უკან ისხლტდა ხოლმე. ლითონის ძელზე გადასვლის შემდეგ, ბაღემ ფორმა შეიცვალა და მსაჯებიც გარკვევით აფიქსირებდნენ გოლის გატანას.

თამაშის წინ გუნდს რამოდენიმე დღე ოჯახებში არ უშვებდნენ. ოღონდ მატჩი მოეგოთ – საწოლზე იყვნენ წამოწოლილი და ლაზღანდარობაში ზარმაცდებოდნენ: მამამ, ცნობილი ხელოსნის შვილმა, ჩაქურჩის ხმარებაც კი არ იცოდა. მას არავითარი საოჯახო-სამეურნეო საქმიანობა არ ეხერხებოდა.

წაგებული თამაშის შემდეგ კი გუნდი დიღმის ბაზაში მიჰყავდათ (მაშინ იქ უკაცრიელი მინდორი იყო). ერთსართულიან შენობაში, სასადილო დარბაზში ვახშმით უმასპინძლებოდნენ და კინოფილმს (იმავე დარბაზში) აჩვენებდნენ.

ქუჩაში ფეხბურთელებს უცნობი ადამიანები აჩერებდნენ (ამიტომ, მამა ცდილობდა, ყოველთვის სუფთად ჩაცმული ყოფილიყო) და იქვე, ჯიხურის ლულზე ეპატიჟებოდნენ (ასე შემდეგ ბევრი გალოთდა).

საზღვარგარეთ კი (მამა რუმინეთსა და ირანშია ნამყოფი) ყველანი ერთნაირ, შავ კოსტუმებში დადიოდნენ და იქ, ეს უკვირდათ.

1945 წლიდან, გუნდის თხოვნით, მწვრთნელი, ფრონტიდან დაბრუნებული ანდრო ჟორდანიას გახდა, ღირსეული და დამსახურებული პიროვნება. რამდენჯერმე გააგდეს საქართველოდან და რუსეთში, მოსკოვთან ახლოს ქალაქ ივანოვოში მუშაობდა ხოლმე

(ცოლ-შვილი იქ ჰყავდა). კარგი ფსიქოლოგი ყოფილა. მაგალითად, ბერეჟნის თამაშის წინ უმიზეზოდ ეჩხუბებოდა: „...“  
გაბრაზებული ბერეჟნო იგინებოდა ხოლმე - „...ბუცებში წინდებს ექაჩებოდა და ენერგია ეძლეოდა... მამას კი (იცოდა რა მისი მგრძნობიარე ხასიათი), მხოლოდ მხარზე დაადებდა ხელს და ეტყოდა: „შენი იმედი მაქვსო“.



გუნდის კაპიტანი ბორის პაიჭაძე იყო. მის სპორტულ და ადამიანურ თვისებებს „მოგონებებში“ ცალკე თავი აქვს მიძღვნილი (მომდევნო სტატიაშია („პაიჭაძე ისევ პაიჭაძეა“)). აქ კი მხოლოდ მის ოჯახს გავიხსენებ.

მეუღლე, მარგო, კახელი იყო, იშვიათი გამძლეობის და ადამიანური თვისებების ქალი. „ქვა და რკინაა, რაც ქმარია, ის ცოლია,“ – ამბობდა დედამჩემი.

უფროსი ვაჟი, რამაზი, ფეხბურთს კარგად თამაშობდა, ოთარი კი უმცროსი იყო.

ჩვენი ოჯახები ზაფხულში, კოჯორში, ერთად ისვენებდნენ: „დინამოს“ უზარმაზარ (გერმანიის ნადავლ) საბარგო მანქანის ძარაზე, შეფუთულ ლოგინებზე ვისხედით ხოლმე. ოთარმა ცოლი ადრე მოიყვანა – ულამაზესი თანაკლასელი. მალე ოთარს ღამით დილოში (მაიაკოვსკის ძეგლთან, ტრასაზე) მანქანა დაეჯახა და გარდაიცვალა. მძლოლი იპოვეს, მაგრამ დიდი თანამდებობის პირი ყოფილა და არ გაახმაურეს. რამაზი მშენებელი ინჟინერია. ბოლოს, „დინამოს“ სტადიონის მთავარ ინჟინრად მუშაობდა და მაინც გაათავისუფლეს.

ბავშვობაში, ოჯახი ჩვენსკენ, ჩუღურეთში, ამჟამად მაზნიაშვილის ქუჩაზე ცხოვრობდა. შემდეგ (1948 წლამდე), თევდორე მღვდლის ქუჩაზე, ახალ ლამაზ სახლში (სასტუმრო „კოლხეთის“ უკან) გადავიდნენ.

ფეხბურთს რომ თავი დაანება, პაიჭაძე უკვე მარჯანიშვილის მოედანზე, ახლადამშენებულ სახლში ცხოვრობდა (ახლა მის ბინაში ცნობილი მსახიობი ოთარ მეღვინეთუხუცესია). ყოველთვის მეამაყებოდა, რომ სადარბაზოში, ყველას, მუხის ან რკინის კარი ჰქონდა, პაიჭაძეებს კი (ბოლო სართულზე) ძველი კარი დაეტოვებინათ.



ნათ, ყოველგვარი „სამზერის“ გარეშე, რომელზეც უბრალო ფანქრით იყო მიჯღაბნილი - „პაიჭაძე“.

ასაკში რომ შევიდა, ბორისს „ენგურჰესის“ ღირექციამ პატივი სცა და თანამშრომლების სახლში, პრესტიჟულ ადგილზე – ვაკის პარკთან, ახალი ბინა მისცა.

ბორისი ძალიან ნაკითხი და პატიოსანი კაცი იყო: „ამ სახლში სულ ქურდები ცხოვრობენ,“ – უთქვამს ჩემთვის. „მოპარული ცემენტი არ დაინახო შინ“ – ეჩხუბებოდა ხოლმე მშენებელ შვილს. როგორც პოპულარულ ადამიანს, უჩვეულოდ დიდი არქივი ჰქონდა: ერთი დიდი ტომარა, სავსე ფოტოებით. კინოარქივი კიდევ ცალკე იყო (და ეს მასალა დღემდე დაუხარისხებელია).

სიცოცხლის ბოლო წლებში ბორისი მოღუშული, გაჩუმებული იყო და ჩვენთან, სტუმრებთან, არც გამოდიოდა.

ბ.პაიჭაძის შემდეგ, გუნდში დიდი ავტორიტეტი გაიოზ ჯეჯელავას ჰქონდა. ისიც ჭკვიანი იყო. „ლამით ყველას რომ გვეძინა, ის ბლოკნოტში სულ რაღაცას ინიშნავდა“ – ამბობდა მამა. ის დაუახლოვდა მოსკოვის „ „ გუნდის შეფს, ვასილ სტალინს და მოსკოვში კარგი კარიერა გაიკეთა. ვასილი რომ ყაზანში, ლოთების გარემოცვაში საეჭვოდ მოკლეს, მისი ნორმალური დაკრძალვა და შემდეგ, მოსკოვში გადმოსვენებაც გ.ჯეჯელავას დამსახურებაა.

გაიოზის ძმა, სპარტაკი, „დინამოს“ ყოფილი ფეხბურთელი, კამოს

ქუჩაზე პატარა წარმოების ღირექტორი იყო.

გაიოზი კი, ასაკში რომ შევიდა, გაჯის ქარხნის (ვაზიანთან) ღირექტორი გახდა, მცხეთაში აგარაკი აიშენა, ქეიფს და ქალებს არ იკლებდა. ბოლოს სიარული უჭირდა და პაიჭაძის გუნდიდან ყველაზე გვიან, ღრმა მოხუცი გარდაიცვალა.

კარგი ფეხბურთელი იყო ვიქტორ პანიუკოვიც. ისიც მარჯანიშვილის მოედანზე მანსარდის სართულზე (ვახტანგ ჭაბუკიანის ზევით) ცხოვრობდა. ფეხბურთს თავი რომ დაანება, 35-ე სკოლაში მუშაობდა. ლამაზად იცვამდა, სერიოზული, კარგი მეოჯახე იყო და შვილს, დიმას, კარგად ზრდიდა. შემდეგ ბაქოს "ნეფტიანის" გუნდს წვრთნიდა. როგორც ხდება ხოლმე, ნელ-ნელა გაალოთეს. ხოლო როდესაც მისი თანამდებობა მოუწდათ, ინტრიგა მოუწყეს: დაათვრეს, დაუძახეს უფროსობას და ამ მდგომარეობაში აჩვენეს. მოახსენებინეს გუნდიდან. ვიქტორს ისე ეტკინა გული, ქუჩის „ბასიაკად" იქცა. ღამეს, ყოფილ „გორკის პარკში" (ამჟამად „ვარდების ბაღში") სკამზე ათევდა.. ბევრჯერ მინახავს პლენ-ანოვზე, დამონძილი ტანსაცმლით, დღისით-მზისით, ხალხში ხესთან შარ..ვდა... მამა თვალებზე შლაპას ჩამოიფარებდა ხოლმე – არ მიცნოსო.

როგორც კარგი ფეხბურთელი, „დინამოელებმა" პანიუკოვი დიდი პატივით დაკრძალეს.

დიმას კი „გეპეიში" კარგი სპეციალისტის სახელი ჰქონდა, შემდეგ



თბილისის „დინამოს“ სტადიონი  
რეკონსტრუქციამდე. 1950 წ.

კომპიუტერებს არემონტებდა და მისი კვალი დამეკარგა.

„დინამოელი“ გოგი ანთაძე, რომელიც ფოთიდან გადმოიყვანეს, ჩემი ბავშვობის წლებში, ასე ვთქვათ, „სტადიონის საათში ცხოვრობდა“ (საათი მაშინ ისრებიანი იყო). იქ მის ოჯახს 1 თუ 2 ოთახი ჰქონდა. შემდეგ, ბინა ვაკეში, რიგის ქუჩაზე მიიღეს (თითქმის ყველა „დინამოელი“ იქ ცხოვრობდა). ანთაძემ ფეხბურთს, თავი რომ დაანება, მალე, პეკინის ქუჩაზე ცნობილი სპორტმალაზიის დირექტორი გახდა. შემდეგ რალაც დანაკლისზე დააპატიმრეს და მამას ხელმოწერისთვის პატიების ქალაქი მოუტანეს. ასეთ სიებში პირველი ყოველთვის ნონა გაფრინდაშვილი იყო ხოლმე.

ანთაძე კარგი დეკლამატორი იყო – სპორტსმენთა კონცერტებზე თავის იუმორისტულ ლექსებს კითხულობდა. გოგი ანთაძეს კარგი, განათლებული ქალ-ვაჟი დარჩა. მათაც ძლიერი ოჯახები შექმნეს.

ცნობილ „დინამოელს“ იბრაგიმ სარჯველაძეს ნაკლებად ვიცნობდი.

მასსოვს მხოლოდ, მისი ახირებული ხასიათი: ახლადშემოსული პრესტიჟული ავტომანქანა “ ”- ი რომ შეეძინა, სახლიდან ყველაფერი გაყიდა და სიმპათიური ახალგაზრდა ცოლიც გაუშვა...

ასლან ხარბელიას ეკონომიკური განათლება ჰქონდა, ამიტომ ფეხბურთს, რომ თავი დაანება, მალე მარჯანიშვილის ქუჩაზე დიდი უნივერსალის დირექტორად დანიშნეს (ახლა იქ „თი-ბი-სი“ ბანკია). უყვარდა თანაგუნდელების დახმარება (ავეჯის შეძენაში და სხვ.). შემდეგ, მოხსნეს<sup>1</sup> და ბოლოს დილოში ვნახე, თერაპიის ინსტიტუტის სამეურნეო სამსახურის უფროსად.

მამა რომ ასაკში შევიდა, სულ ცდილობდა თავისი შემცველი აღეზარდა. ასეთი იყო ვოვა მარლანია. ის კიევის ქუჩაზე, კარგ სახლში ცხოვრობდა. ველოსიპედით სიარული, სწორედ, მარლანიამ მასწავლა. ის ავტოავარიაში გარდაიცვალა. მისი ვაჟი ძალიან გვიან გავიცანი – შინაგან საქმეთა სამინისტროში მუშაობდა.

„პენალტის უბადლო ოსტატის“ სახელი ჰქონდა მიხეილ ბერძენიშვილს. სპორტსმენები ხშირად იკრიბებოდნენ მის აგარაკზე, წყნეთში. როდესაც პაიჭაძე „დინამოს“ სტადიონის დირექტორი გახდა, ბერძენიშვილი მოადგილედ მიიწვია.

გრიშა გაგუამ, ფეხბურთს თავი რომ დაანება, ბავშვთა გუნდების კარგი

1 არ აპატიეს იმხანად „შერისხული“ ცკ მდივანის დევი სტურუას ოჯახთან კონტაქტი

მწვრთნელის სახელი მოიპოვა. ის მე 90-იან წლებში გავიცანი. „დინამოს“ სტადიონის ადმინისტრაციაში მუშაობდა. ჩემი თხოვნით, მთავრობის ლოჟა დამათვალიერებინა.

კარს, რომ აღებდა, მითხრა: „ისე, უფლება კი არ მაქვსო“. ლოჟის უკან მოწყობილი იყო სასადილო ლამაზი ბუხრით, სადაც მაჭჩის წინ, თურბე, ცხელ სადილებს მიირთმევდნენ. „მე ვთხოვე შევარდნაძეს, რომ ჩვენი ვეტერანებისთვის ყურადღება მიექცია, მან კი პასუხიც არ გამცა“, – წუხდა გ.გაგუა. საკმაოდ ასაკში შესული გ.გაგუა ქობულეთში ასლან აბაშიძემ მიიწვია და კარგი პირობები შეუქმნა. სამწუხაროდ, 2009 წელს მისი მეზობლებისგან შევიტყვე, რომ სკლეროზი დაწყვია.

ახალგაზრდობაში არ ვიცნობდი აფხაზეთიდან (სოხუმიდან) გადმოყვანილ მცველს ნიაზ ძიაპშას. ის, შემდეგ ნოდარ ახალკაცთან ერთად „დინამოში“ მუშაობდა. მისი შვილი, ნწ წლის ასაკში გავიცანი: მგონი, მშენებლობის სამინისტროს მუშაკი იყო, სერიოზული და ჭკვიანი კაცი იყო.

ასეთივე სოლიდური განათლება მიიღო ავთანდილ (ბასა) ლოლობერიძის შვილმა, თენგიზმა (საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების განხრით). ისიც საქმიანი, ფხიზელი ადამიანი ჩანდა. დედამისი, მიმი, საოცარი სილამაზის, ნაზი აღნაგობის ქალი იყო, რომელიც იდეალურად უვლიდა ავტოავარიის შემდეგ, წლობით პარალიზებულ ქმარს.

1949 წელს, როდესაც ჩვენ მარქსის (ვორონცოვის) მოედანთან, (ახლა

წინამძღვრიშვილის ქუჩა) ოროთახიანი, არაიზოლირებული ბინა მივიღეთ, ლოლობერიძე უცოლო იყო და სასტუმროში ცხოვრობდა. ერთი ჩვენი ოთახი დროებით მას გამოუყვეს, მაგრამ არ შეაწუხა ოჯახი და სასტუმროში დარჩა.

გუნდში, მამასთან ერთად თამაშობდნენ აგრეთვე ა. კიკნაძე, გ. ჯორბენაძე, ბ. ფროლოვი და სხვები, მაგრამ მე მათ ნაკლებად ვიცნობდი.

მამა, ეროსი მანჯგალაძეს, სულ ახალგაზრდას, როგორც დამწყებ რადიოკომენტატორს იცნობდა. „გადაცემის წინ, ეროსი ყბის კუნთებს ავარჯიშებდა ხოლმე“ – მასწავლა მამამ. დღემდე ამ რჩევას ვიყენებ ლექციის დაწყების წინ.

იმ წლებში, სპორტკომიტეტის თავმჯდომარე დიდხანს იყო გ. სიხარულიძე, გამოცდილი ადმინისტრატორი, განათლებით – ელექტრიკოსი. მისი ძმა რომელიღაც გუნდს ავარჯიშებდა. რატომღაც ფეხბურთელები, ვიწრო წრეში, რომ დაღვედნენ, სულ მათ კრიტიკაში იყვნენ: „დიდი სიხო, პატარა სიხო...“

სერგო კოტრიკაძეს, ახალგაზრდობაში, ლესელიძის სპორტულ პანსიონატში დასვენებისას, ყოველდღე მამასთან ვხედავდი. 2009 წელს, ამ შთაბეჭდილებით მასთან ფეხბურთის ფედერაციაში მივედი (მეკარე გაბელიაძე იქვე იჯდა მოწყენილი). ცივად მომესალმა, ხასიათზე არ იყო. შევჩვილე, რომ მამა სპორტის დეპარტამენტის არქივის ინტერნეტ-სიებში გამორჩენიათ. დახმარების ნაცვლად, აქეთ შე-



*ივანე (ვანო) შკურა*

მომჩივლა: „არავის არ ვჭირდებიო“ და ოთახიდან გავიდა.

მანუჩარ მაჩაიძე (რომელსაც ბიძაჩემმა ვანომ დააწყებინა თამაში), ე.შევარდნაძის მიერ სპორტის სასახლეში, კომკავშირის აქტივისტებისთვის მოწყობილ საახალწლო სუფრაზე გავიცანი – ლამაზი, სიგარეტიანი ქალების გარემოცვაში.

სამოცდაათიანი წლების ბოლოს ის წარმატების ზენიტში იყო და ცხადია, მალე დავავიწყდი. შემდეგ, 59 წლის რომ გახდა (ალარ იყო პარლამენტის, თბილისის საკრებულოს წევრი და მხოლოდ ლილოს სამშენებლო ქარხნის დირექტორად მუშაობდა), ბიზნესის აკადემიის სხდომებს (როგორც წევრები), ერთად ვესწრე-

ბოდით ხოლმე. ავინებდა ყიფიანს, ჩივაძეს, ახალკაცს – ფეხბურთი არ იცინაო. ახლა, ძნელი წარმოსადგენია, მაგრამ ნ.ახალკაცთან კონფლიქტის პერიოდში, ვესწრებოდი მატჩს, რომელზეც მაჩაიძე არ გამოიყვანეს და მაყურებელი, მისი გვარი ხმამაღლა რომ ახსენა, იქვე ჩაჩუმეს.

სხვა „დინამოელებთან“ მე პირადი კონტაქტი არ მქონია, თუ არ ჩავთვლით ძლიერ ფეხბურთელს, გივი ჩოხელს, რომლის ბინაშიც (პავლოვის ქუჩაზე), სულ ათიოდე წუთი დავყავი: ის, მაშინ, რესპუბლიკის ავტონისპექციის ( ) უფროსის მოადგილე იყო.

საოცარია, რომ „დინამოელები“ ერთმანეთში სტუმრად არ დადიოდნენ და ჩემი დაკვირვებით, არც მეგობრობდნენ. პირიქით, მათ შორის (მსახიობებივით) ურთიერთშუღლს უფრო ვგრძნობდი. (მამა მხოლოდ პაიჭაძესთან მეგობრობდა, ისიც, ასაკში რომ შევიდა).

1951 წელს, ფეხბურთს, რომ თავი დაანება, მამის გადაყვანა პარტიის ცკ აპარატში უნდოდათ. შეავსებინეს ანკეტა. სოფელში გაზრდილმა, რუსული კარგად არ იცოდა, გრამატიკაში შეცდომა დაუშვია და ამიტომ თავაზიანი უარი უთხრეს - „ცუდი ხელწერა გქონიაო“.

1955 წლამდე მამა, „დინამოს“ მესაზღვრეთა სპორტული კლუბის ხელმძღვანელად მუშაობდა, პრაქტიკულად კი შინაგანი ჯარების სამხედრო გუნდებს ავარჯიშებდა (შემდეგ – ფიზკულტურის ინსტიტუტის უფროსი მასწავლებელი გახდა).

იმ წლებში, მამას ფეხბურთელთა პროფესიული დაავადება – რადიკულიტი დაეწყო. თვეობით იწვა ხოლმე შინ. წლობით მკურნალობდა წყალტუბოში. მას ჰქონდა აგრეთვე, ჩატეხილი რამდენიმე ნეკნი და ნაკერები სახეზე. „ჩვენ, სახელმწიფოს შემოსავლისთვის, გლადიატორებივით ვჭირდებით,“ – უთქვამს მამას. სხვა მხრივ კი კარგი ჯანმრთელობა ჰქონდა, ისე გარდაიცვალა, კბილის ექიმთან არ ყოფილა.

მატჩის დღე მისთვის დიდი ზეიმი იყო. რატომღაც, ჩემი წაყვანა არ უყვარდა. ერთი საათით ადრე მიდიოდა, დირექტორის – პაიჭაძის ან მოადგილის – ბერძენიშვილის კაბინეტში ბაასობდა. დინამიკებიდან ქართული სიმღერების ჰანგები ისმოდა... ჯიბეში „სპორტის დამსახურებული ოსტატის“ და სტადიონის მუდმივი საშვის წითელი წიგნაკები ელო (სადაც ჩარტყმული იყო შტამპი „...“). დასავლეთ ტრიბუნის უფასო აბონემენტიც ჰქონდა, ასე რომ, უბილეთო, ერთი-ორი კაცის შეყვანა ყოველთვის შეეძლო.

მთავრობა შავი „ვოლგებით“ მოდიოდა. მათი ლოჟა ფეხბურთელთა შესასვლელის გვერდით იყო. „ანტენიან მანქანებთან“ ხშირად ვხვდავდი, თეთრ პერანგში, კონტად ჩაცმულ, მუდამ ხალისიან ს.ხაბეიშვილსა და ო.ჩერქეზიას.

ფეხბურთს მონაწილეთა ლოჟიდან ვუყურებდით (აბრაზე ეწერა). იქ ადგილები არ იყო დანომრილი. ჩვენს უკან მთავრობის ლოჟა იყო და თითქმის ყოველი გოლის გატანაზე დასავლეთ ტრიბუნის ეს უბანი, ტრადიციულად, ფეხზე დგებოდა და უკან იყურებოდა – ალბათ მთავრობის წევრთა რეაქცია აინტერესებდა. მათი გულის მოგებას ქალაქის მილიციის გაჯგიმული მაღალჩინოსნებიც ცდილობდნენ.

იმ წლებში, დასავლეთ ტრიბუნის წინ, ინვალიდთა მოტორიანი ეტლები იდგა ხოლმე. ომისშემდგომ წლებში ფეხბურთის მატჩზე ბევრი ყავარჯნიანი ხეიბარი მოდიოდა, უმეტესობა მთვრალი. მილიცია, რომელიც იმ წლებში განსაკუთრებით უხეშად მუშაობდა, მათ უმოწყალოდ, ხალხის თვალწინ ურტყამდა და მერე თავიანთ მანქანებისკენ მიათრევდა.

ლოჟაში, ნახავდით ეროსი მანჯგალაძეს, კოტე მახარაძეს, მწვრთნელებს,



უფრ. ლეინტენატი ს.შუღრა. ანაპა. 1953 წ.



ვეტერანებს, ასევე უნივერსიტეტის პროფესორ ქალებს: ციალა სვანიძეს და მარია კალანდაძეს, ფეხბურთის დიდ მოყვარულებს. ხშირად, ტელევიზიას მე ჩამოსულ სტუმარში ვეშლებოდი (იერსახის გამო). ერთხელ, მწვრთნელ, ნოდარ ახალკაცის<sup>2</sup> შემდეგ (რომელიც ჩემს უკან იჯდა და მხოლოდ საერთო ხედით აჩვენეს), ახლო "პლანით" კრანზე მეც აღმოვჩნდი. უნდა გენახათ, უნივერსიტეტში რამდენს ხუმრობდნენ მეორე დღეს...

შესვენებისას, მამას გასახდელში უყვარდა შესვლა, სადაც დოლის ცხენებივით გახვითქული ფეხბურთელები ტალახიანი მაისურებით, მეთლახის იატაკზე ბუცების კაკუნით შხაპის მისაღებად შედიოდნენ. იქვე იყო სამედიცინო სამსახური, ფიზიოკაბინეტები...

თამაშის შემდეგ, როცა ხალხის უზარმაზარი მასა ცენტრალური ჭიშკრისკენ მიემართებოდა, მამა რამდენიმე ვეტერანთან ერთად მოდიოდა. ისინი ერთმანეთს შთაბეჭდილებებს უზიარებდნენ. მათ გარშემო მაშინვე 10-15 – კაციანი ჯგუფი გროვდებოდა და მათ მსჯელობას მოწიწებით ყურს უგდებდა...

1935 წელს გახსნილი სტადიონი, ორმოცდაათიან წლებში, 40 ათას მაყურებელს იტევდა. შემდეგ, 1976 წელს, იგივე არქიტექტორმა, არჩილ ქურდიანმა და მისმა ვაჟმა, 80 ათას ადგილიანი სტადიონი ააშენეს. პრობლემა იყო სტადიონის დაცლა მატჩის შემდეგ, რისთვისაც ახლომხლო ქუჩებიდან შენობები უნდა აეღოთ. მალე საქართველოში ფეხბურთი ჩაკვდა (ამის პროგნოზს მამა ჯერ კიდევ ნახალკაცის დროს აკეთებდა: „ამოქაჩა ერის რესურსი“). სტადიონის გაფართოებას აზრი აღარ ჰქონდა და ამიტომაც, რომ სტადიონის ტრიბუნები ზოგან ლითონის ღობის ზემოდან გადმოდის.

ფიზკულტურის ინსტიტუტის ლექტორად მუშაობის წლებში, მამა საერთაშორისო მატჩებში გოლების გატანის სტატისტიკით დაინტერესდა. რამდენიმე წელი, თამაშის წინ, ტელევიზორთან წამშობით და ქალაქით შეიარაღებული ემზადებოდა. გამოაქვეყნა რამდენიმე ორიგინალური შრომა ინსტიტუტის კრებულში და მოსკოვშიც.

2 მისი შვილი, რომელიც დოლის წინ დარბოდა ხოლმე, ახლა ძლიერი იურისტი და ჩემს შვილს უკითხავდა ლექციებს





მაშინ ფეხბურთის თეორიაში ეს სრულიად ახალი მიმართულება იყო. მრავალი წლის შემდეგ (მე განათლებით კიბერნეტიკოსი ვარ), წავიკითხე, რომ ინფორმატიკის ერთ-ერთი მიმართულება (მონაცემთა ბაზები Oracle) პირველად, სწორედ, ამ მიზნით შექმნილა.

სიცოცხლის ბოლომდე მამას, კარგი რეაქცია ჰქონდა ბურთზე – როცა სრულიად მოულოდნელად ოთახში დიდი ძალით ვესროდი ხოლმე, არ მახსოვს, რომ არ დაეჭიროს.

მამის ადამიანურ თვისებებს და ხალხის სიყვარულს, მის ავტორიტეტს, როგორც მიღებულია, გაქნილი ადამიანები ხშირად მერკანტილური, ეგოისტური მიზნებით იყენებდნენ ხოლმე. უამრავი მაგალითი მახსოვს, როცა მამის დახმარებით სარფიან ადგილებზე სამსახური უშოვნიათ. მოვიყვან ერთ მაგალითს: საქართველოს პოლიტექნიკურ უნივერსიტეტში, ძალზე შორ ნათე-

სავს, თუ არ მეშლება, კერამიკის ლაბორატორიის გახსნა მოუნდა. 1-2 წელი ვერ მოახერხა. შემდეგ, კი წერილი გადასცა მამას მთავრობაში მისატანად. ერთხელ, თავისუფლების მოედნის ზედა უბანში, მამამ თვალი მოჰკრა ე. შევარდნაძეს, რომელიც ფეხით მოდიოდა. ე.შევარდნაძე, მამა რომ დაინახა, გამოექცა დაცვას და მიესალმა, მამამ მოასწრო ჯიბიდან წერილის ამოღება, რომელსაც ე.შევარდნაძემ მანქანის საბარგულზე მოუწერა ხელი. კერამიკის ლაბორატორია (თუ საამქრო) გაიხსნა, მაგრამ მამა, რომ გარდაიცვალა, მაშინაც კი არ მახსოვს რაიმე ყურადღება ან დახმარება იმ ოჯახიდან...

მამა 1983 წლის 6 იანვარს, 69 წლის ასაკში ინფარქტით გარდაიცვალა. წინა დღეს „ლექომბინატის“ მკურნალ ექიმთან იყო. მან გულის არეში ტკივილებზე... კუჭის წამლები გამოუწერა...

ღამის 12 საათზე გულმა გააღვიძა. მუდამ მორიდებული, ცოლი, რომ არ შეეწუხებინა, დილის 6 საათამდე მაგიდასთან ბალიშით იჯდა... შემდეგ მე გამაღვიძა და სასწრაფოს გამოძახება მთხოვა. „ლექომბინატის“ სასწრაფოს კარდიოგრამამ „ფართე ინფარქტი“ აჩვენა. გული საათნახევარი კიდევ ებრძოდა სიკვდილს...

ამ დღეებში, ყველაზე ძლიერი შთაბეჭდილება ჩემზე მოახდინა უცნობმა (რომელსაც ხელოსნის იერი ჰქონდა). ის მოვიდა მარტო, დარეკა ზარი და 100 მანეთი (მაშინ - ერთი თვის მინიმალური ხელფასი), დედას

გადასცა სიტყვებით: „მან იმდენი სიამოვნება მომანიჭა თავისი თამაშით...“

მამა ფიზიკულტურის ინსტიტუტის შენობიდან გამოსვენეს. მ. ბლანტერის ტრადიციული „ფეხბურთის მარშის“ ზეგავლენით ცრემლი ბევრს ჰქონდა, მაგრამ, გამიკვირდა, რომ სულ სხვა თაობის „დინამოელი“ – დათო ყიფიანი, გულაჩუყებული ტიროდა.

გარდაცვალებიდან რამდენიმე წლის შემდეგ, კონსერვატორიის პრო-

ფესორი, გულბათ ტორაძე, ფეხბურთზე საინტერესო წიგნების ავტორი, მამაზე ჟურნალ „ფეხბურთში“ სტატიის დასაწერად შინ გვეწვია. შუა საუბარში (ისე, რომ ჩემგან ნებართვაც არ აუღია), მეორე ოთახის კარი გამოაღო და გაკვირვებულმა იკითხა: „სერგო შუღრა ამ ბინაში ცხოვრობდა?...“

მე მგონი, ამით ყველაფერია ნათქვამი.

*ომარ შუღრა*



## პაიჭაძე ღღესაც პაიჭაძეა



ლეგენდარულ ბორის პაიჭაძის თანაგუნდელს, სსრკ სპორტის დამსახურებულ ოსტატს, თბილისის „დინამოს“ მეკარეს, ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის პედაგოგს და საზოგადო მოღვაწეს სერგო შუდრას მალე დაბადებიდან 100 წელი შეუსრულდება.

წარმოგიდგინთ მისი შვილის ომარ შუდრას .. „მოგონებებს“... მამაზე, თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელებზე და გუნდის სახელოვან კაპიტან ბორის პაიჭაძეზე.

\* \* \*

როდესაც საქართველოს სპორტული საზოგადოების სიამაყემ – ბორის პაიჭაძემ, სამოცდაათ წელს, ტრადიციულ საიუბილეო თარიღს გადააბიჯა, სურვილი გამიჩნდა, რომ იუბილარისადმი ღრმა პატივისცემა მოკლე წერილით მაინც გამოემხატა.

ფოტოსურათებისათვის ბატონ ბორისს ვეწვიე. თავმდაბალი უარით გამომისტუმრა და მდგომარეობიდან ისევ ჩვენი საოჯახო ალბომის დახ-

მარებით გამოვედი. სურათებს რომ ვარჩევდი, ყურადღება მაშინლა მივაქციე, რომ ბ. პაიჭაძე და თბილისის „დინამოს“ მეკარე – სერგო შუდრა (მამაჩემი) ყველა ფოტოში ერთმანეთს უმშვენებდნენ მხარს ( კაპიტანი და მეკარე ხომ ერთად გამოდიან მოედანზე და ერთად ტოვებენ მას). ასევე მეგობრობდნენ ისინი ცხოვრებაში და ერთად იზიარებდნენ ჭირსაც და ლხინსაც. ბორის პაიჭაძის იშვიათი პიროვნული თვისებები ყოველთვის მიზიდავდა და ამიტომ მამის მოგონებები მისი თამაშის მანერის შესახებ კარგად დამამახსოვრდა:

"ბორიას მოედანზე გამოსვლა საოცარი ძალით გვაკავშირებდა ერთმანეთს, მის გარშემო ადვილად ყალიბდებოდა კოლექტივი . . . ტემპერამენტიანი თამაში იცოდა, არასოდეს კარგავდა მეტროლის თვისებებს. თუ ვაგებდით, ბორია თავს მოიკლავდა და საჭირო ბურთს მაინც გაიტანდა. გასვლით თამაშს რომ წავაგებდით, მატარებლიდან ნავთლულში ჩამოვლილით, ისე ერიდებოდა ჩვენს კაპიტანს გულშემატკივრებთან შეხვედრა... .

დიდი ენერჯისა და მოსაზრებულობის, სწრაფი ორიენტაციის უნარის მქონე, ისე კეთილშობილურად თამაშობდა, რომ არ მახსოვს, მსაჯისგან შენიშვნა მიეღოს . . .

მწვრთნელს თავისი ავტორიტეტით კი არ უპირისპირდებოდა, არამედ ეხმარებოდა მუშაობაში. სამხრეთელი კაცი ემოციურია და

მწვრთნელის შენიშვნას ყოველთვის ერთნაირი სიმშვიდით ვერ ისმენს, ამიტომ ხშირად თამაშის გარჩევას მწვრთნელი ბორიასაგან იწყებდა – მისი თავშეკავება და სპორტული რაინდობა კი ყველასათვის სამაგალითო იყო.

მას პელეზე ნაკლები სახელი არ ექნებოდა, მსოფლიო ასპარეზზე მისი თამაში რომ ენახათ, მაგრამ მაშინ სხვა დრო იყო".

ყველამ არ იცის, რომ იუბილარის ცხოვრება ყოველთვის ია-ვარდით მოფენილი არ ყოფილა. იყო დრო, როცა მას სტანდარტულ ფეხბურთელად გადაქცევას უპირებდნენ და საჯაროდაც კი აკრიტიკებდნენ... ავიღოთ თუნდაც 1952 წელი, როცა ბორის პაიჭაძემ თავი დაანება თამაშს. ამ წლებში საქართველოს რესპუბლიკის სპორტული ორგანიზაციის ხელმძღვანელობა ყოველთვის ობიექტური როლი იყო მასთან ურთიერთობაში...

1963 წლიდან ბორის პაიჭაძე ორი ათეული წელი იყო თბილისის "დინამოს" სპორტკომბინატის ღირექტორი. მე ბედმა მარგუნა ამ წლებში ბატონ ბორისთან სიახლოვე და არ შემოძლია, მკითხველს არ გავუზიარო ზოგი რამ, მისი პიროვნული, წმინდა ადამიანური თვისებების შესახებ, ჩემი უშუალო დაკვირვებიდან გამომდინარე.

პაიჭაძე მარტო ფეხბურთელი კი არა, იგი ძალზე ნიჭიერი ადამიანი იყო. წიგნი ბატონ ბორისს მუდამ თან დაჰქონდა. იგი ძალზე ნაკითხი და ფართო ერუდიციის პიროვნება გახლდათ. ამიტომ, ეჭვგარეშეა, მას რომ სხვა გზა აერჩია, მაინც სახელოვანი ადამიანი გახდებოდა.

ბატონი ბორისი კარგი მეოჯახე, ძალზე უპრეტენზიო იყო ცხოვრებაში.

მასთან არ წყდებოდა მომსვლელი, ალბათ ამიტომ კარი ყოველთვის ღია დაგხვდებოდათ. ამ ოჯახში არასოდეს შემომჩნევია "მაღალ ღონეზე" ცხოვრების აუცილებელი ატრიბუტები. სამაგიეროდ ოჯახში იგრძნობოდა საოცარი ადამიანური სითბო. ამაში, ალბათ, ბატონ ბორისის მეუღლის, ქალბატონ მარგოს დამსახურებაცაა, რომელიც განათლებული და სტუმართმოყვარე დიასახლისი ბრძანდებოდა.

ბორის პაიჭაძეს მახვილი თვალი ჰქონდა, ყოველთვის კარგად ხედავდა რეალური ცხოვრების სირთულეს, აკარგიანი, ალლოიანი კაცი იყო, ამიტომ მას ადმინისტრაციული საქმიანობაც ემარჯვებოდა.

პაიჭაძე თავისი განუყრელი კეპით, თამაშის დროს ფეხბურთელთა ამოსასვლელი გვირაბის წინ რომ უყვარ-



და ყოფნა, "დინამოს" სტადიონის ერთ-გული, მისი ნამდვილი პატრონი იყო...

ბორია ძალზე ობიექტური კაცი იყო – ხშირად უთქვამს მამაჩემს. ის არასოდეს გაამართლებდა მეგობარსაც კი, თუ ის მართალი არ არისო. მას არასოდეს მოჰკლებია "უბრალო" ადამიანებისადმი ინტერესი. საზოგადოებაში ძალზე თავმდაბალი, მაგრამ მტკიცე ნებისყოფიანი და უაღრესად გულისხმიერი ადამიანი იყო. ბორისი ასევე საიმედო იყო ცხოვრებისეული სირთულეების გადალახვისას, არ ზოგავდა თავს და იზიარებდა მწუხარებასა თუ სიხარულს ამხანაგებთან ერთად.

ის სახელი რომელიც ბორის პაიჭაძეს ჰქონდა, მას ხალხმა აჩუქა და ბატონ ბორის ყოველთვის ახსოვდა, რომ ამ სახელს გამართლება უნდოდა, უნდა გაფრთხილებოდა და ამიტომაც ვაჟკაცურად იღწვოდა, რათა ქართული ფეხბურთის სახელი არ შელახულიყო და ღირსება ბოლომდე დაეცვა. დარწმუნებული ვარ რომ ასე ფიქრობდა ყველა, ვინც მასთან ახლოს ყოფილა.

ღიას, პაიჭაძე ისევე პაიჭაძეა. იყო და ასეთად დარჩება ფეხბურთის ქომაგთა ხსოვნაში.

*ომარ შუდრა*

## ფეხბურთი – „მინ არს ომი არ ჰმონებდეს!“

ფეხბურთი! რამდენი ემოცია, სიხარული თუ სინანული განუცდია ჩემი ხნის კაცს ჩვენი „დინამოსა“ და საბჭოეთისა თუ საზღვარგარეთულ გუნდებთან მოგება-წაგებათა შემდეგ. მე, პირადად, ამ თამაშით დავავადდი, ალბათ 1945 თუ 1946 წელს!.. „დინამოს“ იმ ძველი, მყუდრო, ულამაზესი სტადიონის გვერდით, ყოფილი ტელმანის ქუჩაზე ყველას გინახავთ საცხოვრებელი კორპუსები, სადაც ერთ-ერთ მათგანში ჩემი მამიდაშვილი ცხოვრობდა. მას, ჩემი ასაკის მიუხედავად, ხშირად ვსტუმრობდი ხოლმე. ერთხელაც, მამიდაშვილთან სალამოხანს მისვლას რომ ვაპირებდი, სტადიონიდან ყიჟინა შემომქმნა, სტუმრობაზე ხელი ავიღე, ქუჩაზე გადავირბინე და რაკი სამხრეთის კარი ღია დამხვდა (ეს მერე გავიგე, რომ სამხრეთის კარი იყო), პირველ იარუსზე ავირბინე და ხალხით სავსე ტრიბუნები დამხვდა. ახლაც არ ვიცი, რა თამაში იყო, ის კი ვიცი, რომ ჩვენებმა ბურთი გაიტანეს და ამას მიესალმებოდა მაყურებელი... ეს იყო და ეს! „მოვიწამლე“ ფეხბურთით, იმავე დღეს ჩემ უბნელ ბიჭებს ვუამბე ყველაფერი და დაიწყო... სტადიონზე შეპარვა, ლობეზე გადაძრომა, ზედახორით შესვლა, რადგან ბილეთს ჩვენ, ყმაწვილები კი არა, უფროსებიც ძლივს შოულობდნენ.

როგორც უკვე ვთქვი, ყმაწვილობიდანვე იმ დროისათვის იმდენი ცხარე მატჩი ვნახე, რომ დღესაც, ჭარმაგობაშიც, თვალწინ მიდგას. მათგან ერთი

მინდა გავიხსენო, როცა ჩვენმა „დინამომ“ მოსკოვის დინამოელები დაამარცხა. ეს 1946 წელს მოხდა. მაშინდელი მოსკოვის „დინამო“ უძლიერესი გუნდი იყო საბჭოთა კავშირში და ამიტომაც ინგლისში მოუწვეეს ტურნე, სადაც თითქმის ყველა უძლიერეს გუნდს შეხვდა და უმრავლესობა მოიგო, საერთო ანგარიშით 19:9, მხოლოდ ორიოდ შეხვედრა თუ დაამთავრა ფრედ.

და აი ამ ტრიუმფის შემდეგ საკავშირო ჩემპიონატის მორიგი მატჩის ჩასატარებლად თბილისში ჩამოვიდა, ახლაც მახსოვს, რამდენი გულშემატკივარი მიეშურებოდა სტადიონისკენ. ჩემი უბნელებიც მათს შორის ვიყავით, რა თქმა უნდა, უბილეთოები მაგრამ დარწმუნებული, რომ სტადიონზე მაინც მოვხვდებოდით. უბილეთო, თურმე მართლ ჩვენ არ ვყოფილვართ, ჰოდა, ძველ კინოსტუდიასთან, მილიციის რამდენიმე კორდონის გარღვევის შემდეგ, სტადიონის მუშაკებისა და კონტროლიორების რაზმის დაბრკოლების გადალახვალა გვრჩებოდა. ესეც „ზედახორით“ ავიღეთ და სტადიონის ტერიტორიაზე აღმოჩნდით. ტრიბუნები უკვე სავსე იყო და ეს ამოდენა ხალხი ზოგი სამხრეთის, ზოგიც ჩრდილოეთის ტრიბუნების სარბენ ბილიკებზე მოკვალათდით. მე და ჩემი ორიოდ შემორჩენილი მეგობარი ჩრდილოეთის ტრიბუნასთან აღმოჩნდით და არც წაგვივია: ორი ბურთი „ვეფხვად“ მონათლულ ალექსეი ხომიჩს ლეგენდარულმა ბორის

პაიჭაძემ და ასლან ხარბედიამ გაუტანეს. ერთიც თბილისელმა ვიქტორ ბერეჟნიომ შეაგლო. მატჩი ჩვენებმა 3:2 მოიგეს. აუ, რა ზეიმი იყო!!!

ასლაც კარგად მახსოვს ჟურნალ „ნიანგში“ დაიბეჭდა იმდროინდელი მხატვარ-კარიკატურისტის დონის (დავით ნაცვლიშვილის) კარიკატურა: ბალის მერხზე ფაფახიანი, „კასავაროტკასა“ და აზიურებში გამოწკეპილი იმერელი ზის, სკამის კიდეზე კი ხელჯოხიან - შლიაპიანი ინტელიგენტი, რომელიც მოკრძალებით ეკითხება: „გაივით ბატონო, ჩვენებმა რომ მოსკოვის „დინამო“ დაამარცხეს?“ პასუხი: „აპა, რავა ანგლიჩანები ხომ არ ვეგონეთ?!“

ეჰ, ძალიან ბევრი სიხარული თუნდაც საბჭოთა კავშირის ჩემპიონობა, თასის მოგება, და რაც მთავარია, ევროპის თასების მფლობელთა თასის მოპოვება 1981 წელს და სამწუხაროდ წყენაც ყოფილა!

ცუკას მდივნები, მინისტრები, მწერლები, ხელოვნებისა თუ სხვა დარგების მოღვაწეებიც ქომაგობდნენ „დინამოს“. ყველას თავისი რჩეული ჰყავდა და ის მიაჩნდა დიდ ფეხბურთელად. მაგრამ ამ ქომაგთა შორის მხატვრები გამოირჩეოდნენ.

მახსოვს „დინამოს“ მთავარ მწვრთნელად გამოჩენილი, უბადლო ფეხბურთელი გაიოზ ჯეჯელავა რომ დაინიშნა, რატომღაც ახალგაზრდობის ძირითად შემადგენლობაში გადაყვანას არ ჩქარობდა, არადა ჩვენი დუბლიორები საკავშირო ჩემპიონატში ბრწყინვალედ გამოდიოდნენ. იმხანად დუბლი და ძირი-

თადი ერთ დღეს თამაშობდა – ჯერ დუბლიორები, შემდეგ ძირითადი შემადგენლობა. სტადიონი დუბლიორთა საყურებლად უკვე სავსე იყო, რადგან საოცრად კარგად თამაშობდნენ, განსაკუთრებით მიხეილ მესხი – ყველასი, უპირატესად კი, მხატვრების „ჯილა“ გამოირჩეოდა.

გამოჩენილმა მხატვრებმა – კოკი მახარაძემ, ელგუჯა ამაშუკელმა, მერაბ და ელგუჯა ბერძენიშვილებმა (რომლებიც ფეხბურთს ძალიან კარგად თამაშობდნენ), სხვებმა და სხვებმა, ახლა რომ იტყვიან, მიშა მესხის მხარდაჭერის კომპანია გააჩაღეს – პრესაში, რადიოში და ა.შ. შესანიშნავმა კარიკატურისტმა, მოქანდაკე გიგლა ფირცხალავამ კი ჟურნალ „ნიანგის“ თავფურცელზე გამოაქვეყნა გაიოზ ჯეჯელავა კასრში როგორ „ამწნილებდა“ ახალგაზრდებს, მიშა მესხი კი „ზამბარა“ – მრისხანე, ურჩი სახით კასრიდან ამოხტომას ცდილობდა. რა თქმა უნდა, მალე მესხი ძირითადში ათამაშეს და უნდა გენახათ მისი თამაშის საყურებლად როგორ გადადიოდა ხალხი ხან სამხრეთის, ხან ჩრდილოეთის ტრიბუნაზე, რათა მესხის ფინტები ახლოდან დაენახა და დამტკბარიყო.

... ყოველივე ეს ერთ-ერთ ძვირფას მოგონებად ჩამრჩა, მაგრამ ფეხბურთისადმი სიყვარულის ერთი ამბავიც მინდა ვიამბოთ:

კარგად მახსოვს 1959 წელს უკვე უმაღლესდამთავრებული და „საბჭოთა მშრომელი“ კუთვნილ შვებულეებაში ზღვაზე, კერძოდ, სოჭის მახლობლად ხოსტაში, მეგობრებთან ერთად

ვისვენებდი. მაშინ რატომღაც ბევრი ქართველიც იყო ჩამოსული. სხვებთან ერთად აქ იყვნენ უშესანიშნავესი მხატვარ-მოქანდაკე ელგუჯა ამაშუკელი, გამოჩენილი მწერალი გურამ ფანჯიკიძე, მისი ძმა – ისტორიკოსი თემო, უნივერსიტეტელები გოგი დემეტრაძე, გივი ჯიშიაშვილი და ბევრი სხვა.

ერთ მშვენიერ დღეს გივი ჯიშიაშვილი სალამოხანს შეკრებილ თბილისელებთან მოვიდა და გვითხრა, რუსი ბიჭები არიან, პლაჟზე გავიცანი და შეგვთავაზეს - ფეხბურთი ვითამაშოთო. ყველას მოეწონა ეს წინადადება, გივის დაავალეს თამაშის დრო და თარიღი შეეთანხმებინა, ელგუჯამ, გურამმა და სხვებმა იმათი შეკრება დაიწყეს, ვისაც ფეხბურთი ასე თუ ისე უთამაშია.

დაინიშნა „მატჩის“ „დღე და საათი“, შეხვედრა ხოსტის „ლოკომოტივის“ სტადიონზე იმართებოდა. ჩვენდა გასაკვირად აფიშებიც კი იყო გამოკრული. ჩვენი ბიჭები დანიშნული თამაშისათვის სტადიონზე შეიკრიბნენ. ჩვენები ადრე მივიდნენ, ცოტა ხნის შემდეგ სპეციალური ავტობუსით, რომელსაც „ “ - „დინამო“ ამშვენებდა, გადმოვიდნენ დინამოელთა ფორმებში გამოწყობილი ათლეტური აღნაგობის ბიჭები მწვრთნელითა და ექიმ-მასაჟისტთა თანხლებით. თურმე ისინი მოსკოვის „დინამოს“ ჰოკეისტები ყოფილან, რომლებიც ხოსტაში შეკრებაზე იმყოფებოდნენ. მათ იმ დროს წვრთნიდა სახელგანთქმული ა. ჩერნიშოვი.

ჩვენებს კი ზოგს რა ეცვა და ზოგს რა. თურმე გივის დაუმაღლავს, რომ

მოსკოველ ცნობილ ჰოკეისტებს უნდოდათ ქართველებთან ფეხბურთში „წავარჯიშება“. არადა, მაშინ ყველამ იცოდა, რომ ყოველი ჰოკეისტი „ხელმოცარული“ ფეხბურთელი იყო.

... და აი, დაიწყო შეხვედრა. ახლა ყველა ჩვენიანის გვარ-სახელი აღარ მახსოვს, მაგრამ იმათგან ცენტრში ელგუჯა ამაშუკელი, მარცხენა მცველად თემო ფანჯიკიძე, ხოლო მეკარედ მისი უფროსი ძმა გურამი თამაშობდნენ. თამაში, რა თქმა უნდა, მოსკოველთა უპირატესობით მიმდინარეობდა, გურამმა სამი ბურთი კი გამოიტანა კარიდან, მაგრამ ისეთი ჟინით, მონდობით ითამაშეს, რომ ორი ბურთი მაინც გაუტანეს. ყველა ჩვენიანი, რომლებიც ვესწრებოდით, ვქომაგობდით, მაგრამ სტადიონზე შეკრებულ უამრავ რუსს რას ვაჯობებდით.

თუმცა წაგების მიუხედავად ამ თამაშში იყო ერთი „გამონათება“, რომელმაც ყველა ჩვენგანი გაგვამხიარულა. საოცარი სასეირო რამ მოხდა. ჩვენები, როცა მორიგ შეტევაზე იყვნენ გადასული, კარიდან გურამი - „ფანჯო“ გამოვარდა და კარსუკან შეკრებილ ბიჭბუჭებს „აპერკოტები“ თუ „ხუკები“ უთავაზა და ჩვენს ყიჟინსა და შეძახილებში ისევ კარში ჩადგა (ეტყობა ჩვენ მეკარეს ნერვები მოუშალეს უწმაწური რეპლიკებით)... მოკლედ მოსკოველმა ჰოკეისტებმა დიდი წინააღმდეგობის მიუხედავად მაინც დაგვამარცხეს.

... ახლა ამ „დაუვიწყარი“ მატჩის ორი მთავარი მონაწილე ბრწყინვალე მოქანდაკე ელგუჯა ამაშუკელი და

შესანიშნავი მწერალი (ყოფილი მეტა-ლურგი) გურამ ფანჯიკიძე ცოცხალი აღარ არიან. ღმერთმა ნათელში ამყოფოს მათი სულები!

ეს მოგონება ნამდვილია, არაფერი არც მომიკლია და არც დამიმატებია. ამის მოწმე ჯერაც ბევრია და თუ ვინმე ამ მოგონებას წაიკითხავს ყოველივეს დაადასტურებს.

**P.S.** რაკი ეს წერილი იმას ეძღვნება, თუ რა დიდი ადგილი უკავია ფეხბურთს ქართველ მწერალთა და ხელოვანთა შემოქმედებაში, თავს უფლებას მივცემ, როგორც თითქმის ორმოცდაათწლიანი მუშაობის გამოცდილების მქონე პრაქტიკოსმა, რამდენიმე შენიშვნა გამოვთქვა იმის შესახებ, თუ როგორ ირღვევა ჩვენი ღვაწლმოსილ შემოქმედთა მიერ დანერგილი ქართული საფეხბურთო ტერმინები, შევეხო რეპორტიორთა ენობრივ შეცდომებსაც.

რატომ ნერგავენ ისინი ისევ უცხო საფეხბურთო ტერმინებს. დიახ, იყო დრო, როცა იწერებოდა და გამოითქმებოდა ტერმინები – „ბეკი“, „ჰაუბეკი“, „ინსაიდი“, „გოლკიპერი“, „ფლეიმეიკერი“, „ლაინსმენი“ და სხვები, მაგრამ ნამდვილმა მამულიშვილებმა იფიქრეს, იზრუნეს და მშვენივრად გადმოაქართულეს: „ბეკი“ – „მცველი“, „ჰაუბეკი“ – „ნახევარმცველი“, „ინსაიდი“ – „შუამარბი“, „ფლეიმეიკერი“ – „გამთამაშებელი“, „გოლკიპერი“ –

„მეკარე“, „ლაინსმენი“ – „თანამსაჯი“. აქ მანსენდება ცხონებული ბატონი კოტე მახარაძის ნაამბობი, თუ რამდენ ხანს ფიქრობდნენ იგი და დიდი მსახიობი და კომენტატორი ეროსი მანჯგალაძე, რომ როგორმე გადმოექართულებინათ „ლაინსმენი“ – ხან „გვერდით“, ხან „დამხმარე“ მსაჯს უწოდებდნენ, სანამ, თუ მანსოვრობა არ მლაღატობს, ცნობილი ენათმეცნიერს ვარლამ თოფურიას დახმარება არა სთხოვეს და მასაც ნამდვილად ქართული ნაწარმოები სიტყვა „თანამსაჯი“ შეუთავაზებია. ახლა რატომ განდა მისი და სხვათა „რევიზია“ რა „ლაინსმენი“ და „ფლეიმეიკერი“ უკეთესად ჟღერს? ისევ „ფუტბოლზე“ ხომ არ გადავიდეთ? ყველას მოეხსენება, რომ ეს და სხვა უცხოური თამაშები ქართველმა ეროვნულად აქცია, შეისისხლხორცა. განა ბევრი ერია ქვეყნად, რომელსაც „ფუტბოლი“ და სხვა თამაშები თავის ენაზე ეთარგმნოს? რა თქმა უნდა, ზოგჯერ ინგლისური საფეხბურთო ტერმინების ხმარება, თუ გამოუვალი ვითარება შეიქმნება, დასაშვებია, მაგრამ წამდაუწუმ ნუ ვიზამთ ამას!

ასევე მინდა კომენტატორებს მოკრძალებულად შევნიშნო: აბა რას ჰგავს „დარტყმა განხორციელდა“, „პასი გააკეთა“, „მსაჯის მხრიდან უხეშობის არდანახვა“ და სხვა. განა „შინაურულად“ არ ვიტყვით „დაარტყა ამან და ამან“ ან „ბურთი მიაწოდა“, „მსაჯმა უხეშობა ვერ შენიშნა“ და სხვა.

**ნოდარ ზედელაშვილი**

საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი

## ბზები წყვდიადში

/ნაწყვეტი რომანიდან/  
გაგრძელება

გვიანი შემოდგომისათვის დამახასიათებელი ნაადრევი ბინდი იწყებოდა სოჭში რომ შევიდნენ, სასტუმრო არც უძებნიათ, პირდაპირ იმ ადგილს მიაშურეს, სადაც კონფერენცია ტარდებოდა. გზა და გზა კარგად ნაცნობი ქალაქის ქუჩებს გასცქეროდნენ, შვიდიოდე თვე იქნებოდა, რაც სოჭში აღარ ყოფილან და გარემო უკვე ცუდისაკენ შეცვლილი მოეჩვენათ. მუდამ ხალხით სავსე, აჟრიაძეებული, თბილი ქალაქი ხალხისაგან დაცლილიყო, მაღაზიებიც და გასტრონომებიც თითქოს დაეცარიელებინათ, მანქანებიც ძალზე შემცირებული რაოდენობით მოძრაობდნენ, უბენზინობას უკვე საკუთარი კვალი დაეჩნია. შებინდებისპირ ზღვასაც ფოლადის მძიმე ფერი დასდებოდა, ვერც კი წარმოიდგენდით თუკი იგი ოდესღაც ოქროსფრად და ზურმუხტისფრად ლივლივებდა.

უკვე ხუთი საათი სრულდებოდა, საღამოს სხდომა ჯერ არ დაწყებულყო, სმა-ჭამას იოლად ვერ შეეღოოდნენ, არაყი თუ პორტვინი ხომ ბოლომდის უნდა ჩაეწურათ. მალე გამოჩნდნენ შეკრების მონაწილე პირველი მერცხლები. ნაცნობები დიდი ზარზედით შეხვდნენ ახალჩამოსულებს, უკვე კარგად იყვნენ გამძღრები და მით უმეტეს მთვრალეები, ამიტომაც უფრო მეტად ინტერესდებოდნენ როგორ ჩამოვიდნენ, რატომ დაიგვიანეს, ხომ არაფერი შეემთხვათ. ამათთან ლაპარ-

აკს აზრი არ ჰქონდა, ამიტომაც ყველაფერი რიგზეყო, – პასუხობდნენ. ცოტა ხანში დერეფნის ბოლოდან მომავალი ორი კაციც გამოჩნდა. ესენი იყვნენ რუსეთის საინფორმაციო ორგანიზაციის ხელმძღვანელი სურიკოვი და პეტერბურგის ორგანიზაციის თავმჯდომარე კროტოვი. წყნარი საუბრით მოდიოდნენ, თითქოს ოდნავადაც არსად ეჩქარებოდათ. სურიკოვს ხელკავი გაეკეთებინა კროტოვისთვის და ისე მორწმუნოდნენ შორიდანვე ჩანდა ესენიც გვარიანად იყვნენ გადაკრულები ან როგორ მოითმენდნენ არყისა და კონიაკის გადაკვრის გარეშე გასძლოდნენ გაჭიანურებულ საღამოს სხდომას.

ახლადჩამოსულებს გაუკვირდათ ხელმძღვანელი პირების ამგვარი მეგობრული ჩახუტება. ყველამ იცოდა, რომ სურიკოვი და კროტოვი ერთმანეთის დაუძინებელი მტრები იყვნენ. შედარებით მონიტელებენტო პეტერბურგელი კროტოვი სასტიკად განიცდიდა, რომ ირკუტსკელი სურიკოვი დანიშნეს რუსეთის საინფორმაციო ასოციაციის თავმჯდომარედ, როცა თავად სრული დარწმუნებით ელოდა ამ თანამდებობას – "ეს ციმბირელი ქლესა ლოთი როგორ დაგვასვენს თავზეო", – ხშირად ღვარძლიანად და დაუფარავად ამბობდა ხოლმე კროტოვი, ახლა კი სულ რაღაც ერთი თვის წინანდელი მტრები უკვე შერიგებულდახლოებულნი ჩანდნენ.



ახლადგამოცხადებულ კოლეგებს გაოცება რომ შეატყო პეტერბურგელმა ნაცნობმა კლიმოვმა მოკლედ და პოპულარულად აუხსნა მათ შექმნილი ვითარება – "თურმე სულ მალე კროტოვს აწინაურებენ, დიდ ადგილზე გადაჰყავთ, როგორც თქვეს, საპარლამენტთაშორისო ასამბლეის თავჯდომარედ. ეს რომ გაიგო სურიკოვმა ბოლმისგან კინაღამ გაიგუდა, წყველითა და გინებით აავსო ყოფილი ხელქვეითი. ამასობაში კი ყველაფერი აწონ-დაწონა, გაანალიზა და კროტოვს უკან შეუძვრა, ოღონდ საპნით თუ უსაპნოდ არ ვიცი, მგონი სპირტით დაუბანია თავი, - წაიხუმრა კლიმოვმა, – ახლა სულ ერთად დადიან, ნომრებიც კი გვერდი-გვერდ აიღეს, რომ ღამეული ლოთობისას შორს წასვლა არ დასჭირდეთ. ისეთ შთაბეჭდილებას ქმნიან, თითქოს ერთმანეთი ძალიან უყვართ. სულ ცოტახნის წინ ერთმანეთს დაუფარავად მიწაში დებდნენ, მხოლოდ დედის გინებით მოიხსენიებდნენ. ასეთია ჩვენი არეულ-დარეული ვითარება, ამ უსისტემო ქვეყანაში ყველაფერი შეიძლება მოხდეს", - დააკსენა წყნარმა ინტელიგენტმა კლიმოვმა.

მალე კონფერენციის სადამოს სხდომაც დაიწყო. არყითა და კონიაკით გულაჩუყებულმა სურიკოვმა გახსნისთანავე გამოაცხადა: "ამხანაგებო, ძვირფასო ამხანაგებო, დიდი დაბრკოლების მიუხედავად ჩამოვიდნენ ქართველი მეგობრები, მათ ისე უნდოდათ ჩვენთან ყოფნა და მუშაობაში მონაწილეობის მიღება, რომ ყველა სიძნელე გადალახეს და კვლავ ერთად

ვართ, ჩვენს ერთიანობას ვერაფერი შეარყევს".

მქუხარე ტაშმა იგრიალა, ყველას გული აუჩუყდა ხაზგასმული ერთად ყოფნით, დანგრეული, დაშლილი, საძირკველგამოცლილი, დიდმპრობელური რუსეთის ჩვეულებრივი წარმომადგენელი ანუ ჭანჭიკი სურიკოვი მთელი სახელმწიფოს სურვილითა და დაძალებით საკუთარ ფიქრსაც ახშიანებდა: აუცილებლად ისინი უნდა ყოფილიყვნენ ხელმძღვანელები, სურიკოვ – კროტოვი პრეზიდენტში გამოჰქიმულიყვნენ, სხვებს კი მხოლოდ დაბლიდან უნდა ეცქირათ როგორ ხელმძღვანელობენ ისინი ამდენ ხალხს და რა ბრძნულ აზრებს აფრქვევენ. ამ მხრივ რუსული უმძიმესი სახელმწიფო პოლიტიკაც ნათლად იკვეთებოდა, ასე უნდოდა რუსეთს და ასეთ პოლიტიკასაც ატარებდა, შეფარვის მიუხედავად ქედმაღლურ – დამპყრობლური ტოტალიტარული ყოფის სული მაინც გრძელდებოდა და როგორმე მის არდასრულებას მიესწრაფოდნენ.

ინტერნაციონალური მეგობრობის შესახებ იდიოტიზმის დონემდე დაყვანილი ნახევარსაათიანი მოხსენების შემდეგ განხილვა გაგრძელდა, გამოდიოდა ზოგიერთი მაიმუნით დამანჭული ქალი თუ კაცი, კიდევ უფრო იმანჭებოდა და ქება – დიდებას უძღვნიდა ხალხთა მეგობრობას. წინასწარ ჩაწერილი გამომსვლელები ძირითადად აქებდნენ რუსეთს, ხალხთა ურღვევი მეგობრობის შემოქმედს, მოითხოვდნენ მეგობრობის კიდევ უფრო გაძლიერებას. ზოგი გამომსვლელი დაუფარავად

ელაქუცებოდა რუსეთის წარმომადგენელ ხელმძღვანელობას, რომ მომავალში თავისთვის სარგებელი ენახა. ყაზახეთის წარმომადგენელმა ცრემლებიცი კი გადმოჰყარა ისე მიყვარს რუსეთი, ისე მიყვარს მოსკოვი, ისეთი ახლობელია ჩემთვის იქ გაძეფებული ატმოსფერო, რომ მათ გარეშე ცხოვრება ერთი დღითაც ვერ წარმომიდგენიაო. უზბეკი გამომსვლელი მთელი გრძნობით განიზილავდა საკითხს თუ როგორ აყვავა რუსეთმა უზბეკი ხალხი, როგორ ილტვის ყველა მიიღოს რუსული განათლება, ეზიაროს მსოფლიოში უპირველეს რუსულ კულტურას და არა დამპალ ამერიკულს ან ევროპულს, რითიც ცხოვრებაში ვერაფერს მიაღწევ, საზღვარგარეთ, ხალხთა მეგობრობა ნულამდგა დაყვანილი, იქ ადამიანი ადამიანისთვის კვლავ მტრად რჩება და არა მოყვრად. ორატორმა გამოსვლა ზეაწეული ტონით დაამთავრა: "დღეს ყველა უზბეკი, პირველი თუ არა მეორე მაინც, მშობლიურ ენასთან აიგივებს რუსულ ენას და უფრო წინაც აყენებსო".

ამაზრზენი მლიქვნელობის ატმოსფერო იდგა დარბაზში, იმის მსგავსი, ზოგიერთებს რომ მოსწონდათ და უიმიოდ ვერ სძლებდნენ. გიგა და საშა ერთმანეთს ანიშნებდნენ ნახე რა დღეში არიან ეს უმსგავსებიო. ქებით დამტკბარმა სურიკოვ – კროტოვის ტანდემმა, საკუთარი ჭკუით კვლავაც ქების დამატების მიზნით სიტყვა საქართველოს წარმომადგენლებსაც მისცა. გიგა მაჩაბელი უკვე ძალიან უარყოფითად იყო დამუხტული, ის ახლოს მდგარ

მიკროფონთან მივიდა, თვალი მოავლო უდღეური შეკრების მონაწილეებს და რიხიანად დაიწყო – "ბატონებო, პატივცემულო ბატონებო".

ეს მიმართვა მეხის ჩამოვარდნის ხმასავით გაისმა, ბავშვობიდან ანუ ათეულობით წლის მანძილზე მტკიცედ დანერგილი ამხანაგო – ამხანაგებოს ნაცვლად უცებ ტრიბუნიდან ბატონებო გაისმა. ამ ტერმინმა სულით მონები და ქვეშევრდომები უცებ დაძაბა, გააფაციცა, ისინი გაჩუმდნენ, მიყუჩდნენ, თითქოს ბოლოს და ბოლოს რაღაც ინტერესი და რაღაცის მოლოდინი გაუჩნდათ.

„ბატონებო – გააგრძელა გიგამ – დიახ ჩვენ ჩამოვედით იმ უძველესი ქვეყნიდან, რომელმაც ორასზე მეტი წლის შემდეგ დაიბრუნა დაკარგული, უფრო ზუსტად თუ ვიტყვით, ძალით წართმეული სახელმწიფოებრიობა, ამასთან ერთად დაიბრუნა ნანატრი თავისუფლებაც, ანუ საკუთარი ნებისა და მაღალი მოქალაქეობის გამოხატვის საშუალება. ყველამ შეიძლება არა, მაგრამ ნაწილმა მაინც იცის ვინ წავვართვა ჩვენ ადამიანის დანიშნულების უმაღლესი პრინციპი, თუმცა ახლა ამის განხილვის არც ადგილია, არც დრო. ასე ზოგადად მოგახსენებ ჩვენს აზრს.

დიახ, დაბრკოლებათა მიუხედავად მაინც ჩამოვედით, ჩამოვედით როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს სრულუფლებიანი წარმომადგენლები. რა თქმა უნდა, ჩვენ მეგობრობისა და თანამშრომლობის მომხრეები ვართ, საშინელ კონფორტაციას ყოველთვის ვჯობია ნორმალური დამოკ-

იდებულება, მით უმეტეს, ეს კარგად გვესმის შედარებით პატარა ქვეყნის წარმომადგენლებს, ოკეანიდან ოკეანემდე გადაჭიმული უზარმაზარი ქვეყნის წარმომადგენლებს გაუჭირდებათ ამის გაგება, ჩვენ კი არ გვიჭირს, სისხლხორცეულად შეთვისებულად ვთვლით, დიდი იმედი გვაქვს მალე რუსეთიც აღიარებს ჩვენს აღდგენილ სახელმწიფოებრიობას, დამოუკიდებლობას და რაც მთავარია, თანასწორუფლებიან პარტნიორობას შეუწყობს ხელს. სხვაგვარად მეზობლობაც და თანაარსებობაც შეუძლებელი იქნება.

ასეთ დროს ჩვენი კავშირებიც, თანამშრომლობაც, მეგობრობაც კიდევ უფრო მეტად განმტკიცდება, ვიდრე არის დღეს. ეს რეალური ვითარება ქართველი ხალხის საუკუნოვანი მისწრაფებაა, ამგვარი ვითარების შექმნის ხელის შეწყობისაკენ მოვუწოდებთ ყველა კეთილი ნების ადამიანს, ყველა პატიოსან მშრომელს. სწორი თვალსაზრისით თუ არ შევხედეთ ასეთ ცხოვრებისეულ პრობლემას, ამ ცოდვილ ქვეყნად მეგობრობა კი არა მხოლოდ მტრობა იარსებებს".

გიგამ მოკლე სიტყვა დაამთავრა და გაოფლილი დაჯდა. ბალტიისპირეთის წარმომადგენლებმა ტაში დაუკრეს, სხვები კი დადუმდნენ, დამუნჯდნენ, ტაში კი არა, ხმის გალების ნიშანწყალიც არ გამოუშლავნებიათ, ენაჩავარდნილები იხზდნენ. კარგად შეზარხოშებულმა სურიკოვმა უხერხული სიჩუმის შერბილება სცადა და თავისი ჭკუით იხუმრა: "მეგობრობას რა სჯობია, ჩვენც ავღვეთ და უფრო მჭიდროდ ვიმეგობ-

ბროთ, საერთოდ ეტყობა რთულ საქმიანობაში რაღაც პრობლემები მაინც გამოგვჩა, რასაც ახლებური მიდგომებით უნდა გადავხედოთ". თუმცა უკვე ნათლად იგრძნობოდა, რომ ერთის ანუ ბევრის ბატონობით უშნოდ შეკოწიწებული, ყბადაღებული მეგობრობა დიდხანს ვერ გასტანდა, ქვეყნების თუ ხალხების ძალით მოხვეული ინტერნაციონალურ მეგობრობას მხრებიდან მძიმე ტვირთივით გადაიგდებდნენ.

სალამოს შვიდი საათისთვის კონფერენცია დამთავრდა. სურიკოვმა გალიმებული სახით გამოაცხადა: "ნახევარი საათის შემდეგ შევიკრიბოთ მერვე სართულის საბანკეტო დარბაზში, სადაც შედგება ჩვენი საერთაშორისო კონფერენციის განხილვის მიძღვნილი შეხვედრა და ზოგიერთი წამოჭრილი საკითხის განხილვა უფრო უშუალო ვითარებაში გაავარძელოთ".

მონაწილეთა უმრავლესობამ ტაში დასცხო, კარგად იცოდნენ რასაც ნიშნავდა უშუალო ვითარებაში საუბარი და სასმელგამონელებულები მომავალი დათრობა – გატიალების რეალური იმედით სასიამოვნოდ აჟიტირებულები მიდიოდნენ გასასვლელი კარისაკენ.

ნახევარი საათის შემდეგ გიგა და საშაც ავიდნენ საბანკეტო დარბაზში, ყველა მონაწილე უკვე შეკრებილიყო, სურიკოვ-კროტოვის სახელმძღვანელო ტანდემიც ადგილზე ბრძანდებოდა. ქართველების გამოჩენას ისე შეხვდნენ, თითქოს ვიღაც უცხოები შემოსულიყვნენ დარბაზში, ადრე თუ შეძახილებსა და ტაშის ცემას არ აკლებდ-

ნენ, ახლა დუმილითა და თავების მიტრიალებით შეეგებნენ. თვალნათლად ჩანდა, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება ანუ მათი გაგებით მავნებლურ – მოღალატეობრივ გზაზე დადგომა და თუნდაც კონფერენციაზე კვლავ მათი აზრით, ქართველების თავხედური გამოსვლა ყოვლად მიუტყვებელი დანაშაული იყო. ისევ ბალტიისპირელებმა გამოიჩინეს ჩვეული სითბო და ქართველები დემონსტრაციულად გადააკოცნეს.

ცოტა ხანში თამაღობას მიმსგავსებული ლაპარაკი სურიკოვმა დაიწყო, როგორც ჩანს შეეშინდა კროტოვს არ ეგდო ხელთ ბანკეტის ხელმძღვანელობა და სასწრაფოდ შეუდგა საქმეს. გრძელი სუფრა სასმელ-საჭმელით იყო გადატენილი, თანდაყოლილი სიხარბისა და არა გულუხვობის გამო, თან რაღაც სისხლში გამჯდარი ლოთობის, აგრეთვე მუქთად დროსტარების სურვილით იმდენი სასმელი ელაგა, მთელი კვირა შეეძლოთ ესვათ. ქალისა და კაცის განურჩევლად, შეხვედრის ყოველი მონაწილისათვის მაგიდაზე იდგა ერთი ბოთლი შამპანური, ერთი ბოთლი შავი ღვინო, მოლდავეთის კონიაკი, რუსული არაყი და ჩეხური ლუდი. სამი ჭიქის შემდეგ ნამდვილი ღრეობა დაიწყო, ვინ რას ლაპარაკობდა, ვინ რას სვამდა გარჩევა შეუძლებელი იყო. გადაკრულმა სურიკოვმა ისიც კი გაიხსენა როგორ შესანიშნავად თამაღობდა ხოლმე წესად და მოთხოვნილებად ქცეულ ბანკეტებს სამა ყაფლანიშვილი, თან სურვილი გამოთქვა ხანდახან ისიც

დახმარებოდა ძალიან მნიშვნელოვანი მეგობრული სუფრის წარმართვაში.

გიგას რატომღაც სულ ამერიკული ფილმი ახსენებოდა, "უკანასკნელ ნაპირზე" რომ ერქვა, სადაც ადამიანები სამყაროს აღსასრულის წინ უზომო სმასა და სქესობრივ აღვირახსნილობას ეძლეოდნენ. აქაც ხალხი ისე მხიარულობდა, ისე აღტყინებით აქანავებდა ხელ-ფეხს, უკვე იწყებდა საკმაოდ უშნო და ერთი-ორი კარგი შესახედაობის ქალისათვის ხელების სმას და უაზრო სიცილს, თითქოს გარეთ ძალით შეკოწიწებული ქვეყანა არ ინგრეოდა, ხალხი გაჭირვებით სულს არ დაფავდა და სასტიკ არეულობას მრავალი ადამიანის სიცოცხლე არ ეწირებოდა. მალე საცეკვაო შესვენება გამოაცხადეს. ხუთ-ექვს ჭიქა არაყ თუ კონიაკგადაკრული საზოგადოება გაშმაგებულივით ეცა ერთმანეთს და მჭიდროდ ჩახუტებულებმა ვრცელ დარბაზში აქეთ – იქით პროწიალი, ტრიალი, გადაწვენა – გადმოწვენა და სქელ ტრაკებზე ხელების უშნო ფართური დაიწყეს. გიგა და საშა უკვე გაბოლილი დარბაზიდან ღია აივანზე გავიდნენ, მოაჯირთან მიდგნენ და ხარბად სუნთქავდნენ შემოდგომის ცივი საღამოთი მობერილ ზღვაურს. ზღვა მუქი ლურჯი ბინდით იყო დაფარული, პორტში სინათლეები ჩანდა, რეიდზე მდგარი დიდი თუ შედარებით მომცრო ხომალდებიდანაც სინათლეების ზოლი სერავდა ზღვას, მაღალ კოშკში მოთავსებული შუქურა კი წესისამებრ ყოველ წამს ინთებოდა, ქრებოდა, ინთებოდა. ქრებოდა და თავისებურ ხი-

ბლს მატებდა სიბნელეში გარინდულ სივრცეს.

ცოტა ხანში ღია კარიდან შესამჩნევად ამჩატებული კროტოვი გამოვიდა და როცა მოაჯირთან მდგარი ქართველები შენიშნა, დაუფიქრებლად მათკენ გაემართა.

– რას შვებით ამხანაგებო, არა, ბოდიში, შექმალა, ბატონებო?

– არაფერს, ჰაერზე გამოვედით ზღვის სურნელის შესასუნთქად.

– ეს კარგია, მე ვიფიქრე, აქაც განცალკევება და გამოყოფა ხომ არ მოინდომეს-თქო.

– ჩვენ არაფერი არ მოგვინდომებია, ეს უბრალოდ წესიერი ადამიანური მოთხოვნილებაა, სუფთა ჰაერი და თავისუფლება თითქმის სინონიმებია.

– მაინც რაღაც გადაკრულად და მინიშნებებით ლაპარაკობთ, არ მომწონს.

– თქვენ როგორც მოგწონთ და მოგწონდათ ჩვენ აწი ისე ველარ ვილაპარაკებთ.

– ძალიან საინტერესოა, რა მოხდა, ასე ჩქარა რამ მოგწამლათ თქვენც და მთელი ქვეყანაც, ჩვენთვის ყველაზე ახლობელი, თითქმის მშობლიური საქართველო.

– ჩვენ ჩვენი ქვეყნის მოქალაქეები ვართ, ქვეყნის განუყოფელი ნაწილი, აქედან მოდის თქვენს მიერ ნახმარი სიტყვა მოწამლვაც, ეს არის ყველა ქართველის ბუნებრივი სულიერი მდგომარეობა.

– ყველა ქართველის და არა ყველა ოსის, რუსის, აფხაზის, სომეხის, ებრაელის და აზერბაიჯანელის.

– დღეს საქართველო ყველა მათგანის სამშობლოა და ისინიც რომ ჩვენნაირად ფიქრობენ თავისუფლებაზე, ამას ჩატარებული სახალხო რეფერენდუმი და დამოუკიდებლობისაკენ სწრაფვა ადასტურებს.

– არა, ჩემთვის მაინც ძალიან ძნელად ასახსნელია, უფრო სწორად აუხსნელი, რომ ორასწლიანი მჭიდრო მეგობრობის შემდეგ ასე ფიქრობთ.

– უფრო სწორი იქნებოდა თუ იტყოდით ორასწლიანი ბატონყმობის, საშინელი რეპრესიებისა და მდინარეებივით სისხლისღვრის შემდეგ.

– სისხლი ჩვენ ხომ არ დაგვიღვრია, თქვენი უღვაშებიანი სტალინი ღვრიდა, ესეც ჩვენ გინდათ დაგვაბრალოთ.

– სირცხვილია ამაზე ლაპარაკი, სტალინი ბავშვობის მერე სულ რუსეთში იყო, იქ ჩამოყალიბდა სულიერად, რუსად იქცა, ბოროტება და სისხლის უმიზნო ღვრა მას ლენინმა შეასწავლა, და არა დედამისმა კეკემ თუ მამა ბესარიონმა.

– ლენინს რაღას ერჩით, ლენინმა რაღა დაგიშავათ, რეებს ლაპარაკობთ.

– სიფილისით ტვინდაბანგულმა ლენინმა შექმნა თავდაპირველად საკონცენტრაციო ბანაკების ანუ გულაგის სისტემა, მან დახოცა ინტელიგენცია და სამღვდელოება, უბოროტესი ხერხებით შეებრძოლა მართლმადიდებლობას, სტალინი უბრალოდ მისი ყველაზე ვერაგულად მოხერხებული მოსწავლე აღმოჩნდა.

– მართლა რას მიედ-მოედებით, ამას ლაპარაკობთ იმ ხალხის წარმომადგენლები, ვინც ჩვენ შევიფარეთ, მხარში დავუდექით, თავი გავუყადრეთ, უეჭველ დალუპვასა და გამაჰმადიანებას გადავარჩინეთ.

– რა თავის გაყადრებაზეა ლაპარაკი, როცა ჩვენი კულტურა თქვენსაზე მრავალი საუკუნით ძველია. მაღლობა ღმერთს ჩვენ არ გვითქვამს, თუ არ ვცდები თქვენმა კლასიკოსმა ანდრეი ბელიმ თქვა, – „როდესაც რუსები ტყეებში დახეტიალობდნენ, ქართველები უკვე სახარებას თარგმნიდნენო“. რაც შეეხება შედარებას, ეს შედარება კი არა ნამდვილი დაპყრობა, ანუ ღლეკანდელი გაგებით ოკუპაცია იყო, რაც თქვენ ყველაზე უკეთ გეხერხებათ.

– რა სისულელესთან, ისტორიის როგორ უცოდინარობასთან, გაყალბებასთან გვაქვს საქმე, თქვენი მეფე ირაკლი არ იყო რუსეთი რომ აიკლო გვიშველეთ, დაგვეხმარეთ, თორემ მოგვსპეს, გაგვანდაგურესო.

– ერეკლე ერთმორწმუნე რუსეთს ქრისტიანობის შენარჩუნების გამო თხოვდა დახმარებას, არ უნდოდა მისი ულამაზესი ქვეყანა, ვინაც მეოთხე საუკუნეში მიიღო ქრისტიანული სარწმუნოება, ფანატიკოს მუსულმანებს გაეთელათ. დახმარების სანაცვლოდ კი რა მოხდა, ველურებზე გაცილებით უარესად შემოიჭერით ცეცხლით და მახვილით, გააუქმეთ მეფის ტახტი, წაგვართვით სახელმწიფოებრიობა, დამოუკიდებლობა, თავისუფლება, უძველესი ქვეყანა რუსეთის განაპირა

გუბერნიად აქციეთ, დანერგეთ ზიზლი, სიძულვილი, ორასი წლით ჩამოგვარჩინეთ ევროპას, ანუ ნორმალურ განვითარებას, ხალხი უკიდურესად გაამწვარეთ, რასაც ათობით და ასობით აჯანყება ადასტურებს.

– ეს რა საშინელება მესმის, ამდენს როგორ ბედავთ, მე თქვენ სხვანაირად მოგელაპარაკებით, ახლა კი საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ საქართველო მართლა მოლაღატეთა ქვეყანა ყოფილა, თქვენი დანდობა არ შეიძლება და არც დაგინდობთ, საკადრისს მოგიზღვავთ.

ნერვიულობისაგან კროტოვი ჯერ გალურჯდა, მერე გაწითლდა, თავის კანტური დაეწყო, უკვე რაღაც უაზრო ბგერებს გამოსცემდა, ჩასისხლიანებული თვალებით უყურებდა ერთად მოლაპარაკე გიგას და საშას. უცებ იგი შეირხა, ხელები დაიქნია, თითქოს ფრთებს იბერტყავდა, გიგამ გაოცებისაგან კინაღამ შეჰყვირა, საშა კი გაკვირვებისაგან ლამის დაეცა, მათ წინ შებუშბულული, მკვეთრად ყვითელი ფერის, ჩასისხლიანთვალებიანი, გრძელკისერა ძერა იდგა და ნისკარტს აწკლაპუნებდა. გიგამ უცებ შიშით გაიფიქრა ამხელა ძერამ თვალები არ გამოგვითხაროს ან არ დაგვკორტნოსო, გვერდით მდგარ რკინისფეხებიან სკამს ხელი დაავლო და გამეტებით დასცხო ძერას, საშამ მეორე მხრიდან დაუშვა და დაუშვა. ძერა ჯერ ფრთებს ასავსავებდა, მერე მოაჯირს გადაეკიდა და დაბლა გადავარდა, მცირე ხნის შემდეგ კი ფრთები გაშალა და დამძიმებული ფრენით თვალს მიეფარა.

სივრცის მიუხედავად გიგაც და საშაც ოფლით იყვნენ გახვითქულები, ალბათ დიდხანს ურტყამდნენ საკმაოდ მძიმე სკამს თვალწინ ბოროტად მოელვარეთვალეებიან ძერას. ირგვლივ მიმოიხედეს, არავის არ დაუნახავს ეს წარმოუდგენელი, გასაოცარი ჩხუბი, ადამიანის ფანტასტიკური სახეცვლილება, მტაცებელ ფრინველად გადაქცევა, მერე გადავრდნა და გაფრენა, ან ვინ გამოვიდოდა გარეთ, დაღურსმულებივით ისხდნენ მაგიდასთან, სვამდნენ, ღრეობდნენ, კაცები თავს აწონებდნენ ქალებს, ქალების უმრავლესობა კი არყისაგან ერთიანად აცუნდრუკებულ კაცებს. მთვრალეები უფრო ხშირ – ხშირად ხტებოდნენ საცეკვაოდ, თამადის ნებართვაც აღარ უნდოდათ, თუმც უკვე გახეთქილ თამადას სუფრის წვერები ფეხებზე ეკიდა, როგორც კი დაუკრავდა საცეკვაო თუ ნებისმიერი ჟანრის მუსიკა, სუფრის წვერები გიჟებივით ჩაეხუტებოდნენ ერთმანეთს, კაცი ქალს უკან უფათურებდა ხელს, ქალები კი პირიქით, უფრო კაცების წინა ნაწილებით იყვნენ დაინტერესებულები და ტრიალ-ტრიალისას ცდილობდნენ ხელითაც მოესინჯათ სანუკვარი ადგილი, უსისტემო ღრეობა უკვე მსმელი რუსებისათვის ნაცნობი ორგის სახეს ღებდა.

– ეს რა იყო, ეს რა დღეში ვართ, სიზმარია თუ ცხადი, წესიერად ვეღარ გამიგია, – ჩიოდა საშა, – რა საშინელ სიტუაციაში ჩავვარდით, ისე გავიზარდე, ძერა ჯერ არ მინახავს, ახლა კი რა უბედურება ხდება რუსეთის ტერიტორიაზე თუ მის საზღვრებთან, ეს

ამაზრზენი სანახაობა ხომ პირველად აფხაზეთში ვნახეთ.

– მეც ვერაფერს გეტყვი საიმედოს ან გასაგებს, რაღაც უბედურების მომტან ანომალიასთან გვაქვს საქმე, მტაცებელი და ლეშის მოყვარული ძერების გამრავლება კარგს არაფერს გვიქადის, ალბათ მარტო ჩვენ კი არა, მთელ საქართველოს დაკორტნიან ეს ოხრები.

– ვინმეს რომ ვუთხრათ, არც დაიჯერებენ, ალბათ მთვრალეები იყავით და მოგეჩვენათო, ვთქვათ, ცაში და სივრცეში მოგეჩვენა, ჩვენს წინ რომ მოხდა იგივე ფანტასტიკის სფეროს ტრიუკი, ეს როგორ არ დავიჯეროთ, ან როგორ არ ვეცადოთ სიმართლის დამტკიცებას?

– არ ვიცი, პირდაპირ გონებად-აბინდული ვარ, მე ვერ დამიჯერებია რა ხდება და სხვა როგორ დავაჯეროთ.

– ვნახოთ, რაც იქნება, იქნება, ახლა რა ვქნათ, წავიდეთ თუ ცოტახანს დავრჩეთ?

– ჯობია შევიდეთ და ამ არეულობის ჟამს ცოტა კიდევ გადავკრათ, იქნებ დაგვაწყნაროს.

საბანკეტო დარბაზში საშინელი ხმაური, უფრო ღრიანცელი იდგა, ყველა ლაპარაკობდა, ყველა ეწეოდა, დახუთულ ჰაერს სიგარეტის კვამლი კიდევ უფრო ამძიმებდა, გაუსაძლისად ბლანტ სიმძიმეში გადადიოდა. სურიკოვმა თვალი მოჰკრა თუ არა დარბაზში შესულებს, ხელი დაუქნია.

– აქ დაჯექით, ჩემს გვერდით, საშა მიკარნახებს სადღეგრძელოს, თორემ ამათ უაზრო სმაში სულ ამებ-

ნა თავგზა. თუმცა სანამ რამეს ვიტყო-დე, მოდი მართლა გაუმარჯოს ჩვენს მეგობრობას, ჩვენ ხომ ყოველთვის კარგი დამოკიდებულება გვქონდა თქვენთან, ქართველები ყოველთვის უმთავრესები იყავით ჩვენთვის.

– მეგობრობას რა სჯობია, ოღონდ ნამდვილს, არა ყალბს, ისეთს, როცა ერთი მეგობარი მბრძანებელია, მეორე კი მონა.

არცით გაპიპინებული ჭიქები გადაკრეს. ახლოს მსხდომმა მონებმა, ვინც ყური მოკრა სურიკოვის მიერ ნათქვამ მეგობრობის სადღეგრძელოს, მყისვე ტაში დასცხეს, მერე კი სიამონებით გადაკრეს საოცნებო არაყი.

– ბატონი კროტოვი სად არის, რომ არ ჩანს, - შემპარავი ხმით იკითხა საშამ.

– კროტოვს ყურიც ასტკივდა, თვალიც, ცხვირიც, მოკლედ მთელი სახე და დასასვენებლად გაუშვი, - უპასუხა სურიკოვმა და ამით ერთხელ კიდევ გაუსვა ხაზი, რომ ჯერ ის იყო უფროსი. გიგამ და საშამ ერთმანეთს გაოცებული სახით გადახედეს.

დილით კონფერენცია დანიშნულზე გაცილებით გვიან გაგრძელდა, თითქმის ღამეგათეული მონაწილეები ძლივს მოხანცალდნენ და მთელი დარბაზი არყისა და კონიაკის ოხშივარით გაავსეს. კონფერენცია დაგვიანებით დაიწყო, როგორც იქნა, პრეზიდენტის წევრები შემოლაგდნენ, უწინდელთან შედარებით მომატებულები ჩანდნენ. გიგა პირველ რიგში სურიკოვის აქეთ-იქით მოკალათებულ კაცებსა და ქალებს ათვალიერებდა. კროტოვი კვლავ არ

ჩანდა, რაც ძალიან საეჭვოდ ენიშნა, საკუთად თავს ეკითხებოდა - ნუთუ გუშინ რაც მოხდა მართალი იყო, ნუთუ ასეთი რამ შესაძლებელია, ან იქნებ ყველაფერი დალეული არყის ბრალი იყო, იქნებ მოლანდებები დაეწყო, ეს ამდენი ძერა სად ჯანდაბიდან გაჩნდა, რა ჭირს ამ ცოდვიან რუსეთს, აფხაზეთიც რომ ყველაფერ ცუდში ჩაითრია, რატომ ებლაუჭება მისთვის ნეკისხელა სივრცეს და როგორ აუბედურებს, ეს მცირე ხალხი თუ ძერებად და მტაცებლებად აქცია, ხომ მოისპო და განადგურდა ყველაფერი, ხომ გადაშენდა პატარა ერი, საბოლოოდ აღმოფხვრა დიდი ხნის წინ დაფუძნებული ქართული გენი.

ამ დროს კულისებიდან პრეზიდენტში შემოვიდა მაღალი წარმოსადეგი ქალი, მიიწოიწიენ და ქალბატონს სურიკოვის გვერდით დაუთმეს ადგილი, ქალი ჯერ სურიკოვს ელაპარაკებოდა, მერე დარბაზს დაუწყო ცქერა, სურიკოვიც ფეხზე წამოდგა და ხმამაღლა ყალბი საზეიმო ხმით გამოცხადა: "ჩვენს კონგრესზე დასასწრებად მობრძანდა კრასნოდარის მხარის კულტურის მთავარი სამმართველოს უფროსი, ქალბატონი სნეგირიოვა ნატალია სერგეევნა, გთხოვთ მივესალმოდ მას", ნაბახუსევმა დარბაზმაც დიდის მონღომებით დასცხო ტაში.

გიგა კვლავ სტუმარს აკვირდებოდა, პროფილშიც და ანფასშიც თვალს ვერ აცილებდა, ნამდვილად ის ქალი იყო, მისი მაღალი ტანი, ლამაზი სახე და თავზე დადგმული თვალშისაცემად მაღალზე დაყენებული თმა



არწმუნებდა, რომ ის იყო. ყველაფერი გაახსენდა, ათი წლის წინანდელი ვითარება რამდენიმე წუთში ცხადივით აღიდგინა. ზუსტად ათი წელი იყო გასული წარსულის ცივი და სუსხიანი ნოემბრის ბოლოდან.

ის წელი რთული გამოდგა, ვერაფრით შევებულებაში ვერ გავიდა, ძალიან ბევრი საქმე აღმოჩნდა გასაკეთებელი, ნოემბრის ბოლოს კი ორი საგზური იშოვა ყირიმში, ცნობილ საკურორტო დაბა ფოროსში დასასვენებლად. რაღა დროს ზღვა იყო, უკვე ყინვები იწყებოდა, თუმცა ზღვის სურნელი ზამთარშიც იზიდავდა. ვერცერთი მეგობარი ვერ დაითანხმა ერთად წასულიყვნენ დასასვენებლად, ყველა ნასარგებლები აღმოჩნდა შევებულებით, მეორედ ვის გაუშვებდნენ, ბოლოს ისევ მასავით შევებულება შერჩენილი ბორის პუგოვიკინი აიყოლია, დიდი ხნის თანამშრომელი.

25 ნოემბერს გაფრინდნენ სიმფეროპოლში. უკვე მოღრუბლული, ნისლიანი დღეები იდგა, ღრუბლების ზემოთ კი ალაგ-ალაგ მზე ანათებდა, თვითმფრინავი ამ გაფერადებული ღრუბლების თავზე მისრიალებდა, ზღვისა და გემის შეგრძნებას აჩენდა. სიმფეროპოლიდან იალტამდე ავტობუსით იმგზავრეს, იალტაში მანქანა დაიქირავეს და ფოროსამდე კიდევ ოცდაათი კილომეტრი გაიარეს, უკვე გვიანი ღამე იდგა, როცა სანატორიუმს მიაღწიეს.

ღამის მორიგე მსახურები გააფორმა, საცხოვრებელ კორპუსსა და სასადილოში საშვები გამოწერა, მერე ახალი დამსვენებლები გამოყოფილ

ოთახამდე მიაცილა. ზღვაზე მთვარიანი ღამე იდგა, მუქფერად გადაშლილი სივრციდან ტალღების ტყლაშუნის ხმა გარვევით ისმოდა. ზღვისპირ სივრცით გადაშლილ ეზოში ოთხი – ხუთი შენობა ჩანდა, სინათლე აქა-იქ ენთო, უკვე ყველას ეძინა. ახალჩამოსულების საცხოვრებელი კორპუსი მაღლობზე იდგა, ზემოდან დასცქეროდა შენობებსა და უსასრულობამდე გადაჭიმულ ზღვას.

გიგას ძალიან მოეწონა მოზრდილი ოთახი, ფართო ფანჯრებიდან მთელი მიდამო ჩანდა, დღისით ფანტასტურად ლამაზი ხელი იშლებოდა, კოხტა ნაგებობებით, ნაძვებით, ფიჭვებითა და კიპარისებით სავსე მოვლილი ეზოთი, შუაში გამავალი ფართო გზითა და აქეთ-იქით მიმოფანტული ბილიკებით. ზამთრისპირის მიუხედავად დიდი სანატორიუმის ყველა კორპუსი ხალხით იყო სავსე, ბევრი ქვეყნიდან ჩამოსულიყვნენ, ძირითადად რუსები, რომ სხვებით დაგვიანებული შევებულებით ესარგებლათ. დამსვენებლებს შორის ქალები სჭარბობდნენ, სამწუხაროდ, ძირითადად ხანშიშესული და სიბერისაკენ მიმავალი ქალები, მათ ძველი სილამაზის ელფერი ნაკლებად შერჩენოდათ და მთლიანობაში უფერულ, მოსაწყენ მასას ქმნიდნენ, საერთოდ ახალგაზრდობა ძალიან მცირედ იყო წარმოდგენილი, ან რომელი ახალგაზრდა გადაწყვეტდა დასვენებას უკვე სიცივით გათანგულ ზღვაზე.

ფოროსში ღამეც კი საინტერესო იყო. ხშირად, როცა გაელვობოდა, წამოძვდარი გასცქეროდა ხან ლურჯად

დაბურულ, ხან კი მკრთალი ყვითელი ფერით განათებულ შავ ზღვას, შუალამისას თითქმის ყოველთვის მოჩანდნენ ხან უზარმაზარი, ხან შედარებით პატარა გემები. ძალიან ლამაზი სანახავი იყო ღამეში თეთრად ანთებული ზომალღები ხან ერთ მხარეს რომ მისრიალდებდნენ, ხან მეორე მხარეს. ერთხელ მისთვის მართლა ფანტასტიურ სანახაობას შეესწრო. ის ღამე თითქოს სხვებზე უფრო მთვარიანი იყო, თითქმის ნათელი, ამ დროს საკმაოდ მშვიდ, მოლივლივე ზღვას დელფინების უზარმაზარი გუნდი მოაპობდა, წინ ერთი დიდი დელფინი მიცურავდა, უკან ათობით თუ ასობით დელფინი მიჰყვებოდა, დრო და დრო ზოგიერთი დელფინი ტალღებიდან ამოიწეოდა და ამოხტებოდა, ამ დროს მისი დიდი სხეული მთვარის შუქზე გალაპლაპდებოდა და ისევ ზღვაში ქრებოდა.

სანატორიუმი ჩვეული ცხოვრებით ცხოვრობდა, სასადილოში, სამკურანლო კორპუსში სისტემატურად დადიოდნენ, ახალ კინოფილმებს ყოველ საღამოს ნახულობდნენ, ბიბლიოთეკიდან წიგნები გამოჰქონდათ, ახალ გაზეთებს ეცნობოდნენ, ყოველდღე დასეირნობდნენ ფოროსის ადგილმდებარეობის გასაცნობად. უზარმაზარ სამასკაციან სასადილოში დღეში ოთხჯერ ხედავდნენ დამსვენებლებს, მეოთხედ კინოს დამთავრების შემდეგ კეფირის აუცილებელი სმა ითვლებოდა, რასაც არავინ აცდენდა, ამიტომ თითქმის ყველას უკვე სახეზე ცნობდნენ. დამსვენებლები მიდიოდნენ, მათ ადგილს ახლები იკავებდნენ, ცხოვრე-

ბა დიდი ცხოვრების მსგავსად, ჩვეულებრივი წესით და რიგით მიედინებოდა. ერთ დღესაც ორი ახალი დამსვენებელი ქალი გამოჩნდა, ერთი დაბალი და ძალიან უშნო, მეორე მაღალი, ერთი შეხედვითვე ლამაზი და ყველა კაცში ვნების აღმძვრელი. ეს ქალებიც ჩვეულებრივ სანატორიულ ცხოვრებას შეუდგნენ და მრავალ ადგილას ჩანდნენ, სადაც ყველას ძალაუნებურად უნდებოდა ყოფნა. დაბალ, უშნო ქალს ყურადღებას არავინ აქცევდა, მაღალ მომხიბლავ ქალთან დაახლოებას კი მთელი სანატორიუმი ცდილობდა, თუმცა აშკარად იგრძნობოდა ქალი არავისთან დაახლოებას არ აპირებდა, თითქოს ყველას გაურბოდა და დღის ნებისმიერ მონაკვეთში მეგობარ უშნო ქალთან სეირნობდა. მერე სანატორიუმში მთარული ჭორებით შეიტყვეს, რომ მიმზიდველი ქალიშვილი ახლად გათხოვილი ყოფილა, ასევე ახლად დამწყები პარტიული მუშაკი, მათ კი ტოტალიტარული რეჟიმის დაუწერელი კანონებით სექსიც ეკრძალებოდათ და ახლადგაცნობილებთან დაახლოებაც. მაგარი ქალი კი იყო, ჩამოსხმული ტანით, სწორი ფეხებით, დიდი მომწვანო თვალებითა და სწორი ცხვირით, ოღონდ ძალიან მაღლა დაყენებული ღია წაბლისფერი თმით, თითქოს თავზე მეორე თავი ჰქონდა შედგმული. გიგამ ერთხელ მოახერხა მისი გაცნობა რაღაც ღონისძიების დროს, ქალმა ხელი ჩამოართვა, რუსული წესისამებრ ნატალია სერგეევნაო უთხრა, ცოტა ხნის შემდეგ კი თავის შეუხედავად დაქალთან ერთად წავიდა გასასვლელისკენ.

მერე ისიც დაადგინეს, რომ გვარად სნეგიროვია ყოფილა, წარმოშობით კაზაკთა წრიდან, „კაზაჩკა რომაა, ამიტომაც არის ცივი და უკარება“, დაასკვნეს მაღალი ღონის სანატორიუმშიც არყის გაუთავებელი სმით აცუნდრუკებულმა რუსმა კაცებმა.

ახლა ის ჯიშინი "კაზაჩკა" პრეზიდენტში იჯდა და წესისამებრ დარბაზს ათვალიერებდა,

გიგა თავისთვის ფიქრობდა, რამდენი წლის იქნებოდა ეს მიმზიდველი ქალი, თუ ათი წლის წინ ოცდაორი-ოცდასამი წლის იყო, ახლა უკვე ოცდაათ წელს გადაცილებულიც ლამაზად და ვნებიანად გამოიყურებოდა.

უინტერესო, მლიქვნელური გამოსვლები გრძელდებოდა, გიგა ალაგ - ალაგ უსმენდა და თავისთვის უკვირდა როგორ უყვარდათ რუსებს საჯარო გამოსვლები და რამდენი სისულელის თქმა შეეძლოთ, ისეთი შთაგონებულ - იდიოტური სახეს იღებდნენ, თითქოს ლაპარაკით ქვეყნის ბედის გადარჩენას ან სულ ცოტა გაუმჯობესებას მაინც უწყობდნენ ხელს. იმასაც ფიქრობდა, რომ ეს არაფერი სიკეთის მომტანი სენი საქართველოშიც გვარიანად იყო ფეხმოკიდებული, უსაგნო ლაყობას ყველგან ჰქონდა გასავალი.

ორი საათიც არ იყო გასული სხდომის დაწყებიდან და პირველი შესვენებაც გამოცხადდა ნახევარი საათით, თითქმის ყველა მაგრად ნაბახუსევი იყო და სურვილი ჰქონდათ ცივი ლუდის ან იგივე საყვარელი არყის გადაკვრით თავი გაემხნეებინათ, სალა-

მოს შეტევებისთვის მომზადებულიყვნენ. სურიკოვმა თავისთან მოიხმო საშა ყაფლანიშვილი, გიგას დაძახება უფრო ერიდებოდა, სმისა და საქებარი სადღევრძელოებით ცნობილ საშასთან თავს ახლობლურად გრძნობდა. ცოტა წაილაპარაკეს და საშა დაბრუნდა.

– რაო რა გითხრა, შენთან დალევა ხომ არ მოენატრა?

– რას მეტყოდა ჩვენთვის სასარგებლოს, დღეს სადამოს ექვს საათზე თქვენთან მოვალთ სტუმრად, იცის სასმელი რომ ჩამოვიტანეთ და სანამ არ დასკდებიან, მანამდის ვინ მოგვეშვება.

– რამდენი კაცი მოვალთო ხომ არ უთქვამს?

– თავისებურად მოჭრა 10-15 კაცი იქნებაო.

– სმის ღონისძიებას ვინ დააკლდება, ახლი კი წავიდეთ აქედან, სოჭის ბაზარში გავიაროთ, იქნებ სულგუნი ვიშოვოთ, რაც თბილისში მარტის თოვლივით გაქრა, მწვანილი და მჟავეულიც მივაყოლოთ, ვითომ ჩამოვიტანეთ, მაგათთვის მაინც სულერთია.

სტუმრები ექვსი საათისთვის დაუგვიანებლად მობრძანდნენ, მომლიმარ გუნდს წინ სურიკოვი მოუძლოდა, ხელკავით საპატიო დამსწრე ქალბატონი მოჰყავდა. ოროთახიანი ნომრის მოზრდილ სასტუმრო ოთახში სუფრა 20 კაცზე იყო გაშლილი. ეს წინასწარი გადაწყვეტილება სწორი აღმოჩნდა, რადგან უზომო სმისა და სხვის ხარჯზე პატივისცემის მოყვარულ სურიკოვს სამი - ოთხი კაცი კიდევ დაემატებინა. სტუმრები პირველსავე მი-

პატიჟებისას მიუსხდნენ სუფრას. ქალბატონ სნეგირიოვას თავჯდომარისა და გიგას შუაში მოუწია დაბრძანება. ბატონმა სურიკოვმა საშა ყაფლანიშვილი სასწრაფო წესით დაასახელა თამადად, ისიც ჩვეული რიხით შეუდგა მოვალეობის შესრულებას, როდესაც ოთხი - ხუთი ჭიქა შეისვა და სუფრაზე, მხიარულმა ყიყინამ საგრძნობლად იმატა, გიგა უკვე გამხიარებულ ქალბატონს მიუბრუნდა,

– მე თქვენ ერთხელ უკვე გაგიცანი, ისე რომ შემძლია ვთქვა უკვე ათი წელიწადია გიცნობ.

– რას ამბობთ, როგორ, საიდან, მე არაფერი მსგავსი არ მახსოვს.

– ათი წლის წინ, ნოემბრის თვეში, ვისვენებდი ყირიმში, კურორტ ფოროსში, სადაც თქვენ მაშინ სრულიად ახალგაზრდა გოგონა, ჩამობრძანდით თქვენს დაცვასთან თუ მეთვალყურესთან ერთად.

ქალმა ხმამალა გადაიკისკისა

– დაცვა ახლა არ მყავს და მაშინ საიდან მეყოლებოდა, ის მეთვალყურე ჩემი თანამშრომელი იყო. კარგი მახსოვრობა გქონიათ, როგორ დაიმახსოვრეთ ეს ყველაფერი, მე მაგალითად საერთოდ არ მახსოვხართ.

– ან როგორ დამიმახსოვრებდით, ეს იყო ჩვეულებრივი წუთიერი ხელის ჩამორთმევა, თუმცა თქვენი ხელის სითბო დღემდის მახსოვს, თქვენი სილამაზით ყველა მოხიბლული იყო, თუმცა თქვენ მაშინ კაცებს ყურადღებასაც არ აქცევდით.

ქალმა კვლავ გადაიკისკისა, თეთრი კრიალა კბილები გამოაჩინა.

– როგორ ყველაფერი დაგიმახსოვრებიათ, ძალიან დამაინტრიგეთ, თქვენეულმა მიდგომამ და ადამიანურმა განწყობამაც დამაინტერესა.

– დაინტრიგებაც, მიდგომაც და განწყობაც, მხოლოდ იმ ადამიანურ თუ კაცურ თვისებაში გამოიხატება, რომ თქვენს მსგავს დიდებულ ქალს კაცი ვერასოდეს დაივიწყებს, თუნდაც ერთხელ მოკრას თვალი.

ქალმა უკვე სიამოვნებისგან გადაიკისკისა.

– რა საოცარი ჯენტლმენები ხართ ქართველები, ქალს ისე მოეფერებოდა თითქოს მასზე გიჟდებოდეთ, თან დიდი სითბო შეგიძლიათ აგრძნობინოთ, ამისთვის თქვენი უაღრესად მაღლობელი ვარ.

დაშაქრული სადღეგრძელოები გადავსებული ჩაის ჭიქებით გაგრძელდა, ყველა სვამდა, ყველა ღრეობდა, გიგას მეზობელი თანამდებობის პირიც გვარიანად სვამდა, ქართული ღვინო ძალიან მოსწონდა.

საშა ყაფლანიშვილმა ისეთი რიხითა და გამოთქმებით დალია სტუმარი ქალის სადღეგრძელო, რომ "კაზაჩკა" საბოლოოდ მოხიბლული დარჩა. ქალების სიყვარულის დროს საშამ "ბრუდერშაფტი" ანუ ვახტანგური დალევა გამოაცხადა, ყველამ ერთხმად სტაცა ხელი გადააპინებულ დიდ ჩაის ჭიქებს. ქალბატონმა ნატალიამ გიგასთან გადააჯვარედინა ხელი, კაცივით სწრაფად გადაკრა ღვინო და მთვრალისათვის დამახასიათებელი ისეთი გრძნობით აკოცა ტუჩებში, რომ გიგას ლამის თავბრუ დაეხვა, დაჯდა

და ქალის ცხელ ბარძაყს მოხდენილად დაადლო ხელი.

სუფრა თითქმის თორმეტ საათამდის გაგრძელდა, რითიც უხეშად დაარღვიეს ჯერ კიდევ ძალაში მყოფი საბჭოთა კავშირისდროინდელი შემზღუდავი კანონი, რითიც სტუმრების მიღება ან რაიმე დღესასწაულის აღნიშვნა მხოლოდ და მხოლოდ ღამის თერთმეტ საათამდის იყო შესაძლებელი, თუმცა ნოემბრის ბოლოს სასტუმროში ცოტა ხალხის გამო კლიენტების უფლებებს, მით უმეტეს საქმიანი კონფერენციის მონაწილეებისას, წესად მიღებული ფორმებით აღარ არღვევდნენ.

ფეხზე რომ წამოიშალნენ ყველა შესამჩნევად ბარბაცებდა, არ წყდებოდა დაშშვიდობება, სავიზიტო ბარათების გაცვლა, მისამართების ჩაწერა, კოცნა და პროშტნა, კვლავაც სტუმართმოყვარე ქართველების ქება, მადლობები. ყველა ერთმანეთში იყო არეული და ძალზე ნელ-ნელა გადიოდნენ ფართოდ გაღებულ კარში. ქალბატონი ნატალიაც კარგა გვარიანად გადამთვრალი ჩანდა, ლოყები გაწითლებოდა და ხშირად უმიზეზოდ იცინოდა. გიგამ ქალს ყურში უთხრა მე გაგაცვილებთო, ხელკავი გაუყარა და მაღალი ქალი ფართო, საკმაოდ გრძელ დერეფანში გაიყვანა, ქალბატონი ნატალია მთელი ძალით ეყრდნობოდა გიგას ხელს და ჯიშინან ძუძუებს მხარზე აჭყლეტდა. ძალზე ნელ ტემპში გაიარეს დერეფანი, მერე მარჯვნივ მოუხვიეს იმ ფლიგელისაკენ, სადაც მაღალი ღონის სტუმრებისათვის განკუთვნილი ლუქს-ნომ-

რები იყო ჩამწკრივებული, ყველა ნომრის ფანჯრები და აივანი ზღვის მხარეს გადიოდა, რომ ჩამობრძანებულ თანამდებობის პირებს უფრო კარგად ესუნთქათ, თან მოცლილობის ჟამს ზღვის მომხიბლავი ხედებით დამტკბარიყვნენ.

ქალმა კარები ძლივსძლივობით გააღო, არც მას უთქვამს შემობრძანდითო, არც გიგას უკითხავს შეიძლება თუ არაო, ისე შევიდნენ ოთახში და კარი ჩაკეტეს. ქალმა საზეიმო კაბა გაიხადა, გემრიელად საცქერი ტანი გამოაჩინა, მაღალყელიან ჩექმები კუთხეში მიყარა, წინდებიც ჩაიხსნა, გაიძრო და შიშველი კოხტა ფეხები ფოსტლებში წაჰყო. გიგაც პიჯაკგანდილი, ჰალსტუხმონხნილი და ღრმად პერანგახსნილი იჯდა. მერე ქალმა მაგიდაზე მდგარი ბორჯომის ბოთლი გახსნა, თავისთვის დაისხა, გიგასაც შესთავაზა და სიამოვნებით დალია. სკამიდან ისევ წამოდგა, ვერ გაიგებდით რა უნდოდა, ნაბიჯი გიგასკენ გადმოდგა, გიგამაც ხელი მოჰკიდა და კალთაში ჩაისვა, ქალიც მოხერხებულად მოკალათდა, თავი მოატრიალა და გიგას ტუჩებს დააცხრა. სულ ცოტა ხანში ორივე ერთმანეთს ხდიდა ტანისამოსს და უკვე შიშვლები კოცნა-კოცნით მიიწევდნენ ორადგილიანი ფართო საწოლისაკენ. ეტყობოდა ქალბატონი ნატალია უკვე გამოცდილი ქალი იყო, სიმთვრალის მიუხედავად ძალიან ვნებიანად მოძრაობდა, ღამაში ბარძაყები ღამის საკუთარ მხრებზე გადაიტანა ისეთი მოქნილი იყო, სიმთვრალე მაინც ცუდ როლს თამა-

შობდა, თითქოს ერთბაშად აფეთქებული ვნება ცხრებოდა, ნელდებოდა და ის, რასაც ადრეულ წლებში რამდენიმე წუთი ყოფნიდა ახლა კარგა ხანს გაგრძელდა, თუმცა ქალის ხორბლისფერმა ტანმა, საკმაოდ კარგად მდგარმა მკერდმა და ცეცხლივით მხურვალეობამ მაინც თავისი გაიტანა და თითქოს ნაომარი გიგა ქალის გვერდით გადაწვა, რომ ცოტა სული მოეთქვა. დაღლილი მძიმედ სუნთქავდა, გულს უხვად მიღებული ალკოჰოლისაგან მართლა ბაგა-ბუგი გაჰქონდა და ნელ-ნელა იწყებდა დამშვიდებას, ქალიც გულაღმა იწვა და თეთრ ძუძუებზე ოფლის კვალი აჩნდა. მერე ქალმა თავს ძალა დაატანა, წამოჯდა, შესამჩნევი რწევით გაიარა ოთახი, სააბაზანოში ღუში გადაივლო და თითქოს გაახალგაზრდებული დაბრუნდა თავის ადგილას. ამ დროს გიგას ძლიერი ბურანი დაეუფლა და ძალაუნებურად ჩასთვლიმა, აღარც კი იცოდა ეძინა თუ არა, იმდენად არეული იყო მისთვის ირგვლივ მიყუჩებული სამყარო. ვერც კი მიხვდა როდის დაიწყო ეს სიახლე, ყელზე ქალის ვნებიანმა კოცნებმა თითქოს რეალობაში დააბრუნა, ქალი კოცნიდა ყელზე, მკერდზე, ჭიპზე, მუცელზე და აუჩქარებლად დაბლადაბლა მიიწევდა, დაბლა ჯერ კოცნას მოუმატა, მერე კი ისეთი ოსტატური ალერსი დაიწყო, რომ ახლადგადვილებული მთვრალი გიგა ისევ ვნებისა და უმოძრაო ნეტარების მორევში ჩაიძირა. მერე მაღალი კოხტა ქალი კვლავ გავიდა აბაზანაში, გიგამაც მოახარუნა გაოფლილ ტანზე თბილი ღუმის გადავლე-

ბა, ცოტა ხანს კიდევ იწვა, მაგრამ მიხვდა ჯერ კიდევ სასმელგამოუნელებელ ქალს ეძინებოდა, დამძიმებულ გუგებს ძლივსდა ახელდა, გიგამაც სახელდახელოდ ჩაიცვა, თითქმის მიძინებულ ნატალიას უთხრა ახლა წავედი, ხვალ გნახავო და ლუქსის კარი ფრთხილად გამოიხურა.

საშა ყაფლანიშვილი მათი ნომრის გვერდით მდებარე პოლში დახვდა ტყავის რბილ სკამლოგინზე ჩამომჯდარი და ჩაძინებული.

– საღ იყავი, რამდენი გეძებე, მერე მითხრეს ქალთან ერთად მიდიოდაო და მივხვდი კრასნოდარის ელიტის წევრმა მიგიპატიჟა თავისთან, იმ დროს სურიკოვი ძელაპარაკებოდა, მკოცნიდა და თქვენი გასვლა არც კი გამიგია, გვიან მოვეგე გონს, ძალიან ბევრმა დალევამ მომიწია. რად გვინდოდა ასეთი გაპობა, ვინ დაგვაძალა ან როდის იყო რუსი გაძალეებდა სასმელს, სულ ფეხებზე კიდია შენ დალევ თუ არა, ურჩევნია თავისთვის მეტი დარჩეს.

– რა ვიცი რა გვრჯიდა, მაგრამ ხდება ხოლმე, გგონია არ დათვრები, კარგად იტან ღვინოს, ადგები და გრძნობ მეტისმეტი მოგივიდა, გადაიწვი. თავიდანვე რომ მცოდნოდა ასეთ შესანიშნავ ქალთან ურთიერთობა მომიწევდა, ერთი-ორი ჭიქის მეტს არც დავლევდი. შუა ხნის ასაკს მიღწეული თუ გადაცილებული კაცისთვის მაგარი სიმთვრალე და სექსი შეუთავსებელი რამ არის, თუმცა ქალბატონი ნატალია ისე ყლურწავდა ჩვენს კახურს, კაცურად მომერიდა და მეც მაგრად შევუბერე.

ცოტა ხნის ლაპარაკის შემდეგ მიულაგებელი, არეულ-დარეული, სიგარეტის კვამლით გაჟღერებული ოთახის კარი დაკეტეს, მეორე ოთახში ფანჯარა გააღეს და ნაბახუსევზე ძილი გააჩაღეს.

დილით წაისაუზმეს, დროულად მივიდნენ კონფერენციაზე, არ უნდოდათ ვინმეს ეთქვა აი, ქართველები დათვრენ და ველარ მივიდნენო, წინაღამინდელი ღრეობის ყველა მონაწილე მცირე თუ დიდი დავიანებით გამოცხადდნენ, ქალბატონი ნატალიაც ისეთი უმანკო სახით შემოვიდა პრეზიდენტში თითქოს არაფერიც არ მომხდარიყოს. დიდი ანუ სასადილო შესვენების დროს აჩქარებული ხალხის ბოლოს დინჯი ნაბიჯით მიმავალ გიგას და საშას ნატალია სნეგირიოვა დაეწიათ, საშას ბოდიში მოუხადა და გიგა ფართო ჰოლის ფანჯრისაკენ წაიყვანა.

– როგორ გრძნობ თავს გიგა?

– დიდი მადლობა, არამიშავს, ახლა ნაბახუსევზე ერთ-ორ ჭიქას გადავკრავ და საერთოდ გამივლის.

– მე რომ მომკლა ერთ წვეთსაც ველარ დავლევე, თქვენი მშვენიერი ქართული ღვინის სიმაგრე ველარ მოვზომე, ძალიან მსუბუქი მეგონა ისე ისმებოდა, ბოლოს კი საერთოდ გამთიშა. რაც მოხდა სულ ალკოჰოლის ბრალი იყო. იმედი მაქვს შენს მეგობარს ან სხვას არ მოუყვებოდი, რაც მოხდა ჩვენს შორის.

– როგორ გეკადრება, მე საერთოდ ასეთ თემაზე ლაპარაკი სიმძაბლედ მიმაჩნია.

– ამიტომაც გამოირჩევით ქართველები სხვებისგან, მადლობა ასეთი დამოკიდებულებისთვის. მე სასწრაფოდ გამომიძახეს, მანქანა უკვე მელიოდება და მივდივარ. გული კი დამწყდა, რომ წესიერად, ადამიანურად ველარ შევხვდებით.

– მეც გული დამწყდა, ამ საღამოს მართლა გულიანად ვილაპარაკებდი.

– რას იზამ, ასეთია ცხოვრება, აი, ჩემი სავიზიტო ბარათი, თუკი მოხვდები კრასნოდარში ან სადმე მეზობელ საკურორტო ადგილას, აუცილებლად დამირეკე, სიამოვნებით შევხვდები, ჩვენ ზომ ბოლოს და ბოლოს ათი წლის ნაცნობები ვართ, როგორც გუშინ მითხარი, მართლა საოცრება იყო ასეთი მოულოდნელი შეხვედრა და გაფრენილი ღლეების გახსენება. ახლა კი წავედი, მომავალ შეხვედრამდე, თან აუცილებელ შეხვედრამდე.

ქალმა თბილად გადაკოცნა გიგა და მაღალი თეძოების რხევით წავიდა. გიგას მაინც გული დაწყდა, რომ ეს დღენახევრიანი ზღაპარი ასე უცებ დამთავრდა.

შესვენების დროს მართლაც ორიოდე ჭიქით ნაბახუსევზე გამოვიდნენ და კვლავ უინტერესო, რუსული შოვინისტური სულით საესე სხდომას დაუბრუნდნენ, რომ ახალი ან მრავალჯერ გაგონილი ამბები მოესმინათ.

– მადლობა ღმერთს ხვალ თავდება ეს ნაძალადევი ღონისძიება, ამ სისულელეს რად უნდა სამი – ოთხი

დღე, ვითომ ერთ დღეში არ მოესწრო-ბოდა, – თქვა გიგამ.

– ხომ უნდა უჩვენონ ზემდგომს რომ რაღაცას აკეთებენ, ორგანიზაცია აგრძელებს საქმიანობას, ახლა ყველას ადამიანების მოსყიდვისა და მოთაფლვის როლი აკისრია, მაინც მთელი გააფთრებით ცდილობენ ვითომ რაღაც სხვა ფორმით თუ სხვა სახელწოდებით შემოინახონ ძალით შეკოწიწებული საბჭოთა კავშირი, მაგრამ ხალხის მესხიერებას ვერაფერს წაშლის და ვერც ათწლეულების მანძილზე უხვად დაღვრილი სისხლს მორეცხავს.

– ჯანდაბას ამათი თავი, ოღონდ ამ უზარმაზარი ნგრევის პროცესში როგორმე მშვიდობიანად ჩაიაროს.

– მშვიდობიანად ვერ ჩაივლის, თავად რუსეთი ეცდება, რომ სისხლი დაიღვაროს, იქნებ ისევ რეპრესიებითა და დაშინებით მოახერხონ მდგომარეობის შენარჩუნება, მაგრამ უკვე ძალიან გვიანია, როგორც ბალტიის ქვეყნები დაუძვრნენ ხელიდან, როგორც ჩვენ გავერიდეთ ამ საშინელ ჭირს, ისე არაერთი და ორი რესპუბლიკაც მიატოვეს ინტერნაციონალურ საპყრობილეს და უბატონო ცხოვრებას შეეცდება.

– კიდევ ერთხელ და ათასჯერ ჯანდაბას ამათი თავი. ჩვენ რა ვქნათ, როდის წავიდეთ.

– ხვალ შუადღისას დამთავრდება ეს კონფერენცია თუ კონგრესი, ხან ერთს ამბობენ, ხან მეორეს, ისე კონგრესი უფრო მოსწონთ, დამთავრების მერე წესისამებრ გაიმართება ბანკეტი – ღრეობა, ჩვენც უნდა

დავესწროთ, დანას ძროხის კუდზე ნუ გადავტეხავთ, დილაადრიან კი უკან მოუხედავად მოვუსვათ, ხვალ ესენი ისე დასკდებიან სულ ფეხებზე ეკიდებათ ჩვენ წავედით თუ დავრჩით.

მეორე დღეს შეკრება პირველ საათზე დამთავრდა, გამოითქვა სურვილი რომ კვლავაც ხშირად შეხვედროდნენ ერთმანეთს, თითქოს ამ ძვირადღირებული შეხვედრებიდან სმისა და ბოზობის მეტს რაიმეს ელოდნენ, თუმცა მიღებულ წესს ვერ გადაუხვევდნენ. ახლა მთავარი იყო უკან დასაბრუნებლად სამყოფი ბენზინი ეშოვნათ, ქალაქში ერთი ბენზინგასამართი სადგურიც არ მუშაობდა. ღონისძიების მონაწილე სოჭელი ნაცნობების დახმარებით, სადღაც დარეკვითა და თხოვნებით ძლივს მოახერხეს ქალაქიდან საკმაოდ შორს სამყოფი საწვავის ჩასხმა. აუცილებელი წასვლა - წამოსვლის გამო ბანკეტზე დაგვიანებით მივიდნენ, თუმცა იქ დამსწრენი, უფროს - უმცროსიანად არყითა და კონიაკით უკვე ისე იყვნენ მთვრალეები, მათი შესვლა არც კი გაუგიათ, საერთოდ ქართველიც და ყაზახიც უკვე ფეხებზე ეკიდათ, მთავარი იყო კარგად გამოძეგვრალიყვნენ და სიმთვრალის თანმდევი მცირე სექსუალური სიამოვნებაც მიეღოთ. ცოტა ხნის შემდეგ გიგა და საშა, უკვე გახურებული ციკვების დროს, რაშიც სურიკოვიც მონაწილეობდა საბაროვსკიდან ჩამოსულ შესახედავად ნორმალურ ქალთან ერთად და მისი ჩახუტება-გადაწვენა-გადმოწვენით იყო გართული, ისე გამოვიდნენ ღია კარიდან, რომ გამოხედვი-



თაც არავის გამოუხედავს. ღამით ნორმალურად იძინეს, დილით ადმინისტრატორთან საჭირო საბუთები გააფორმეს, მსუბუქად ისაუზმეს კიდეც და გზას დაადგნენ ნასიამოვნები თუ პირიქით, უსიამოვნო განცდებით ავსილები. დილით ათი საათისთვის უკვე სოჭს გასცდნენ და ადლერისკენ გაქანდნენ.

– საშა, საოცარია, თავში სულ ძერების პრობლემა მიტრიალებს, ეს მტაცებელი და ადამიანის ხორცის მჭამელი ფრინველები ასე რამ მოამრავლა, ადრეულ წლებში ხომ ასეთი რამ არ შეგვიძინებია.

– ადრე არც ასეთი არეულობა იყო, რუსეთი ცდას არ აკლებდა, ჟანდარმულად ბატონობდა, ახლა ყველა იბრძვის თავის დასახსნელად, რუსეთი კი მათ არ გასაშვებად, კვლავ მონებად დარჩენას ცდილობს. ალბათ, შექმნილმა უმძიმესმა ვითარებამ ძერებიც მოამრავლა, მკვლელებიც, ქურდებიც, ბანდიტებიც, მოლაღატებმაც ძერებივით წამოჰყვეს თავები, ახლა ისეთი დიდი ცოდვის ბორბალი ტრიალებს, ვის გაიტანს და გასრესს არავინ არაფერი იცის.

ერთ საათამდის გავიდა გაგრას რომ მიატანეს, ძველი დროიდან მიჩვეულ ადგილებში გაჩერებაც აღარ უცდიათ, გაგრიფშს შორიდან მოკრეს თვალი, მოღრუბლულ დღეს შენობაც კი ნაღვლიანად გამოიყურებოდა. ისე გაიარეს ზღვისპირ მწვანე ფერდობებს ლამაზად შეფენილი გაგრა, ხმაც კი არ ამოუღიათ, ფიქრებში ღრმად იყვნენ წასულელები. გუდაუთასთან მოზრდილი პიკეტი იდგა, ჭრელი საჩვენებელი ჯოხებით

ანიშნეს დადექითო. ჯგუფს ერთი შავსახიანი ბიჭი გამოეყო და მანქანასთან მოვიდა, სხვები სოხუმის მხრიდან მომავალი მანქანებს გულდაგულ ჩხრეკდნენ.

– თქვენი საბუთები მომეცით, – ზედმიწევნით სომხური აქცენტით რუსულად ბრძანა ბიჭმა, – საიდან მოდიხართ, სად მიდიხართ?

საშამ, რომელიც პატარაობიდან დიდ, ხალხსავსე ეზოში სომხებთან ერთად იზრდებოდა და დედაც სომეხი ყავდა, სუფთა სომხურით უპასუხა.

– სამი დღის წინ რომ გაგვისინჯეთ საბუთები ისევე ისინი ვართ, სოჭში ვიყავით კონგრესზე და თბილისში ვბრუნდებით.

სომეხს აშკარად ესიამოვნა სუფთა სომხურის გაგონება და სიამოვნებით კითხა: "ჰაეს ტო", " – ჰაემ, ჰაემ" უპასუხა საშამ, მოპიკეტეს სახე გაეხადრა, – ხომ არაფერი გინდათ, თუ გინდათ დავლიოთ, რესტორანი ახლოს არის.

– არა, დარეკილი გვაქვს, ქუჩაში გველოდებიან, ახპერჯან (მეგობარო) მიმართა, დამხვედრს, აქ მილიციის უფროსად ჩემი კურსელი და ძმაკაცი ედიკ ბოზარჯიანიცი მუშაობდა, ხომ არ იცი ახლა სად მუშაობს.

– როგორ არ ვიცი, – ახლა მთლიანად გაეხადრა სახე სარქისას, – ლაპარაკში სახელიც გაიგეს, – ჩემი ბიძაშვილია, ეხლა კრასნოდარში, მუშაობს მილიციის სამხარეო სამართველოში, მოადგილეა, ედიკას ძმაკაცი, იგივე ჩემი ძმა და ძმაკაცია, არა, არა ძმაო, ისე ვერ გაგიშვებთ, თითო ჭიქა სომხური კონიაკი რომ არ დავლიოთ.

– ქუჩაში გველოდებიან, თორემ შენთან დალევას რა ჯობია, ჩემი ძმის ძმა ყოფილხარ, – გაიქაჩა საშა, – აი, მალე კიდევ წამოვალთ, დავვჯდეთ და ვისიყვარულოთ, ეს ქუ ცავადტანებ.

კმაყოფილმა სარქისამ საშა გადაკოცნა, – აქ მე ვარ მთელი ტრასის უფროსი, თუ გზაში ვინმე გაგაჩეროს, უთხარი სარქის ბოზარჯიანცის ნათესავი ვარ – თქო, ყველაფერს გააკეთებენ, თუ რამე არ გააკეთეს, თავს მოვჭრი.

ბოზარჯიანის ხსენება მართლა დასჭირდათ, გუშისთან გრძელი რიგი იდგა, სარქისა ახსენეს თუ არა, მანქანა გაუსინჯავად გაატარეს.

დღის პირველის ნახევარი სრულდებოდა სოხუმში რომ შევიდნენ. უფერული, მოღუშული დღე იდგა, ქალაქიც მოღუშულად და მოწყენილად გამოიყურებოდა, ციოდა, ქუჩაში ცოტა ხალხი დადიოდა.

– შენს უახლოეს მეგობარს ზებოს რა ვუყვით, გახსოვს როგორ დაგვაფიცა და დაგვაგინა, თუ გაიართან გამოიართო და არ მნახოთ, კაცები არ იყოთო, – შეახსენა საშამ გიგას.

– არ ვიცი, რა ვქნათ, ზებოსთან დარეკვა მთელი დღით დარჩენას ნიშნავს, არადა მართლა ეწყინება, ჩვენ კი ხვალ მაინც ხომ უნდა ვიყოთ სამსახურში.

– მოდი ტრადიციის თანახმად სანაპიროზე ქვიშაში მოდულებული ყავა დავლიოთ, თან მოვიფიქროთ როგორ მოვიქცეთ, თუ არ დაურეკავ, დავაწვეთ და წავიდეთ.

ძველ ფიცრულ ყავახანაში საკმაოდ ბევრი ხალხი იჯდა, როგორც

იქნა მოძებნეს ადგილი, შეუკვეთეს თურქული ყავა ნამცხვრით. ამ დროს იგივე მიზნით ყავახანაში იულონ მარლანია შემოვიდა ალიკ კონსტანტინიტან ერთად, ძალიან მოწყენილი სახეები ჰქონდათ, რაიმე ხომ არ მოხდაო, – ჰკითხეს, – დავლიოთ ყავა, გარეთ გავიდეთ და გეტყვიოთ. ყავის სმა ჩქარა მოათავეს, ისევ გაცივებულ-გამოცარიელებულ სანაპიროზე გამოვიდნენ.

– რა იყო, რა მოხდა, ყავახანაში ხმა რომ არ ამოიღეთ.

– ამ ამბავზე ახლა მთელი ქალაქი ლაპარაკობს, დაპირისპირება ქართველებსა და სეპარატისტულად განწყობილ აფხაზებს შორის კიდევ უფრო გამწვავდა, ამიტომ ხალხში ლაპარაკს მოვერიდეთ.

– რა იყო, რა მოხდა ასეთი დასამალი, ხომ არ დასცხეს ერთმანეთს.

– დაახლოებით მსგავსი რამ მოხდა, გუშინწინ სალამოს სოხუმელების უსაყვარლესი კაცი ჟანი კანკავა მოკლეს, დიდი კაცი, დიდი მოღვაწე, თანაც ჩვენი ახლო ნათესავი.

– რას ამბობ კაცო, როგორ თუ მოკლეს, ვინ მოკლა, მარტო იყო თუ ვინმესთან ერთად, რა მოხდა?

– ჯერ არაფერი არ არის ცნობილი, დამნაშავეს ვერ მიაკვლიეს, ან რისი გამკეთებლები არიან ესენი, გუშინწინ სალამოს ორ მეგობართან ერთად წესისამებრ სანაპიროზე უსეირნიათ, მერე დადლილები თეატრის წინა სკვერში ჩამომსხდარან დასასვენებლად. იქ ვილაცხები ყოფილან, შვიდი თუ რვა კაცი, უხამსი გინების გამო შელაპარაკება მოსვლიათ, იმ ტიპებს მაგრად

უცემიათ ესენი, ჟანისთვის თავში რკინის მილი ჩაურტყამთ, საავადმყოფოში მისვლამდე გარდაცვლილა, მეგობრები კი დღესაც რეანიმაციაში არიან.

- რა საშინელებაა, ასეთი ცნობილი, არაჩვეულებრივი კაცი როგორ უნდა გაიძეტო, საერთოდ ადამიანი როგორ უნდა მოკლა.

ჟანი კანკავა მთელ აფხაზეთში ცნობილი კაცი იყო, სოხუმის პროკურორი, საოლქო პროკურორის მოადგილე, იუსტიციის მინისტრი და დეპუტატი, ყველგან პატივისცემით სარგებლობდა, მასზე ხელის აღმართვა თუ გაბედეს, ძალიან ცუდად ყოფილა საქმე, აწი ამის შეკავებას ვინ შეძლებს, აფხაზეთში დიდი არეულდარეულობა დაიწყო, ახალ სოლომსა და გომორს აქ მოაწყობენ რუსები, ალბათ, ახლა ხელისუფლება და დაზვერვის მთავარი სამმართველო გამალებით სწორედ ამ საკითხებზე მუშაობენ, - ფიქრობდა დაღონებული გიგა.

- მოდი, დაუურეკოთ ზეოს, თორემ მართლა ეწყინება, იულონ, ნახე ერთი ახლო-მახლო ტელეფონი, საიდანაც შეიძლება დარეკვა.

- სად არის ტელეფონი სოხუმში წესიერად რომ მუშაობდეს, ხაზები სულ დაგლეჯილია, ჩავსხდეთ აგერ მანქანაში და ორიოდვე წუთში მის სამსახურთან მივალთ.

- ვაჭრობის მთავარი სამმართველოს კარი ღია იყო, ვიღაცეები ხან შედიოდნენ, ხან გამოდიოდნენ. მესამე სართულზე ზღვის მხარეს იყო ზეოს ფართო კაბინეტი, შესასვლელ ოთახს

გარედან აბრა ეკრა: I .....???? მისალებში და ნათელ კაბინეტში არავინ არ იყო. მალე ახალგაზრდა მდივანი გოგო შემობაკუნდა და კითხვაზე განაცხადა: ზებედ მაისევიჩი სტავროპოლის მხარეშია წასული მივლინებით, კერძოდ კისლოვოდსკში, ზეგ დილით ჩამოვა. გიგამ მდივანს ბარათი დაუტოვა ზეოსთვის გადასაცემად.

- სამი საათი სრულდებოდა ქუჩაში რომ გამოვიდნენ, საბედისწერო დუმილს მოეცვა წლის ნებისმიერ დროს ხმაურიანი მიდამო, ჟინჟვლაც დაიწყო, ზღვიდან ცივმა ქარმა წამოუბერა და მარილიანი სიცივე მოიტანა უძძიმესი ზამთრის დაწყების ნიშნად.

- გიგა, - მიმართა იულონმა, - უკვე სამი საათი სრულდება, ჟანის ბინა აქვე ახლოსაა, თბილისის გზატკეცილის დასაწყისთან, მაღალ ადგილას, მეუღლეს და დებს შენც კარგად იცნობ, მივიდეთ, მივუსამძიმროთ, გასვენება სამი დღის მერეა, კვირა დღეს, თუ მოახერხებ ჩამოსვლას, მართლა კარგა საქმეს გააკეთებ.

ფართო ეზო, ფოლადისფერ ზღვას რომ გადასცქეროდა, ხალხით იყო სავსე, როგორც იულონმა თქვა, ქართველებიც ბლომად იყვნენ და აფხაზებიც, აფხაზები უფრო შებოჭილად, დარცხვენილად გამოიყურებოდნენ, თითქოს გრძნობდნენ, რომ მკვლელობას უეჭველად მათი მოძმეები ჩაიდენდნენ.

ჟანის მეუღლემ და დებმა ცრემლებით შესტირეს მოულოდნელად გამოცხადებულ გიგას, ისეთი გულისმომკვლელი სიტყვებით ქვითინებდნენ,

გიგასაც ცრემლები წამოუვიდა, ცოტა ხანს იდგნენ თავდახრილები, მერე დახვავებული, სპეციალურად გამრავლებული ფოტოსურათებიდან ჟანის თითო სურათი აიღეს და ეზოში გამოვიდნენ.

ღუმილი ისევ იულონმა დაარღვია: - რა ვქნათ ახლა, ჯობია წავიდეთ და ჟანის შესანდობარი ავწიოთ, რასაც ის მთელი ცხოვრებითა და კაცობით იმსახურებდა.

- შესანდობარის თქმას მერეც მოვასწრებთ, ჩვენ კი ყოველ მიზეზგარეშე დაუყოვნებლივ უნდა წავიდეთ, უკვე ოთხის ნახევარია, ოჩამჩირე დღის სინათლეზე უნდა გავიაროთ, არც ზუგდილისკენ არის ნაკლებად საშიში, სანამ მაგრად დაღამდება ვივლით, მერე სენაკში ან ქუთაისში გავათენებთ და ადრე დილით წავალთ თბილისისკენ, ახლა გზებზე ძალიან ბევრი დათარეშობს აფხაზიც, სომეხიც, რუსიც და ქართველც, თან საშინელი სიბნელეა, ასფალტიც ისეა აყრღ-დაყრღილი სწრაფად ვერ ივლი, რომ განსაცდელს გაასწრო, ოჩამჩირესთან იმ საშინელი შემთხვევის მერე ყველაფრის მეშინია.

ამ დროს გიგას ზემოდან რაღაც წივილის თუ ძალზე ცივი ჭყიპინის ხმები მოესმა, ცისკენ აიხედა და გამეშა, ძერების ყვითელი ღრუბლისფერი გუნდი დაბლა მოფრინავდა, თითქოს სახურავზე დასხდომას აპირებდნენ. - ეს რა უბედურებაა, კიდევ ძერები, საიდან ამდენი ძერა, - თქვა გიგამ. ყველამ მაღლა აიხედა და ასე თავაწეულები დარჩნენ, რამდენიმე წუთში ძალიან ახლოს, მეზობელი სახლის ეზოდან თოფების

ბათქა-ბუთქი ატყდა. - ნეტავ რა მოხდა, რა მაგარი სროლაა, - იკითხა საშამ.

- ახლა იარაღი ყველას აქვს და ნებისმიერი შემთხვევის დროს ისვრიან, თითქოს დენტის კასრზე ვსხედვართ, ამდენი იარაღი დიდი უბედურების ნიშანია, ეს ყველაფერი იოლად არ დამთავრდება, - უპასუხა იულონმა, წამოდით, გავიგოთ რა მოხდა, გასაქცევად არ გვქონდეს საქმე.

ორ რვასართულიან კორპუსს გვერდი აუარეს და საკმაოდ ფართო ეზოში გავიდნენ, ხალხი შეკრებილიყო, ყველანაირი კილო ისმოდა ყაყანით ლაპარაკის დროს: ქართული, რუსული, აფხაზური, სომხური. შუა ეზოში ხუთი მოკლეული ძერა და ათამდის ქათამი ეგდო, თურმე მშვიდი ძერები უამრავი მეზობლის ზიარ ქათმების გუნდს დასხმოდნენ თავს, ხალხსაც სასწრაფოდ გადმოუღიათ თოფები და ძერები საკუთარი თუ სხვისი ქათმებიან-მამლებიანად დაუნოცავთ, გადარჩენილი ძერები კი გაფრენილიყვნენ.

- ლამის შეგვჭამონ ამ ძერებმა, რაღაც მეორედ მოსვლა ტრიალებს, წამოდით, მეტს ნულა გაგჩერდებით, თორემ შეიძლება ეს ნისკარტმოკაუჭებული მტაცებლები გზამიც დაგვესხან თავს, დღე და ღამე მაგათთვის სულერთია.

მაღე სოხუმი უკან დარჩა, ფოლადისფრად მღვრიე ზღვაც თვალს მიეფარა, ოჩამჩირის შესასვლელთან ზღვა კიდევ გამოჩნდა, მერე გაქრა, მძიმე ტყვიისფერი ბურუსით დაფარული სივრცეც უზარმაზარი კითხვის ნიშანივით გამოიყურებოდა.

## პოეტური „რჩეულის“ სინათლე

დრო იყო სათანადოდ აღინიშნებოდა ყველა ახალი წიგნის გამოსვლა, პირუთენელი შეფასება ეძლეოდა პოეტისა თუ პროზაიკოსის ნაფიქრალს, აღინიშნებოდა კარგი და ცუდიც, შეუფასებლად და შეუმჩნევლად არ რჩებოდა თითქმის არცერთი ცოტად და ბევრად მნიშვნელოვანი ნაწარმოები.

დღეს ქართული კრიტიკული აზრი ძირითადად დადუმებულია, იშვიათად იწერება წერილები პოეზიის, პროზის, დრამატული თუ ლიტერატურათმცოდნეობითი წიგნების განსახილველად. ამ ბოლო ხანებში ამგვარ აქტუალურ ცხოვრებისეულ საკითხებზე პოეზიის განხრით მგონი მხოლოდ ჟურნალისტი გელა ზედელაშვილი წერს. არადა ამ დიდი ეროვნული პრობლემისადმი საქმიანი მიდგომა თანამედროვე ქართული ლიტერატურის წინსვლისათვის სასიცოცხლოდ აუცილებელ მოთხოვნილებას წარმოადგენს.

ესეც ერთი მკვეთრი ნიშანია იმისა, რომ მეტისმეტად აირია სულიერი ღირებულებები და მწერლობის არანორმალური გადაფასებებიც მოხდა, პოლიტიკამ საკმაოდ შორს ჩააჩოჩა ლიტერატურა.

ამ აზრამდის მიგვიყვანა იმის ძიებადაც თუ რა დაიწერა ნუგზარ წერეთლის 2011 წელს გამოცემული „რჩეულის“ შესახებ, საერთო სათაურით „ნაოცნებარს და რეალურს შორის“. აღმოჩნდა, რომ ერთი პატარა საინფორმაციო წერილი დაიბეჭდა გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკა-

ში“, სარეკლამო მასალა სამეცნიერო-ლიტერატურულ ჟურნალში „სიტყვა“, „რჩეულიდან“ შერჩეული ლექსებით მთელი გვერდი მომზადდა ლიტერატურულ-პოლიტიკური გაზეთის „ქართული სიტყვის“ ფურცლებზე და ყველაფერი ამით ამოიწურა.

ეს რა თქმა უნდა, ძალიან ცოტაა, მაღალი რანგის პოეტისა და პროზაიკოსის, გნებავთ ნებისმიერ მწერლის შესახებ ბუნებრივია, მეტი და საფუძვლიანი მასალა უნდა იწერებოდეს, კვალიფიციური თვალთ უანგარო შეფასება უნდა ხდებოდეს. ჩვენ, რა თქმა უნდა, ლიტერატურულ სიცარიელეს ვერ შევავსებთ, მაგრამ სურვილი გვაქვს საგაზეთო წერილით მოკლედ მაინც მიმოვიხილოთ აღნიშნული ექვსასგვერდიანი პოეტური კრებული.

დღემდის გამოქვეყნებულ ორმოცდაათამდის ორიგინალური და თარგმნილი წიგნიდან „რჩეული“ ნუგზარ წერეთლის მეჩვიდმეტე პოეტური კრებულია, ამავე დროს ყოვლისმომცველი, რადგან აქ ნაყოფიერი პოეტური მოღვაწეობის სამოც წელიწადზე მეტი ხნის ნაფიქრი და ნააზრევია გადმოცემული.

რჩეული ჩვეულებისამებრ საინტერესო ქვეთავებად არის დაყოფილი. ზოგადი სურათის აღსადგენად შეიძლება ეს ცხრა ქვესათაურიც მოვიტანოთ: „სამშობლო უმთავრესია“, „ტიკვილიანი გახსენებები“, „ფიქრი პოეტებზე“, „მოგზაურობათა დღიურებიდან“, „ღირიკული რჩეულის ფურცლებიდან“,

„ყველაფერზე ფიქრებიდან“, „ორსტროფიანი ლექსების გამა“, „ხუთპეკარიანი ლექსების კრიალოსანი“, „პროზა ლექსებად“.

კიდევ ვიმეორებთ, „რჩეული“ სათანადო დონეზე ვერ იქნა შეფასებული, ამ დროს კი ამ მშვენიერმა კრებულმა ქართული მწერლობის ერთ-ერთი ისეთი საყვარელი ჯილდო დაიმსახურა, როგორცაა დიდი გალაკტიონ ტაბიძის პრემია. ეს ფაქტიც კი არსად არ აღნიშნულა, გამოდის რომ თუ არა ხარ რომელიმე დაჯგუფების წევრი და მხარს მარიფათიანი ბიჭები არ გიმშვენებენ, თუ ჩაწყობის მექანიზმი არ მოქმედებს, თუ წერ გასაგებად, ადამიანურად და არა ბუნდოვნად, გინდ დიდი მწერალი იყო, გინდ პატარა, გინდ ძალიან საინტერესო, გინდ უინტერესო, გინდ უნიჭიერესი, გინდ უნიჭო, არავინ არ შეეცდება შენზე თბილი, მეგობრული სიტყვა თქვას, ან მეგობრულად გაგაკრიტიკოს მაინც, თავის შეწუხება და ლიტერატურული პროცესისათვის ხელის შეწყობა არავის აღარ იზიდავს. როგორც ჩანს, ამ საკითხში დამინტერესებელმა საავტორო ჰონორარის გაქრობამაც დიდი როლი ითამაშა, არავითარი სტიმული აღარ არსებობს.

რთული გამოდგა დემოკრატიისაკენ მიმავალი პროცესი თანამედროვე ქართული მწერლობისათვის, მრჩეველი და პატრონი აღარ არსებობს, ყველაფერი თვითღიწობაში მიშვებული, მაგნე გავლენებმა ისე გადაუარა მწერლობას, როგორც მიტოვებულ ყანას გადაუვლის სარეველა ბალახი, მუშაკაცი აღარსად ჩანს.

ჩვენი დღევანდელი სინამდვილე წაილეკა უნიჭო ლექსებით, ბევრი ცდილობს ლანძღვა-გინებითა და უწმაწური სკაბრეზული გამონათქვამებით გაჭედილი ლექსები თუ მოთხრობები ცალკე წიგნებად გამოსცეს, ხალხის, განსაკუთრებით ახალგაზრდობის გემოვნება წარყვნას. ამით ამერიკას და ევროპას სურთ მიბადონ. რა თქმა უნდა, იქ უხვად არსებობს ე.წ. ყვითელი ლიტერატურა, თუმცა მას იშვიათად ვინმე თუ კითხულობს, ძალით გარყვნილ-გაბუნდოვნებული წიგნების ავტორებს კი მწერლად და შემოქმედად არავინ მოიხსენიებს.

მადლობა ღმერთს, რომ დღეს ცოცხალი, ჯანმრთელი და აქტიურად მოქმედი პოეტები, პროზაიკოსები საკუთარი შემოქმედებითი ცხოვრებით აცოცხლებენ ლიტერატურულ პროცესს, თვალისჩინივით უფრო ხილდებიან კლასიკურ მემკვიდრეობას, დაბლა არ სწევენ დიდი გალაკტიონ ტაბიძის გადმოცემულ ალამს, ცდილობენ ძალიან ბევრის გაკეთებას, შექმნას, ლიტერატურული პროცესის სწორი გზით წარმართვას, უკეთურების არდანებებას, პირიქით, ახალგაზრდობისათვის მაგალითის მიცემასა და სწორ გზაზე დაყენებას. ასე იღწვიან და დაულალავად შრომობენ დღეს თამაზ ჭილაძე, ჯანსუღ ჩარკვიანი, ვახტანგ ჯავახაძე, ტარიელ ჭანტურია, ანზორ აბულაშვილი და სხვები. მათ რიგებში კაცურად მიაბიჯებს ნუგზარ წერეთელი, ვინც მიმდინარე 21-ე საუკუნეში მრავალი საინტერესო წიგნი გამოსცა და ჯერ კიდევ შემორჩენილ მკითხველ საზოგად-

დობას მაღალი დონის „რჩეულიც“ უძღვნა.

ნუგზარ წერეთელი ღრმად ჩაფიქრებული პოეტია. ის არ არის მოჩვენებითა და სიყალბით ცნობილი ხელოვანი, კარგად გრძნობს შექმნილ რთულ ვითარებას, განიცდის საუკუნეობით ნაოცნებარის მიუღწევლობას, დარდობს შვილების, მომავალი თაობის ბედზე და შემოფოთებულად შთამაგონებელი ინტონაციით წერს ლექსში „ვედრება“.

„ვერ მოვუარეთ სამშობლოს, სიძულვილით და მტრობით,

უფაღმა შვილებს აშოროს განცდა ამგვარი გრძნობის“.

ვრცელ, ლაღად გაშლილ თუ მომცრო ფორმის ლექსებში ავტორი დიდ პასუხისმგებლობას ამჟღავნებს, მამულის სიყვარულს სულს უბერავს, ელოლიავენა, უფრთხილდება, განვილი თუ დღევანდელ ტკივილებს შინაგანად გრძნობს, მხატვრულად გამოხატავს იმ მთავარი მიზნით, რომ ყველას გულამდე მიიტანოს შექმნილი ვითარება, სულიერი ბზარები არ გაიზარდოს, განსაცდელი არ დაემუქროს მრავალჭირგადანახად საქართველოს. ამ მხრივ ნიშანდობლივია ქრესტომათიული დონის ცნობილი ორსტროფიანი ლექსი „წიწამურთან“, რომელიც წინა კრებულებშიც შევიდა, ენციკლოპედიამიც და სულ ახალ „რჩეულშიც“:

„წიწამურზე ქარი ქროდა, ვით მწუხარე სუნთქვა ერის

და ღრუბლები თან მიჰქონდა სულ ილიას სისხლისფერის.

მზე ჩაფლული სადღაც ბინდში წითელ ნალველს ფენდა არეს,

მე კი ვეღარ ვთვლიდი შიშით საქართველოს სულის ბზარებს.

საქართველოს წარსული და დღევანდელი პოეტს მთელი სიგრძესიგანით აქვს განთავისებული, იგი იმედიანი თვალთ ხედავს, რომ „... გაუტეხელი ხალხი ქართველი ისევ იმედით ცხოვრობს გაისის“, არასდროს კარგავს ბოროტზე კეთილის გამარჯვების იმედს, სჯერა, რომ ახალი თაობები მეტის გაკეთებას შესძლებენ. ქართველი ხალხის უტეხი სული და ნებისყოფა მათ ძარღვებში თქრილით გადადის და უარყოფითი, დამორგუნველი ზემოქმედებების მიუხედავად ქართული სული ცდილობს განმტკიცებას, სიმაღლეთა შენარჩუნებას, გაძლიერება – განახლებას.

„თითქოს ბრძოლებში სისხლით დათხვრილი მზე მეწამული მძიმედ ეშვება,

მაგრამ დგებიან ალგეთს ლეკვები და შევარდენიც კვლავ იგეშება“.

პოეტს სჯერა ქართული გენის, ქართულის სისხლისა და შემართების უკვდავება, ბევრ შემთხვევაში სისხლი ძალასა და კაცურ-მონღოლმეხასთან აქვს გაიგივებული, ამ სასიცოცხლო მიმართულებებს შორის ერთგვარ პოეტურ თანაფარდობასაც ამყარებს, იმედი აქვს, რომ ქართული სისხლი ყველა კატაკლიზმებს გაუძლებს, კვლავაც იფეთქებს და დასახულ მიზანს მიაღწევს:

„ამ სისხლმა ბევრი მტერი ალაგმა, რომ დამჩნევია წითლად აყალოს,

ღმერთმა არა ქნას, ღმერთმა არა ქნას, ის სისხლი რამემ გადაავაროს“.

ქართული სისხლი, როგორც ქართული გენის საუკუნეობრივი სიძლიერის ტრადიციული გამოსახულება, როგორც უძველესი ერის სიმტკიცისა და ვაჟკაცური გაძლების სიმბოლო, ნუგზარ წერეთელს სხვა ლექსებშიც სრულიად ბუნებრივად აქვს გამოყენებული, რითიც იგი თითქოს ქვეშეცნულად ეხმაურება დიდი ქართველი პოეტის მუხრან მაჭავარიანის ცნობილ პწკარებს „შენ სისხლო ჩემო, სად არ დაღვრილო“...

ამის დამადასტურებლად ჩვენ მიგვაჩნია ორსტროფიანი ლექსების ციკლში შესული ოპტიმისტური ჟღერადობის ლექსი ზუსტად მიმანიშნებელი კონკრეტული სათაურით „სისხლი“. უკეთესი ილუსტრირების მიზნით ეს პატარა ლექსიც მთლიანად მოგვაქვს:

„დაჭრილს იმედი ვით აქვს მათარის, იმედი გვაქვს და ისევ ის გვიხსნის,

საუკუნეებგამონატარი უძლიერესი ქართული სისხლი.

ისევ ის გვიხსნის, ისევ გვიშლის, არ ჩანაცრდება კერაც, ბუნხარიც,

მზეა თუ ფერი მეფობს გიშერის, იმედით გვავსებს სისხლი მღუღარი“.

გადარჩენის ეს იმედიანი განწყობილება ნუგზარ წერეთელს არაერთი ლექსისთვისაა დამახასიათებელი.

ამით პოეტი ცდილობს დიდი შეჭირვების ჟამსაც კი ხელი არ შეუწყოს სკეფსისისა და ნიჰილიზმის დანერგვას, პირიქით, დიდი წინაპრების მსგავსად შეეცადოს გააღვივოს ეროვნული მუხტი, რაც აუცილებელია უზარმაზარ გაჭირვებათა ლაბირინთის გამოძლეული ქართველი ხალხისათვის, ვისაც არასოდეს დაუჩოქია, ქედი არ მოუხრია, ნაცრადქცეული კი მრავალჯერ ფენიქსისებრ მკვდრეთით აღმდგარა. ამიტომაც აქვს პოეტს მომავლის დიდი იმედი, კვლავაც აღზევების იმედი. თუკი იგი აწმყოს საკმაოდ კრიტიკული თვალთ უცქერის, აუცილებელი წარმატებებისა მაინც სჯერა, სჯერა, რომ ხალხის სულიერი სიმტკიცე, ძალა და მობილიზების უნარი მაინც მიაღწევს საწადელს, რაშიც წარსულის ვებერთელა გამოცდილება ძალიან დიდი როლის შესრულებას შეძლებს. სწორედ ამ სასიცოცხლო ფიქრებით ავსილი წერს ლექსში „მანგლისის გორაზე ნაოცნებარი“:

„ახლა წართმეულს ძალით უხეშით, ასწლობით ძირძველს არავინ დაგვითმობს,

არწივი უნდა ვზარდოთ უბეში, რომ ვივახტანგოთ და ვიდავითოთ.

რომ აღვაზევოთ სული ცოტნესი, ბაგრატიონთა, სააკაძეთა,

ჯერ კი ჩამხვრჩვალნი ვრჩებით ცოდვებში, ვერ გვშველის ადრე რაც გვაკაჟებდა“.

ძალიან ძნელია ერთ პატარა საგაზეთო წერილში მიმომხილველმა ჩაატის მთელი ის მრვალფეროვნება, რაც ნუგზარ წერეთლის პატრიოტ-



ულ-მოქალაქეობრივ ლირიკას ახასიათებს. ამ ლექსებს თავად მკითხველი უნდა გაეცნოს, დიდი ყურადღებით, დაკვირვებით წაიკითხოს, ღრმად შეიგრძნოს პოეტის სულიერი ძალა და მისწრაფება, თუმცა ასეთი მიდგომა დღეისათვის უფრო ოცნების ან სურვილის სფეროს განეკუთვნება, ახლა წიგნის კითხვას კომპიუტერზე თამაშში ურჩევნიათ, ხოლო კლასიკური მწერლობის სუნთქვით გამთბარ ნაწარმოებებს, სექსუალურ-მანიაკალური შლამით სავსე ვითომ ახლებური ნაწარმოებები.

მართლა შეუძლებლად მიგვაჩნია ერთ წერილში „რჩეულის“ ყველა ღირსებისა თუ ხარვეზის გამოძეურება, ეს ალბათ, მომავლის საქმეა, როცა ლიტერატურა ბოლოსდაბოლოს თავს დააღწევს თანამედროვეობის შეშოკებულ არტახებს, საზღვარგარეთის ზოგიერთი განვითარებული ქვეყნის ბალასტივით შემორჩენილი მავნე ღირებულებების გავლენას და პირვანდელი ბრწყინვალეობით წარსდგება გემოვნებით გამორჩეული ქართველი მკითხველის წინაშე. უნდა აღინიშნოს, რომ ძალზე ამაღელვებელ შთაბეჭდილებას ტოვებს ლექსების ციკლი „ტკივილიანი გახსენებები“ და სიყრმის უახლოესი მეგობრის, ქართული ლიტერატურის კლასიკოსის, გნებავთ დღევანდელი გაგებით მეგავარსკვლავის გურამ რჩეულიშვილის ხანმოკლე და სასწაულად მჩქეფარე ცხოვრებისადმი მიძღვნილი ლექსები. აქ პოეტი კიდევ და კიდევ გვიდასტურებს მეგობრობისა და ერთგულების ყოვლისშემძლე

გრძნობას, რაც ჯერ კიდევ ათეულობით წლის წინ ცხადად გამოჩნდა ახალგაზრდა თაობისა თუ ნებისმიერი თაობის ისეთ საყვარელ, სამაგიდო წიგნებად ქცეულ გამოცემებში, როგორცაა უახლოესი მეგობრისადმი მიძღვნილი ფართოდ განმარტებული ნაწარმოებები: „მე ახლაც 26 წლისა ვარ“ და „აი, მე, გურამი ვდგავარ თქვენს წინ“.

ასევე შთაბეჭდავ ზემოქმედებას ახდენს „რჩეულში“ შესული ლექსების ყველა რკალი, განსაკუთრებით ორსტროფიანი, ხუთპედარიანი ლექსების საინტერესო ნაკრებები თუ ძალზე საყრადღებო „პროზა ლექსებად“, რითაც პოეტმა ყველას აჩვენა სიანხლებისადმი განუწყვეტელი სწრაფვა და სიმაღლეთა დაპყრობის უნარი.

ერთ-ერთი გამორჩეული ქვეთავია საერთო სათაურის ქვეშ მოქცეული „ფიქრი პოეტებზე“. აქ წარმოდგენილი ყველა ლექსი წინაპრებისა თუ თანამედროვეებისადმი დიდი პატივისცემით არის გამსჭვალული. ნუგზარ წერეთლის თბილი, შთამაგონებელი ნაწარმოებების უშუალო ადრესატები არიან: დიდი ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ვაჟა-ფშაველა, გალაკტიონ ტაბიძე, ტიცვიან ტაბიძე, პაოლო იაშვილი და სხვები. ამით ავტორი ნათლად გვიჩვენებს დიდ წინაპრებთან, ამ შემთხვევაში დიდ პოეტებთან სულთა თანაზიარობისა და უღრმესი პატივისცემის მაგალითს, რითიც ცხოვრებაში ერთგვარად ანხორციელებს უდიდესი ქართველი მოაზროვნის შეგონებას –

„არდავიწყება მოყვრისა აროდეს გვიზამს ზიანსა“.

სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულით შთაგონებული ლექსების გვერდით მეტისმეტად მომხიბვლელად გამოიყურება სატრფიალო ლირიკა. ამ ციკლის ყველა ლექსი ჭეშმარიტად მაღალ სულიერ განწყობილებას გამოხატავს, პოეზიის ყველა მოყვარულს სიცხე-პაპანაქებაში გრილი ზღვაურივით რომ ელამუნება და სასიამოვნოდ თბილ გრძნობას უღვიძებს, მის ამაღლება-განფაქიზებას ემსახურება. პოეტი გოგონას, რომელიც ძალიან უყვარდა და მერე მიზეზთა გამო დასცილდა, იხსენებს და თბილად მიმართავს:

„არ დავიჯერებ არ მიგონებდე ან მწუხარებით ან სინანულით,

ისე დაგორავს მთვარე გორებზე, ზაფხულს ყვითელი ასდის აღმური“.

სიყვარულის ეს მძაფრი, გაუნელებელი გრძნობა პოეტს ყოველთვის სინათლესავით თან დასდევს, ალერსიანი სითბოთი ავსებს, ცხოვრების გზებზე განუყრელად მიჰყვება, სულიერ მრავალფეროვნებასაც მოზაიკური სილამაზით წარმოაჩენს, ჭეშმარიტი განცდების ულამაზეს ხილულ გამოვლინებად რჩება. ამიტომაც მიმართავს ძვირფას ადამიანს მშვენიერ ლექსში „ვერ დავივიწყე“:

„ვერ დავივიწყე დღემდე ვერაფრით შენი ლამაზი თვალების ჭრილი,

განათებული თეთრი კელაპტრით და ჩუმი სევდის ირიბი ჩრდილით“. ლექსი მთავრდება საყვარელი არსებისადმი უფაქიზესი მიმართვით,

კაცური აღსარებითა და საყვარელი გოგონასადმი პატივისცემის გამოხატველი ასეთივე დამოკიდებულებით:

„... ვიცი ბოლომდე ვერვის შეგადრი

და რჩები ასე შეუდარები“.

საყვარელი არსებისადმი პატივისცემა პოეტის ყველა ლექსს წითელი ხაზით გასდევს, რითიც იგი ქართული კლასიკური პოეზიის ღრმა სულისკვეთებას ავლენს და მკვეთრად ემიჯნება თანამედროვე სექსუალურ-მანიაკალური თუ სამარცხვინო სკაბრეზული პოეზიის, ღვთის მადლით, დროებით მღვრიე ნიაღვარს. მისთვის სიყვარული, თუნდაც განცდილი და გარდაქრალი, ის ხელშეუხებლად ამაღლებული სამყაროა, რაც მთელი ცხოვრების მანძილზე სულიერ საზრდოს მაცოცხლებელი შარბათივით უზოგავს.

აქ შეიძლება მოვიტანოთ დიდი პატივისცემითა და სულიერი განფაქიზებით შექმნილი პატარა, ორსტროფიანი ლექსი „მიყვარდით“.

„წყვილადში ჩარჩა ხალისის წლები, შემორჩენილი მხოლოდღა ხსოვნას,

ვერავითარი ძებნით და ცდებით ველარ ვახერხებ წარსულის პოვნას.

მოგონებათა ზოდებს ბზარიანს ვეძებ მიმქროლავ დროის სიხარბით,

თან მსიამოვნებს, თან მიხარია, თან ვერ ვიჯერებ როგორ მიყვარდით“.

საყვარელი არსებისადმი ეს შინაგანი, რაინდული დამოკიდებულება, როგორც ვთქვით, ყველა ლექსში იგ-

რძნობა, რაც სათქმელს უფრო რაფინირებული სახით წარმოგვიჩენს და თითქოს ახალგაზრდა თაობის ბევრ წარმომადგენელს პოეტურ მასტერკლასს უტარებს როგორი სულიერი სიფრთხილით უნდა წერონ სიყვარულზე და საერთოდ როგორ უნდა წერონ. აქ გვინდა ერთი პატარა ორსტროფიანი ლექსიც მოვიტანოთ, მშვენიერი, ფერადოვანი ხატოვანებით და თითქოს ფერწერული სტილით შექმნილი ლექსი, რაც „გზებზე დაწერილი სტრიქონებიდან“ არის წარმოდგენილი. ლექსს ასეთი სათაურიც აქვს – „მგზავრობა“:

„გარეთ ჩრდილები მოგვდევდნენ ღამის, ცა ტყვიისფერი მოჩანდა მაღლით,

ჩემს მხარზე გელო ღამაში თავი და შენ გეძინა მგზავრობით დაღლილს.

ჰგავდა მგზავრობა შორი და ძნელი არსებას ჩემსას – მარადის მძებნელს,

და შენი თეთრი სათუთი ხელი მტრედით მელო ცოდვიან მხრებზე“.

კიდევ ვიმეორებთ, საგაზეთო წერილში ძალიან ძნელია ექვსსაგვერდიანი „რჩეულის“ საფუძვლიანი მიმოხილვა, თუმცა ვფიქრობთ, ნუგზარ წერეთლის მაღალი რანგის პოეზიის შთამბეჭდავი სულისკვეთების თუნდაც

ნაწილობრივი გადმოცემა მაინც შევძელით. დღევანდელ ურთულეს ვითარებაში ჩვენი მიზანი, რომ ფართო მკითხველ საზოგადოებაში ერთ-ერთი გამორჩეული პოეტური ხმის მიტანა შევძლოთ და მერე დაინტერესებულ მკითხველს კრებულის წაკითხვისაკენ ვუბიძგოთ, ვფიქრობთ კარგია და მისასალმებელი.

ნუგზარ წერეთლის „რჩეული“ გამოქვეყნებულ ასობით ლექსს დაწერის თარიღი არ აქვს მიწერილი, ის თითქოს ერთი მძლავრი პოეტური სუნთქვითაა გაერთიანებული, თუმცა წინასიტყვაობაში ავტორი მიგვანიშნებს, რომ კრებული სამოცი თუ მეტი წლის მანძილზე დაწერილი ლექსებითაა შეკრული, თანაც შეკრული ძალიან მტკიცედ, ალბათ თარიღებიც იმ მიზნით არ აქვს მიწერილი, რომ რაიმე შეღავათებსა და მინიშნებებს არ საჭიროებს.

ნუგზარ წერეთლის „რჩეული“ ცხადად გვიჩვენებს, რომ პოეტი კვლავაც შემოქმედებითი ძალებით არის სავსე, შესანიშნავად ახამებს ძველს ახალთან, არც ნოვატორობისაკენ სწრაფვას იკლებს, თამამად მიაბიჯებს თანამედროვე საქართველოს გამოჩენილი პოეტების რიგში და კვლავაც მზად არის საყვარელ მამულს „... ეცმოს, ეძინოს და ემსახუროს“.

**ლია ხმალაძე**

თბილისის დამოუკიდებელი უნივერსიტეტის პროფესორი

გვანცა ჩიქობავა საქართველოს საერთაშორისო „საზოგადოება ცოდნის“ უმაღლესი სასწავლებლის მე-4 კურსის წარჩინებული სტუდენტია, ფარმაციის მეცნიერებასთან ერთად იგი პოეზიითაც არის გატაცებული, მიმდინარე წელს „ცოდნის“ ორგანო ჟურნალ „სიტყვის“ მე-16 – მე-17 ნომერში გვანცას ლექსების მოზრდილი ციკლი გამოვაქვეყნეთ, რადგან ლექსებში უდავო ნიჭიერება და მისწრაფება დავინახეთ.

როგორც კულტურულ და კარგ ოჯახში აღზრდილ გოგონას შეეფერება, მან გულწრფელი მადლობა ლექსად მოგვიძღვნა. სამადლობელი ლექსი თავისთავად საინტერესოა, ამიტომაც უცვლელად ვაქვეყნებთ ჟურნალ „სიტყვის“ მე-18 ნომრის ფურცლებზე.



\* \* \*

ბატონო ნუგზარ  
კრძალვით და რიდით,  
მინდა, რომ გითხრათ  
მადლობა დიდი.

თუ მე ლექსს  
რითმის კალოზე ვმკიდი,  
და ხელისგულზე  
ბარტყივით ვზრდიდი;

თქვენ მას შეასხით  
საფრენი ფრთები,  
და ახლა მზესთან  
მეც მისებრ ვთბები.

შემეკრა სუნთქვა,  
ავზიდე მხრები,  
და ვარსკვლავების  
ვისმინე ხმები.

ამისათვის კი  
მადლობას გწირავთ  
და თუ გეჩვენოთ  
ეს ლექსი მწირად;

გთხოვთ მაპატიოთ,  
ძალიან ვლელავ,  
გესათუთებათ  
ბწკარები ყველა

*გვანცა ჩიქობავა*

## აშინ!

აწამეს და ჯვარზე აცვეს, ჩვენი ღმერთი მამა ხალხის,  
დედამიწას ამთლიანებს, ყველა უსმენს უფლის ძახილს,  
ჩვენი რწმენა არის მტკიცე, ჩვენ დღეს გვმართებს

დიდი ვალი.

რომ ურწმუნო დავამარცხოთ განგების და უფლის

ძალით.

ეს ვალია სიყვარული, არა მარტო ერთუროთისა,  
რადგან ღმერთი გარდა ჩვენი შემქმნელია ცისა, ზღვისა,  
მსოფლიოს და დედამიწის არა ერთი არსებისა.

გარდვისახოთ ხალხნო ჯვარი, კაცნო, ქალნო, შვილნო ღვთისა,  
ქვეყნად ცუდის გამკეთებელს არასოდეს არა სძინავს  
და ნუ მივცემთ უღირსს ნებას შეგვაცდინოს ღვთისა წინა.

შეგვაცდინოს და ეცადოს ხალხის მისკენ გადარეკას,  
ამის მსურველს ყოვლის შემძლე მგლის ჯოგივით გადარეკავს.

დაგვიფაროს ყველა, ღმერთმა, ასაკისა განურჩევლად,  
ვინაც ფიქრობს უკეთურზე რისხვას ველარ გადურჩებით.

დაიფაროს საქართველო, მარიამის წილხვედრია,  
რა ხანია ამ სიკეთის მაღლს უდიდესს მიგვახვედრა,

ვილოცოთ და შევასრულოთ უფლისათვის მცნება ათი,  
ვის მივუძღვნათ ჩვენი ყოფის და სიცოცხლის ყველა წამი,  
ქართველებო, ჩვენ ერთად ვართ, დაგვიფაროს

ღმერთმა ამინ!



\* \* \*

დრო ყველაფრის მკურნალია, ჩვენც გვასწავლის ვაჟა ფშავის,  
 მაგრამ სინდისს რაღა ვუყო, ხომ მომეჭრა ხალხში თავი.  
 ქალისა და ვაჟის ფიცი ოქროსია, როგორც გული,  
 ამას გვეთხრობს სოლომონი, ხალხისაგან ბრძენად თქმული.  
 ქალისა და ვაჟის გრძნობა არის მტკიცე ვითა კლდენი.  
 ცალ-ცალკე კი დადნებიან, ვით ფანტელნი მარტში ფენით.  
 ქალი სატრფოს დააფასებს თუ კი ვაჟაკაცს შეენის მკლავი.  
 თუ არა და მიუგებენ ვერ გახდები ასე კაცი,  
 წადი, მიდი, გაიარე, მოგიჭრია ხალხში თავი,  
 უნდა გახდე ამის ღირსი თუ უფალი კიდევ გაცდის.  
 წადი, ნახე, შეიგრძენი და იცხოვრე უფლის კრძალვით,  
 რათა ქვეყნად თუნდაც მცირე შენც დატოვო შენი კვალი.

### უპვირფასეს დედას

შენ ხარ დედიკო ჩემთვის ძვირფასი,  
 შენ ხარ სპეტაკი უტკბესი დედა.  
 შენ ხარ ღიადი და საოცარი, ამ საოცრებას მე ნათლად ვხედავ.  
 გრძნობა ბევრია ამ ქვეყანაზე, მაგრამ ერთია დედა-შვილობა.  
 დედა-შვილობა, რასაც არ უნდა, არც დათმობა და აღარც ცილობა.  
 მე ღმერთმა მომცა იმის უნარი, რომ უწმინდესად მიმაჩნდეს დედა.  
 დედაზე ტკბილი ნეტავ რა არის? დედაზე თბილი ნეტავ რა არის?  
 დედაზე ნაზი ნეტავ რა არის? ის სათავეა ზეცის კამარის.  
 ღმერთმა შენ მოგცა გრძნობა უთმობი,  
 გრძნობა უქრობი, გრძნობა უკრთობი.  
 შენ მოგცა ნიჭი და სიყვარული, რომელიც არსად არვის უთმობდი.  
 ამ განშორების შემდეგ მე მივხვდი, რომ გრძნობა ჩემი კვლავაც გაღვივდა.

---

---

### მუღამ იქნებო

შენზე ფიქრებში მათოვს და მაწვიმს,  
კნღები და ვქრები.  
მაგ სიყვარულით ძალზე ბევრჯერ შემსხმია ფრთები,  
მინდა შემეხო, მაკოცო, გამათბო,  
ფიქრებიც გამანლო,  
შენ კი სღუმხარ და არაფერს ამბობ.  
მე შენით ვსუნთქავ, ვარსებობ, მაგრამ შენ შორს ხარ  
ბედნიერების ღლე როღის მოვა,  
როღისღა მოხვალ.  
მინღა შეგეხო კოცნით დამატკობ,  
თუმცა ჯერ ისევ ზეცაში დაფრინავ.  
მე კვლავ შენზე ვფიქრობ,  
წვიმამაც მინღვრებში ნისღები გაფანტა.  
ღაგეღებ ოცნებით, ღაგეღებ ფიქრებით,  
შენ ჩემში არსებობ და მუღამ იქნები.

*თამარ პეპანაშვილი*



**Ps.aeruginosa-ს შაბლონობის ანტიბლასტომური ეფექტის შესწავლა**

**ერლიხის კარცინომიან C57BL/6J თაბვებში.**

**ქ. ღამბაშიძე, ნ. შხალაძე, პ. ხორავა.**

**თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი**

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით ავთვისებიანი სიმსივნეებით განპირობებული ავადობისა და მისგან გამოწვეული სიკვდილიანობის მაჩვენებელი გამუდმებით იზრდება მთელ მსოფლიოში. ონკოლოგიურ ავადმყოფობათა ადრეული დიაგნოსტიკა და ეფექტური მკურნალობა ჯერ კიდევ გადაუჭრელ პრობლემად რჩება. ონკოლოგიაში მომუშავე მეცნიერთა მიერ ჩატარებული მრავალრიცხოვანი სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების საფუძველზე შემუშავებულია ავადმყოფთა ეფექტური მკურნალობის ახალი მეთოდები და ტექნოლოგიები. მათი კლინიკურ ონკოლოგიაში დანერგვით, ცალკეული ორგანოების ავთვისებიანი სიმსივნეების წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში მრავალი წარმატებაა მიღწეული, თუმცა ამ მიმართებით ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი.

ბოლო წლებში, სიმსივნეან პაციენტთა სამკურნალოდ, ქირურგიულ და ქიმიო-/რადიოთერაპიის პარალელურად, აქტიურად იყენებენ მკურნალობის იმუ-

ნოლოგიურ მეთოდებს. ავთვისებიან სიმსივნეთა მკურნალობის ახალი მეთოდების შემუშავება, რომელიც მიმართული იქნება უშუალოდ სიმსივნის საწინააღმდეგოდ, იმუნური სტატუსის აღსადგენად და შესაბამისად ორგანიზმის ბუნებრივი დაცვის რესურსების გასაძლიერებლად, უდაოდ პერსპექტიულია.

ცნობილია, რომ მიკრობთა ცალკეული მოლეკულური სტრუქტურების (მაგ. მიკრობული რნმ; ლიპოპოლისაქარიდები - LPS) ზემოქმედებით მცირდება იმუნოსუპრესორული ციტოკინების გამოყოფა, ხდება IL-1, TNF- $\alpha$ ,  $\alpha$ -და - IFN-ების სეკრეცია, რაც აძლიერებს ტუმორიციდულ იმუნურ მექანიზმებს [6,8]. სიმსივნის მანეკროზებელი ფაქტორი (TNF), რომელიც სიმსივნეანი ავადმყოფის ორგანიზმში თანმხლები ანთებითი პროცესის დროს გამომუშავდება, გრამუარყოფითი მიკრობების ენდოტოქსინების მიმართ იმუნოკომპეტენტურ უჯრედთა მიერ გამო-მუშავებულ ნივთიერებათა იდენტიფიცირება.

დღეისათვის გამოვლენილია ბაქტერიული ენდოტოქსინების ორგანიზმზე ზემოქმედების მრავალი მექანიზმი კერძოდ, სიმსივნურ უჯრედზე პირდაპირი ზემოქმედება, სწრაფად მზარდი სიმსივნეების სისხლძარღვების ნეკროზი, ინტერფერონოგენული ეფექტი, უჯრედული და ჰუმორული არასპეციფიკური იმუნური პასუხის გააქტიურება და სიმსივნის საწინააღმდეგო ჰუმორული ფაქტორების სინთეზი, რის გამოც ბაქტერიული ენდოტოქსინები მძლავრ იმუნოსტიმულატორად უნდა ჩაითვალოს.

ლიტერატურაში არსებობს მონაცემები, როდესაც მკვლევარებმა ორგანიზმის არასპეციფიკური რეზისტენტობის გაძლიერების მიზნით გამოიყენეს BCG და *Corinebacterium parvum* ვაქცინები, პიროგენალი, პროდიგიოზანი, ზიმოზანი. ექსპერიმენტების შედეგად გამოვლინდა, რომ BCG და *Corinebacterium parvum* ვაქცინები, რომლებიც ცოცხალი მიკრობული პრეპარატებია, იძლევიან T-უჯრედოვანი იმუნიტეტის სტიმულაციას და მათი ორგანიზმში შეყვანა ხშირად უმართავ პროცესებს იწვევს - ზოგჯერ სიმსივნის საწინააღმდეგო იმუნიტეტის ფაქტორები გამოიშვავდება, ზოგჯერ კი სიმსივნური ზრდის პროცესის პროგრესირებას აქვს ადგილი. რაც შეეხება პიროგენალს, პროდიგიო-

ზანსა და ზიმოზანს, მართალია ისინი T-დამოუკიდებელი ანტიგენებია, მაგრამ მაღალი ტოქსიკურობის გამო (ტკივილი, ინფილტრატი ინექციის საპროექციო არეში, ტემპერატურის მომატება, დოზის გადამეტების შემთხვევაში კი ენდოტოქსიკური შოკი) აღნიშნული პრეპარატები ნაკლებად პოპულარულია და მათი კლინიკაში გამოყენების არეალიც შეზღუდულია.

ჩვენს მიერ ადრე ჩატარებული გამოკვლევებით დადგენილია, რომ ბაქტერიული ფაგოლიზატები გამოირჩევიან მაღალი იმუნოგენურობით და მინიმალური ტოქსიკურ-პიროგენული ეფექტით სხვა მეთოდებით მიღებული ბაქტერიულ ლიზატებთან შედარებით [4]. სავარაუდოდ, ფაგების მიერ ბაქტერიული უჯრედის კედლის ლიზირება/დაშლა ხდება იმ სახით, რომ გამოთავისუფლებული პატერნების შემცველი კონგლომერატები არ ახდენენ იმუნურ უჯრედებზე გადაჭარბებულ მასტიმულირებელ გავლენას, რითიც შეიძლება აიხსნას ფაგოლიზატების მინიმალური რეაქტოგენური გვერდითი ეფექტები.

ამგვარად, ფაგოლიზატებს და მათ ცალკეულ ფრაქციებს შესაძლოა გააჩნდეთ კარგად გამოხატული და ეფექტური სიმსივნის საწინააღმდეგო იმუნომაკორეგირებელი მოქმედება, რის

გამოც ამ საკითხის შესწავლა სამეცნიერო და პრაქტიკული თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანი იქნება.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ჩვენი კვლევის მიზანი იყო შეგვესწავლა გრამ-უარყოფითი, პირობით-პათოგენური ბაქტერიის *Ps.aeruginosa*-ს ფაგოლიზატის სიმსივნის საწინააღმდეგო აქტივობა ექსპერიმენტში.

#### მასალა დამეთოდები.

გამოკვლევები ჩატარდა 3-3,5 თვის 18-20 გ მასის C57BL/6J სუფთა ხაზის 40 თავგზე. სიმსივნური მოდელის შესაქმნელად გამოვიყენეთ ერლიხის ადენოცარცინომა (ეაკ).

საკვლევი ცხოველები განვათავსეთ 4 ჯგუფში, თითოში 10 თავი. I და II ჯგუფი (10 მდედრი და 10 მამრი) იყო საკონტროლო (სიმსივნის, არანამკურნალები თავგები), ხოლო III და IV ჯგუფები (10 მდედრი და 10 მამრი) – საკვლევი (სიმსივნის თავგები, რომელთაც ჩაუტარდათ მკურნალობა).

ყველა ცხოველს კანქვეშ, ბეჭქვეშა მიდამოში, გადაენერგათ ერლიხის ადენოცარცინომის  $1 \times 10^6$  სიმსივნური უჯრედი. საკონტროლო ჯგუფის (I) ცხოველებისგან განსხვავებით, საკვლევი ჯგუფებში (II) განვთავსებულ თავგებს მკურნალობა დაეწყოთ ბაქტერიული


ფაგოლიზატებით სიმსივნის გადანერგვიდან მე-10 დღეს (*Ps.aeruginosa*-ს ფაგოლიზატის 0,5 მლ ინტრაპერიტონეალური ინექციები 4-ჯერ, 5 დღიანი ინტერვალით).

გამოკვლევები ტარდებოდა სიმსივნის გადანერგვიდან ყოველ მე-3 დღეს. პრეპარატის ეფექტურობის დასადგენად ვსაზღვრავდით სიმსივნური ქსოვილის მოცულობას შრეკის ფორმულით  $V = \sqrt[6]{(AxBxC)}$ , სადაც  $V$  – არის სიმსივნური ქსოვილის მოცულობა,  $A$  – სიმსივნური ქსოვილის სიგძე,  $B$  – სიგანე,  $C$  – სიმაღლე,  $\sqrt[6]{6} = 0,523$ . ასევე გამოითვლებოდა სიმსივნური ზრდის ინჰიბირების პროცენტი ფორმულით  $V_2 - V_1 / V_1 \times 100\%$ , სადაც  $V_2$  არის ნამკურნალები ცხოველის სიმსივნური ქსოვილის მოცულობა (მმ<sup>3</sup>), ხოლო  $V_1$  – საკონტროლო ცხოველის სიმსივნური ქსოვილის მოცულობა. მიღებული შედეგები დამუშავდა სტატისტიკურად კომპიუტერული პროგრამა SPSS 16.0 for Windows –ის გამოყენებით.

**შედეგები.** გამოკვლევებით დადგინდა, რომ *Ps.aeruginosa*-ს ფაგოლიზატით მკურნალობისას ადგილი აქვს სიმსივნური ზრდის საწინააღმდეგო მოქმედებას, რაც ვლინდება სიმსივნური ქსოვილის შედარებით ნელი ზრდით. კერძოდ, როგორც ეს №1 სურათიდან ჩანს, პირველი ვაქცინაციის შემდეგ ნამკურნალებ

ცხოველებში საკონტროლო ჯგუფის ცხოველებთან შედარებით შეიმჩნევა სიმსივნური ქსოვილის მოცულობის ზრდის შეფერხების ტენდენცია, ხოლო დაკვირვების მომდევნო დღეებში (4 ვაქცინაციის შემდეგ), სიმსივნური ქსოვილის მოცულობა


აღსანიშნავია, რომ ვაქცინირებული მდებრი ცხოველების 20% შემთხვევაში, როდესაც სიმსივნური ქსოვილის საშუალო მოცულობა იყო 104 მმ<sup>3</sup>, მოხდა სიმსივნური ქსოვილის სრული რეზორბცია.



ნამკურნალებ ცხოველებში უკვე სტატისტიკურად სარწმუნოდ განსხვავდება საკონტროლო ცხოველებში განვითარებულ სიმსივნური ქსოვილის მოცულობასთან შედარებით. სიმსივნური ზრდის შეფერხების პროცენტი ნამკურნალებ ცხოველებში სიმსივნის გადანერგვიდან მე-16, 22-ე, 25-ე, 28-ე, 31-ე და 34-ე დღეს მამრ თაგვებში იყო - 36%, 42%, 43%, 49%, 64% და 56% შესაბამის დღეებში, ხოლო მდებრი ცხოველებში - 46%, 60%, 55%, 61%, 80% და 81%.

**სურ. №1. სიმსივნური ქსოვილის განვითარების დინამიკა ერლიხის კარცინომიან (არანამკურნალებ) და Ps.aeruginosa -ს ფაგოლიზატი ვაქცინირებულ C57BL/6J ხაზის თაგვებში.**

სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა I ჯგუფის ცხოველებში იყო 28 დღე, II ჯგუფის ცხოველებში – 34 დღე, III ჯგუფის ცხოველებში – 52 დღე, ხოლო IV ჯგუფის ცხოველებში – 57 დღე. მაქსიმალური ხანგრძლივობა - III



ჯგუფის ცხოველებში იყო 65 დღე, ხოლო IV ჯგუფის ცხოველებში – 87 დღე (სურ. №2).

**სურ. №2. ერლისის კარცინომიანი (არანამკურნალები) და Ps.aeruginosa-ს ფაგოლიზატით ვაქცინირებული C57BL/6J ხაზის თაგვების სიცოცხლის ხანგრძლივობა და გადარჩენის პროცენტი.**

Ps.aeruginosa-ს ფაგოლიზატის სიმსივნის საწინააღმდეგო მოქმედება შეიძლება აიხსნას, პრეპარატის იმუნურ სისტემაზე ზემოქმედებით და მისი იმუნომარეგულირებელი თვისებებით. სავარაუდოდ, შესაძლოა აქტიურდება IL-1, α- და - IFN-ების სეკრეცია და აქტიურდება სიმსივნის საწინააღმდეგო იმუნური მექანიზმები. თუმცა, არ გამოვრიცხავთ ავთვისებებიან ზრდაზე ზემოქმედების სხვა

მექანიზმებსაც, რაც აუცილებლად მოითხოვს შემდგომ იმუნოლოგიურ და მორფოლოგიურ კვლევებს.

ამრიგად, ჩატარებული კვლევებიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ:

1. ექსპერიმენტული ცხოველები კარგად იტანენ Ps.aeruginosa-ს ფაგოლიზატით ვაქცინაციის / მკურნალობის პროცესს.

2. ბაქტერიული ფაგოლიზატით მკურნალობისას არ ხდება სიმსივნური ზრდის სტიმულაცია.

3. Ps.aeruginosa-ს ფაგოლიზატით მკურნალობისას ადგილი აქვს სიმსივნური ზრდის შეფერხებას, ხოლო მცირე ზომის სიმსივნეების შემთხვევაში სიმსივნური ქსოვილის სრულ რეზორბციას.

4. სიმსივნის საწინააღმდეგო ეფექტი უკეთესად ვლინდება მდებრი ცხოველების მკურნალობის შემთხვევაში.

### ლიტერატურა

1. Berezhnaia N. - The role of cells of immune system in microenvironment of the tumor. Cytokine cells – involved in inflammation // *Oncology*, 2009, v. 11, 1, p. 121-144.
2. Berezhnaia N., Chernukh V. - Immunology of cancer growth // 2005, Naukova dumka „Kiev“.
3. Folkman J. - Role of angiogenesis in tumor growth and metastasis // *Semin Oncol.* 2002 Dec;29 (6 Suppl 16):15-8.
4. Gambashidze K., Khorava P., Kalandarishvili K. et al. - Application of bacterial thermo- and phagelysates for suppression of malignant tumor growth in experimental studies: 1. Anticancer efficacy of thermo- and phagelysates of *E.colli* // *Georgian Medical News*, 2012, N 2, p. 24-29.
5. Garaya R., Viens P., Bauer J. et al. - Cancer relapse under chemotherapy: Why TLR2/4 receptor agonists can help // *European Journal of Pharmacology* 563 (2007) 1–17.
6. Stassen M, Muller C, Richter C, et al. - The streptococcal exotoxin streptolysin O activates mast cells to produce tumor necrosis factor alpha by p38 mitogen-activated protein kinase- and protein kinase C dependent pathways // *Inf. Immunity* 2003; 71(11):6171.
7. Garaya R., Viens P., Bauer J. et al. - Cancer relapse under chemotherapy: Why TLR2/4 receptor agonists can help // *European Journal of Pharmacology* 563 (2007) 1–17.
8. Wang JE, Jorgensen PF, Almlof M, et al. - Peptidoglycan and lipoteichoic acid from *Staphylococcus aureus* induce tumor necrosis factor alpha, interleukin 6 (IL-6), and IL-10 production in both T cells and monocytes in a human whole blood model // *Inf. and Immunity* 2000; 68(7):3965.
9. Weidner et al. - Tumor angiogenesis and metastasis-correlation in invasive breast carcinoma // *N. Engl. J. Med.*, 1991, 324: 1-8.
10. Wu Y, Hooper AT, Zhong Z, Witte L, Bohlen P, Rafii S, Hicklin DJ. - The vascular endothelial growth factor receptor (VEGFR-1) supports growth and survival of human breast carcinoma // *Int. J Cancer.* 2006 Oct 1;119(7):1519-29.

**Ps.aeruginosa-ს ფაგოლიზატის ანტიბლასტომური ეფექტის შესწავლა**  
**ერლისის კარცინომიან C57BL/6J თაგვებში.**  
**ქ. ღამბაშიძე, ნ. ფხალაძე, პ. ხორავა.**

## თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი რეზიუმე

ექსპერიმენტში შეწავლილია *Ps.aeruginosa*-ს ფაგოლიზატის ანტიბლასტომური ეფექტი ერლიხის კარცინომიან C57BL/6J მდედრ და მამრ თაგვებში. გამოკვლევები ჩატარდა

3,5 თვის 18-20 გ მასის C57BL/6J სუფთა ხაზის 40 თაგვზე. ცხოველთ ვაქცინაცია დაიწყო სიმსივნის გადანერგვიდან მე-10 დღეს (*Ps.aeruginosa*-ს ფაგოლიზატის 0,5 მლ ინტრაპერიტონეალური ინექციები 4-ჯერ, 5-დღიანი ინტერვალით). პრეპარატის ეფექტურობის დასადგენად ვსაზღვრავდით სიმსივნური ქსოვილის მოცულობას, სიმსივნური ზრდის ინჰიბირების პროცენტს, ცხოველთა სიცოცხლის ხანგრძლივობას და გადარჩენის პროცენტს. შედეგები დამუშავდა სტატისტიკურად კომპიუტერული პროგრამა SPSS 16.0 for Windows – ის გამოყენებით. **დადგინდა**, რომ ცხოველთა ვაქცინაცია *Ps.aeruginosa*-ს ფაგოლიზატის ოპტიმალური დოზით კარგად გადაიტანება ცხოველთა მიერ და არ იწვევს სიმსივნური ზრდის სტიმულაციას. *Ps.aeruginosa*-ს ფაგოლიზატით მკურნალობისას ვლინდება სიმსივნური ზრდის საწინააღმდეგო ეფექტი. სიმსივნური ზრდის ინჰიბირებ-

ის პროცენტმა მამრ თაგვებში საშუალოდ შეადგინა 48%, ხოლო მდედრებში – 64%. ვაქცინაციამ გაახანგრძლივა ცხოველთა სიცოცხლის უნარიანობა და მდედრი თაგვების მკურნალობისას, როდესაც სიმსივნური ქსოვილის მოცულობა იყო საშუალოდ 104 მმ<sup>3</sup>, 20% შემთხვევაში მოხდა სიმსივნური ქსოვილის სრული რეზორბცია.

**საკვანძო სიტყვები:** ავთვისებიანი სიმსივნე, იმუნოთერაპია, ფაგოლიზატები, *Ps.aeruginosa*.

Investigation of antitumor efficacy of phagelysates of *Ps. aeruginosa* in C57BL/6J mice

with Ehrlich carcinoma.

K.G. Gambashidze, N. G. Pkhaladze, P.A. Khorava.

Tbilisi State Medical University

### Abstract

**Aim:** we were aimed to investigate the antitumor potential of gram-negative bacterial phagelysate of *Ps.aeruginosa* in C57BL/6J mice with Ehrlich carcinoma.

**Methods:** Experiments were carried out on 2-3 months 40 male/female mice (BL57C/6J), with the weight range 18-20 g after inoculation of Ehrlich carcinoma ( $1 \times 10^6$  tumor cells). Regimen of vaccination - 0,5 ml *Ps.aeruginosa* phagelysate, 4 times with 5 day intervals. Treat-

ment efficacy was evaluated by the cancer growth inhibition percent; lifespan and percent of survival.

**Results:** Experiments have shown that application of optimal doses of phagelysate of *Ps.aeruginosa* is well tolerated in mice and does not stimulate, or support malignant growth. Vaccinations with phagelysate of *Ps.aeruginosa* exhibited significant anticancer treatment efficacy. Without apparent side effects *Ps.aeruginosa* phagelysate inhibited tumor

growth by 48% on the average in male mice, and by 64% on the average in female mice. Vaccinations prolonged the mice survival. In 20% of cases neoplasm with 104 mm<sup>3</sup> on the average underwent complete regression on 35th-37th days of malignant growth. **Conclusion:** These results suggest that bacterial phagelysates holds particular promise as a novel strategy for cancer therapeutics.

**Key words:** Cancer, immunotherapy, phagelysates, *Ps.aeruginosa*

*ქ. ღამბაშიძე, ნ. ფხაღაძე, პ. ხორავა.*



**ფარმაცევტული საქმიანობის მნიშვნელობა  
ფარმაცევტული პროდუქტის სასიცოცხლო ციკლის  
ეტაპებზე**



სოფია ჯიქია

ჯანმრთელობის დაცვის სისტემაში ფარმაცევტული საქმიანობა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რგოლია. მკურნალობის პროცესში გამოყენებული ფარმაცევტული პროდუქტის ხარისხი, ეფექტურობა და უსაფრთხოება ის მაჩვენებლებია, რომლებიც სხვა, ასევე მნიშვნელოვან ფაქტორებთან ერთად განსაზღვრავენ მკურნალობის ხარისხს, ხანგრძლივობასა და საბოლოო ჯამში - სამედიცინო მომსახურების ხარისხს.

სამკურნალო საშუალება (ფარმაცევტული პროდუქტი) - წამალი ან ფიზიოლოგიურად აქტიური, ბუნებრივი ან სინთეზური გზით მიღებული სამკურნალო ნივთიერება ან მათი კომბინაცია,


რომლებიც ნებადართულია სამედიცინო გამოყენებისათვის. (საქართველოს კანონი „წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ“, 1997 წ.).

ფარმაცევტული პროდუქტი საკმაოდ დიდ და რთულ გზას გზას გაივლის, ვიდრე ის საბოლოო მომხმარებელამდე მივა. შექმნილი პროდუქტი უნდა აკმაყოფილებდეს მოსახლეობის მოთხოვნასა და მოლოდინს, ნებისმიერ შემთხვევაში საბოლოოდ მაინც მომხმარებელი ადგენს მისთვის მისაღებია თუ არა მიწოდებული პროდუქტი.



სოფიო თურმანდოვი

ფარმაცევტული პროდუქციის მოძრაობა სქემატურად შეიძლება ასე გამოისახოს:



მოსახლეობის მოთხოვნები ცვალებადია, მაგრამ ის კომპანიები რომლებიც აწარმოებენ ფარმაცევტულ სქონელს, ორიენტირებულნი უნდა უყვნენ მოსახლეობის მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზე.

ხარისხის მენეჯმენტის სისტემა ხელს უწყობს ორგანიზაციებს გაანალიზონ მომხმარებელთა მოთხოვნები, განსაზღვრონ პროცესები, რომლებიც ხელს უწყობენ მომხმარებლისათვის მისაღები პროდუქციის შექმნას. ასევე შეინარჩუნონ ეს პროცესი მართვად მდგომარეობაში. ხარისხის მენეჯმენტის სისტემა ქმნის საფუძველს მუდმივი გაუმჯობესებისათვის. რაც შესაბამისად უზრუნველყოფს როგორც მომხმარებლის, ისე დაინტერესებული მხარეების კმაყოფილების ზრდას.

ხარისხის სისტემა აქტუალურია აბსოლიტურად ყველა სახის პროდუქციისა და მომხმარებლისათვის, ის განსაკუთრებით მწვავედ ვლინდება როცა საქმე ადამიანის ჯანმრთელობას ეხება. განვითარებული ქვეყნების მაგალითი გვიჩვენებს რომ, ხარისხის პრობლემის გადაჭრა უნდა გახდეს კომპანიისათვის მნიშვნელოვანი ამოცანა.

ხარისხი – არის პროდუქტის მახასიათებლების ერთობლიობა, რომელიც წარმოადგენს მის შესაბამისობას დააკმაყოფილოს დადგენილი ან სავარაუდო მოთხოვნები.

პროდუქციის ხარისხი ეს არის მარტო ტექნიკური ბაზრის, ტექნოლოგიის, ეკონომიკისა და კულტურის განმასხვავებელი დონე, არამედ მმართველობითი ურთიერთობების, კულტურისა და პროფესიანალიზმის შესაბამისი დონე. ტრადიციულად მრავალი ხელმძღვანელი პროდუქციის ხარისხს უკავშირებს წარმოების ტექნოლოგიას და პერსონალის კვალიფიკაციას, თუმცადა აუცილებელი ხარისხის მიღწევა დაკავშირებულია ამ ხარისხის სრულყოფის მუდმივ დინამიურ პროცესთან, რომლებმაც მიიღო სახელწოდება "ხარისხის მართვა".

საერთო ჯამში, სამკურნალო საშუალებების ხარისხის უზრუნველყოფის, ეფექტურობისა და უსაფრთხოებისათვის მოთხოვნები ყველაზე სრულადაა შემდეგ სტანდარტთა კრებულში.

GLP (Good Laboratory Practike) - სათანადო ლაბორატორიული პრაქტიკა.

GCP (Good Clinical Practike) – სათანადო კლინიკური პრაქტიკა.

GMP (Good Manufacture Practike) - სათანადო საწარმოო პრაქტიკა.

GDP (Good Distribution Practike) - სათანადო სადისტრიბუციო პრაქტიკა.

GSP (Good Storage Practike) - სათანადო შენახვის პრაქტიკა.

GPP (Good Pharmacy Practike) - სათანადო სააფთიაქო პრაქტიკა.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი არეგულირებს ფარმაცევტული პროდუქტის ხარისხს მისი სასიცოცხლო ციკლის ყველა ეტაპზე.

GLP - რეკომენდაციები მოქმედების სფეროა წინაკლინიკური კვლევის ეტაპი. რომელიც დაკავშირებულია ნივთიერების უსაფრთხოებისა დასაპეციალური მოქმედების განსასაზღვრავად. კვლევა მიმდინარეობს ცხოველებზე და ასევე ინ-ვიტრო ცდებით. ვრცელდება ფარმაცოლოგიურ, ტოქსიკოლოგიურ ლაბორატორიებში და მათი მიზანია სამეცნიერო კვლევის მეთოდების უზრუნველყოფა წინაკლინიკური კვლევის ეტაპზე.

GCP-სათანადო კლინიკური პრაქტიკა. კლინიკური კვლევა არის კვლევა, რომელიც მიმდინარეობს ადამიანის. როგორც საკვლევი სუბიექტის თანამონაწილეობით ანუ ახლად შექმნილი პეპარატის ყოველმხრივი კვლევა ადამიანებზე, გამოცდა მათი ნებაყოფლობის საფუძველზე.

GCP-ის შექმნის ისტორია უკავშირდება ნიურბერგის კოდექსს 1947წ, სადაც პირველად ჩამოყალიბდა კონცეპცია, რომელიც კრძალავდა ნებისმიერ ექსპერიმენტულ პროცესში კვლევის სუბიექტად ადამიანთა იძულებით გამოყენებას.

სათანადო კლინიკური პრაქტიკის სტანდარტი უზრუნველყოფს:

- 1) პიროვნების პფლებების დაცვას.
- 2) წინასწარ გაფრთხილება რისკებზე და შეცდომებზე.
- 3) მტკიცებები სამკურნალო საშუალებათა ეფექტურობასა და უსაფრთხოებაზე.

GMP-სათანადო საწარმოო პრაქტიკას საფუძველად უდევს, სამკურნალო საშუალებათა კონკრეტულად ხარისხის უზრუნველყოლაზე გადასვლა განსაკუთრებით ყურადღება მზა პროდუქციის ხარისხთან ერთად ექცევა თვით წარმოების პროცესს და ისეთ საწარმოო ფაქტორებს როგორცაა: შენობები, პერსონალი, მოწყობილობა—დანადგარები. და. ა შ..

„ხარისხი უპირველეს ყოვლისა აღნიშნული მოთხოვნა წარმოადგენს სატანადო საწარმოო პრაქტიკის ქვეკუთხედს.

GMP მოთხოვნებთან მჭიდრო კავშირშია ვალიდაციის ცნება, რომელიც გულისხმობს სათანადო შემოწმების საფუძველზე კვალიფიცურ შეფასებას და დოკუმენტალურად გაფორმებული მტკიცებულებების წარმოდგენას იმის შესახებ, რომ წარმოების პროცესში გამოყენებული ყოველი მეთოდი, პროცესი, აღჭურვილობა, პროდუქტი, მოქმედება ან სისიტემა ნამდვილად შეესაბამება თავის დანიშნულებას და უზრუნველყოფს ხარისხიან სამკურნალო საშუალებების სტაბილურ წარმოებას


GDP-სათანადო სადისტრიბუციო პრაქტიკა. დისტრიბუცია არის სამეურნეო საქმიანობის სუბიექტი, რომელიც ფლობს შესაბამის უფლებას-ლიცენზიას სამკურნალო საშუალებების საბითუმო რეალიზაციაზე. დისტრიბუცია არის საქმიანობა, რომელიც დაკავშირებულია სამკურნალო საშუალებათა საბითუმო შესყიდვასთან ანუ იმპორტთან, შენახვასთან და საბითუმო გაყიდვასთან.

სამკურნალო საშუალებების ხარისხის შესანარჩუნებლად დისტრიბუტორებს წაეყენებათ GDP შემდეგი მოთხოვნები :

1. დისტრიბუციას ექვემდებარება მხოლოდ სახელმწიფოში რეგისტრირებული მედიკამენტები;
2. უდმივად უნდა ხდებოდეს სამკურნალო საშუალებათა შენახვის პირობების დაცვა; როგორც საწყობში, ასევე მათი ტრანსპორტირებისას
3. დაუშვებელია სამკურნალო საშუალებათა კონტამინაცია;
4. სამკურნალო საშუალებები ინახება გარემო ფაქტორებისაგან ზემოქმედების უსაფრთხო ადგილას, რომელიც მოიცავს ფიზიკურ და ატმოსფერულ ზემოქმედებას;
5. სამკურნალო საშუალებების უსაფრთხო მიწოდება დამკვეთზე, წინასწარ შეთანხმებული პრობებისა და დროის შუალედის გათვალისწინებით;

GSP-სათანადო შენახვის პრაქტიკა, ეს მოიცავს ფარმაცევტული პროდუქციის შენახვის პერიოდს, მათ გამოყენებამდე. ამის გამო GSP მოთხოვნებს უდგენს პერსონალს, სათთავსოებს და მოწყობილობებს, შენახვას, დაბრუნებას. პროდუქციის ტრანსპორტირებას.

GSP მჭიდრო კავშირშია სხვა სტანდარტების სახელმძღვანელო მოთხოვნებთან, ასევე საერთაშორისო ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ექსპერტთა კომიტეტის რეკომენდაციებთან, ფარმაცევტული პრეპარატების სპეციფიკაციებთან.



GSP სახელმძღვანელო პრინციპები გამოყენებულ უნდა იქნას დაწესებულებების საქმიანობის მახასიათებლების მიხედვით (აფთიაქი, ბაზა, საწარმო და სხვა). ასევე მხედველობაში უნდა მიღებულ იქნას ნაციონალური მოთხოვნები და რეგიონალური პირობები

GPP-სათანადო სააფთიაქო პრაქტიკა. მას შეუძლია უზრუნველყოს ფარმაცევტული სექტორის თანმიმდევრული განვითარება. სამკურნალო საშუალებებითა და სამედიცინო დანიშნულების საგნებით ჯანმრთელობის განმტკიცება და დაავადებათა პრიფილაქტიკა GPP-ის ძირითადი სტანდარტის სახელმძღვანელო პრინციპებს შემუშავებასა და დანერგვას თითოეულ სახელმწიფოში სჭირდება გარკვეული ძალები სახსრები და პერიოდი.

ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის რიგ დოკუმენტებში ხაზგასმულია ფარმაცევტისა და ფარმაცევტული სერვისის მნიშვნელობა და პოტენციური მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისათვის.

გასული წლების განმავლობაში საქართველოში ფარმაცევტული სექტორის რეფორმა ინტენსიურად მიმდინარეობდა და ძირითადად ფოკუსირდებოდა გადაუდებელი პრობლემების გადაწყვეტაზე, წამლების წარმოებისა და მიწოდების სფეროების პრივატიზაციის ჩათვლით. დღეისათვის არსებული პრობლემები და მიმწოდებელზე ორიენტირებული პრაქტიკა აუცილებლად მოითხოვს მიმართულების ცვლილებას, ფარმაცევტული სერვისის პაციენტზე ორიენტირება ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოთხოვნაა. საქართველოში მიმდინარე რეფორმა განვითარების ფაზაშია და საჭიროა შემუშავდეს უკეთესი ფარმაცევტული პრაქტიკის სამომავლო კონცეპცია.

შემდგომი განვითარების აშკარა ბარიერი ნაწილობრივ წარსულში არსებული ეკონომიკური პრობლემებითაა განპირობებული, ხოლო ნაწილობრივ – ფარმაცევტული საქმიანობის მარეგულირებელ კანონმდებლობასა და რეგულა-

ციებში არსებული ხარვეზებით. მართალია, ქვეყანამ მიიღო კანონი „წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ“, მაგრამ ადმინისტრაციული ორგანოები, პოლიტიკოსები, ფარმაცევტული კომპანიები და მედიცინის მუშაკები ხშირად აწყდებიან პრობლემებს, რომლებიც ფარმაცევტული საკითხებთან დაკავშირებული ნორმატიული დოკუმენტებისა და პროფესიული სტანდარტების ნაკლებობითაა გამოწვეული.

საქართველოში სათანადო სააფთიაქო პრაქტიკის სტანდარტების შემუშავება და დანერგვა პროფესიული პრაქტიკის გაუმჯობესების ინსტრუმენტია. გარდა ამისა, მას შეუძლია გასული წლების მონაპოვარზე დაფუძნება და უკვე არსებული რეგულაციების

დანერგვის ხელშეწყობა, რითაც უზრუნველყოფილი იქნება ფარმაცევტული სექტორის განვითარების თანმიმდევრულობა და მდგრადობა.

ევროკავშირის ფარმაცევტული ჯგუფი (PGEU), ფარმაცევტთა საერთაშორისო ფედერაცია (FIP) და ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია (WHO) მოუწოდებენ მთავრობებსა და ფარმაცევტულ ასოციაციებს ერთობლივად შეიმუშავონ (ან გადასინჯონ) სააფთიაქო პრაქტიკის ეროვნული სტანდარტები სათანადო სააფთიაქო პრაქტიკის თანამედროვე რეკომენდაციათა შესაბამისად.

რომელთა მიხედვით ნაციონალური სტანდარტები იქმნება შემდეგი მიზნებისათვის:

? მოსახლეობის ჯანმრთელობის გაუმჯობესება;

? სამკურნალო საშუალებებისა და სამედიცინო დანიშნულების საგნების მიწოდების მექანიზმის რეგულირება;

? პაციენტების თვითმკურნალობაზე მართებული ზემოქმედება;

? წამალთა დანიშვნისა და გამოყენების მეთოდოლოგიური სრულყოფა ფარმაცევტების თანამონაწილეობით;

წამლის ხარისხის უზრუნველყოფა – თანამედროვე ფარმაციის ერთერთი უმთავრესი ამოცანაა. პაციენტთა მკურნალობის ეტაპზე (საცალო რეალიზაციის რგოლში) სამკურნალო საშუალებათა ხარისხის უზრუნველყოფის პროცესის სტანდარტიზაციისა და უნიფიკაციისათვის აუცილებელია აღიარებულ იქნას სათანადო სააფთიაქო პრაქტიკის GPP (Good Pharmacy Practice) პრინციპები და მისი უცვლელი დაცვა.

GPP ძირითადი მიმართულებები:

1. სამკურნალო საშუალებებითა და სამედიცინო დანიშნულების საგნებით მომარაგება, სარეცეპტო წამლების მართებულად გამოყენება;

2. ჯანმრთელობის განმტკიცება და დაავადებათა პროფილაქტიკა;

3. წამლის დანიშვნასა და გამოყენებაზე ზემოქმედება;

4. თვითდახმარებისა და თვითმკურნალობის რეგულირება.

თითოეული მათგანი შემდეგში მდგომარეობს:

1. სამკურნალო საშუალებებითა და სამედიცინო დანიშნულების საგნებით მომარაგება, სარეცეპტო წამლების მართებულად გამოყენება
2. ჯანმრთელობის განმტკიცება და დაავადებათა პროფილაქტიკა  
 პირველადი პროფილაქტიკა: - მდგომარეობს დაავადების წარმოშობის რისკის შემცირების მცდელობა და ინდივიდუუმის, ასევე ზოგადად საზოგადოების სიცოცხლის ხარისხის გაუმჯობესება;

<u>საქმიანობის სახეობები</u>	<u>მოთხოვნები</u>	<u>შედეგები</u>
1. მომწოდებლის არჩევანი	1. მარეგლამენტირებელი	1. შედეგები
2. საქონლის შექმნა	დოკუმენტაციის პროცედურების	აფთიაქებისათვის
3. შენახვა	ცოდნა	2. შედეგები
4. გაცემა და კონსულტაცია	2. აუცილებელი შენობა-ნაგებობების, სათავსების არსებობა	პაციენტებისათვის
5. ადმინისტრაციული მოღვაწეობა	3. კვალიფიკაცია	
	4. შეფასების მეთოდები	

მეორადი პროფილაქტიკა: - დაავადების სიმპტომების გამოვლინება ადრეულ სტადიაში, დაავადების თავიდან ასაცილებლად ან მისი მსუბუქი ფორმით განვითარების მიზნით;

მესამეული პროფილაქტიკა: - დაავადების რეციდივებისა და მათი ქრონიკულ ფორმაში გადასვლის თავიდან არიდების მცდელობა;

3. წამლის დანიშნავსა და გამოყენებაზე ზემოქმედება:

დანიშნულების პრაქტიკის მიხედვით ექიმების კონსულტირება მკურნალობის სტანდარტებსა და სასიცოცხლოდ აუცილებელ (ესენციალურ) მედიკამენტების ჩამონათვალზე;

ჯანდაცვის სამსახურების სხვა პროფესიონალებთან კონსულტირება;

ადგილობრივ ხელმძღვანელობასთან თანამშრომლობა სამკურნალო საშუალებათა რაციონალური გამოყენების სახელმძღვანელო დებულებების შემუშავებაზე;

სამკურნალო საშუალებების ფორმულარების/ცნობარების შედგენა-გაუმჯობესებაში თანამონაწილეობა;

სამკურნალო საშუალებების გვერდითი მოვლენების კვლევაში მონაწილეობა;

სამკურნალო საშუალებების ლოკალურ მოთხოვნათა შეფასება;

სამკურნალო საშუალებების რაციონალური გამოყენება ეკონომიკური თვალთახედვით;

ფარმაცევტული სარეკლამო მასალის კონტროლი და შეფასება (ფარმაცევტული კომპანიები, დისტრიბუტორები, მწარმოებლები);

4. თვითდახმარებისა და თვითმკურნალობის რეგულაცია აფთიაქის როლი სისტემაში;

პაციენტის თვითდახმარება პირველ რიგში მდგომარეობს მისთვის აუცილებელი ინფორმაციით უზრუნველყოფაში;

იკვეთება ფარმაცევტის როლი და დამიშნულება.

აფთიაქში ფარმაცევტის როლის გაცნობიერებისათვის მნიშვნელოვან საფუძველს წარმოადგენს ფარმაცევტის მიერ საკუთარი ფუნქციის ხედვა ჯანდაცვის სისტემაში. ფარმაცევტმა აუცილებლად უნდა გააცნობიეროს თავისი პროფესიის მნიშვნელობა, ამისათვის საჭიროა დამოუკიდებლად განსაზღვროს თავისი მდგომარეობა და კონკრეტულ სიტუაციაში სარჩიოს ოპტიმალური ვარიანტი.

ფარმაცევტმა როგორც წამლის ექსპერტმა უნდა იცოდეს წამლის არა მარტო ტექნიკური მახასიათებლები არამედ უნდა შეძლოს გაგებით მოეკიდოს მომხმარებლის მდგომარეობას.

ფარმაცევტის ამოცანების ძირითადი ელემენტებია:

? აფთიაქში ფარმაცევტის საქმიანობა განისაზღვრება მისი პროფესიონალიზმით;

? პროფესიული თვითშეგნება უნდა განიხილებოდეს აფთიაქში ფარმაცევტის თანამდებობასთან კავშირში;

? ფარმაცევტის პროფესიული თვითშეგნება და მდგომარეობა აფთიაქში განისაზღვრება რიგი გარემო ფაქტორებით:






ფარმაცევტსა და მომხმარებელს შორის ურთიერთობის პროცესში მნიშვნელოვანია განისაზღვროს თუ რა ფაქტორები განაპირობებს მათ ეფექტურ ურთიერთობას. უპირველეს ყოვლისა გასათვალისწინებელია კომუნიკაცია რომელიც გამოიყენება ადამიანის მიერ ინფორმაციის მასალებად და გადასაცემად. აქედან გამომდინარე ფარმაცევტმა აქცენტირება უნდა გააკეთოს მომხმარებელზე და მის მომსახურებაზე. მას ყოველთვის უნდა ახსოვდეს რომ მის წინაშე ავადმყოფია რომელსაც სჭირდება მისი კონსულტაცია. არ უნდა მიაქციოს ყურადღება მის უხეშობას, გაღიზიანებას, უნდა იყოს ამ დროს თავშეკავებული, მოექცეს ავადმყოფს ისე როგორც სურს მას მოექცნენ გარკვეულ სიტუაციაში, პაციენტს უნდა ჩაუხერგოს გამოჯანმრთელების რწმენა, ამით დაეხმაროს მის ორგანიზმს რათა ებრძოდეს დაავადებას, უნდა აჩვენოს მომხმარებელს რომ მისი ბედის თანამოაზრეა და აღელვებს და განიცდის მის ჯანმრთელობაზე და რომის დასახმარებლად მზადაა. ფარმაცევტი ყოველთვის უნდა ცდილობდეს მომხმარებლისგან დაიმსახუროს მაღლობა გაწეული კონსულტაციისათვის. უნდა ცდილობდეს აფთიაქში შექმნას ისეთი გარემო რომ მოსულ მომხმარებელს განუმტკიცოს რწმენა სამკურნალო საშუალებების მაღალი ეფექტურობის შესახებ. გარდა ამისა ფარმაცევტი ყოველთვის უნდა ცდილობდეს ყოველდღიურად აიძლოს ცოდნა, ყოველგვარი ღონე იზმაროს იმისათვის რომ აღიკვეთოს შეცდომები წამლის მომზადების/გაცემის დროს

ფარმაცევტმა, ისევე როგორც ექიმმა უნდა აითვისოს პრობლემებზე ორიენტირებული მეთოდი, რაც კლინიკური ფარმაციის, როგორც პაციენტზე (და მის პრობლემებზე) ორიენტირებული საფუძველს წარმოადგენს.

როგორც ლეუფკინმა აღნიშნა: „ფარმაცევტებს, რომელთაც აქვთ უნარი და შესაძლებლობა განახორციელონ პაციენტზე ორიენტირებული მომსახურება, შეუძლიათ აიძალონ თავიანთი იმიჯი, როგორც ჯანდაცვის სისტემის პროფესიონალებმა“. პაციენტზე ორიენტირებული მიდგომა ზრდის ფარმაცევტის როლს (სქემა 1), ზრდის ფარმაცევტის, როგორც რეკომენდაციების გამცემი პირის პასუხისმგებლობას, რაც თავის მხრივ განაპირობებს მისი პოფესიონალიზმის ამაღლებას.

სქემა №1



ამრიგად, მომხმარებლის აზრის საფუძველზე ყალიბდება საზოგადოების მოთხოვნა ფარმაცევტებისადმი; მათ უფრო მეტი დრო უნდა დაუთმონ აკადემიკოსებთან კონსულტაციას, გაითვალისწინონ ამ პროცესში ექიმების, ფსიქოლოგების, სოციოლოგების, ეკონომისტების რეკომენდაციები.